

„...სამოცდაორი ნლისა ვარ. რაც თავი მახსოვს სულაშვილის  
ვხატავ. მიყვარს ბუნება, შემოდგომა. შემოდგომა  
ჩემი საყვარელი დროა. მიყვარს პოეზია, მუსიკა.

და კიდევ მიყვარს ქალაქის ქუჩებში სიარული და  
ფიქრი. თუმცა ბოლო ნლებში მოგონებები მომეძა-  
ლა. ბავშვობიდან დაწყებული ყველაფერს ვიგონებ,  
ვისხენებ, განვლილ ცხოვრებას ვაფასებ.

სშინად მეკიოხებიან რატომ არ ვსაუბრობ საკუთარ  
ფერწერაზე.

დავხატე რა საღებავებით ტილოზე, მე ყველაფერი  
გავაკეთე ამით.

არაფრის თქმა არ მინდა. ამას ვუთმობ ხელოვნებათ-  
მცოდნებსა და მწერლებს. არ მიმაჩნია საჭიროდ მე  
თავად ვისაუბრო ამაზე.“

ალექსანდრე ბანძელაძე  
1989წ.

# სოფიანი: (შური)

## :: ბანძელაძე

სოფიანი: (შური)

XXს.-ის ქართული ხელოვნების ერთ-ერთი გამოიწვეული ნარმომად-  
გენელი, ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე (1927-1992), ქართველი მხატ-  
ვერის ე.წ. 50-იანებთა თაობას განეკუთვნება. მისი შემოქმედებითი მემ-  
კვიდრეობა მრავალფეროვანია. მუშაობდა ფერწერაში, დაზურ გრაფიკასა  
და ნიგნის ილუსტრაციაში, შექმნა მონუმენტური მხატვრობის არაერთი  
დასამახსოვრებელი ნიმუში, მათ შორის საეკლესიო კედლის მხატვრობა  
- მოხატა თბილის დიდუბის ლვითისმობლის მიმინდის ეკლესია (1978-  
1988). მას ეკუთვნის ილუსტრაციები ისეითი ცნობლი გმოცემებისათ-  
ვის როგორიცაა გრ. აბაშიძის „ლაშარელა“ (1957); რ.კალინგის „მაული“  
(1961); „არსენას ლექსი“ (1966) და სხვ. ხელოვანის ვიზუალური ძიებების  
ორიენტირი მუდმივდ ხელის ეკროპული მხატვრული მიმდინარეობები  
იყო. ეს პროცესი კიდევ უფრო სინცერესო ხდება, იმ სოცრეალისტური  
ტენდენციების და „კარჩაკეტილობის“ ფონზე, რასაც თანამედროვეობა  
სთავაზობდა შემოქმედს. ქართველი მოდერნისტების პირველი თაობის  
ნარმომადგენლების შემდგომ, ის ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ქარ-  
თულ სახელოვნებო სინამდვილეში აბსტრაქტული მხატვრობა დაბრუნა.  
სიცოცხლის ბოლოს იმუშავა შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოს-  
ნის“ ილუსტრირებაზე, რაც დაუწიულებელი დარჩა. ფართო საზოგადოე-  
ბისათვის ეს ნამუშევრები თითქმის სრულად უცნობია და მათი უმეტესო-  
ბა პირველად იძექდება ნინამდებარე გამოცემაში.

ნიგნი ნარმოდგენლია ხელოვნებათმცოდნების: ს. ლევაგას, მ. გაჩე-  
ჩილაძის, ქ. კინტურაშვილის, თ. ბელაშვილის სამეცნიერო-პაპულარული  
ხასიათის ნაშრომები ალექსანდრე ბანძელაძის შემოქმედების შესახებ. გა-  
მოცემა უხვადაა ილუსტრირებული და თან ერთვის მხატვრის ცხოვრების  
ამსახველი საინტერესო ფოტო-მასალა.

„ო. მეტობაში. ერთამი ცალობის.  
მაგ ფერში მოხელილ უბრივობ ხელთო.  
უბრივობის გა თან ნიმას.  
ნამუშელო მნაურის გულის გა კუგამი.  
შენი ფერშის გამას გა არმეტო.  
შენი უჯსოს ნინგის გა ნამუშელ.  
ობის გა ნიმუშის გა ნამუშე.  
ობის გა ნიმუშის გა ნიმუში.  
უფრო უფრო თითხნი გა ნიმუში.  
თითხნი კოტები თითხნი გა ნიმუშ.  
თითხნი კოტები თითხნი გა ნიმუშ...  
გა ნიმუში გა ნიმუში გა ნიმუშ...  
სო უნიკის თუ კინ ხსნ შენ!“

შე გასტურილი იფარის თხებს.  
გოგო ჯარისას მოგაბის თხებს.  
თითხნი ბატები კინის სხეული.  
ჯილი კოტები თითხნი გა ნიმუშ.  
თითხნი კოტები თითხნი გა ნიმუშ.  
შენი უფრო უფრო თითხნი გა ნიმუშ.  
უდინებელ უინი მიწაში გა იტერ...  
გა ნიმუში გა ნიმუშ.  
სო უნიკის თუ კინ ხსნ შენ!“

მურმან ლობანიძე  
1960









აპსტრაქტი,  
ტ.ზ. 75X90. ოქანის საკუთრება



ალექსანდრე (შურა)  
ბანძელაძე

Aleksandre (Shura)  
Bandzeladze

თბილისი  
TBILISI  
2017



წიგნზე მუშაობისას, განეული დახმარებისთვის მაღლობას ვუხდით:

**კულტურისა და პაგლია დაცვის სამინისტრო:** თამარ ლორთქიფანიძე, თეკლა კაკაბაძე

**საქართველოს საკატერინებო:** დიდუბის ტაძრის წინამდღვარი მამა თემურაზი (შალვაშვილი), მამა პეტრე (ბარამიძე), მონაზონი ბარბარე (ქართველიშვილი), მამა როსტომი (ლორთქიფანიძე)

**გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და პაგლია დაცვის ეროვნულ კვლევითი ცენტრი:** მარიამ დიდებულიძე, ასმათ ოქროპირიძე, მაია მანია, ნინო ჭინჭარაული, ირმა მამასახლისია

**გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ცენტრთან არსებული სერგო ქოგულაძის სახელობის ფოთოზიქსაციის ლაპორატორია:** მარინე ფანცხავა

**საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ხელოვნების მუზეუმი:** ეკა კირნაძე, ნინო ხუნდაძე, ნანა შერვაშიძე

**საქართველოს ეროვნული მუზეუმი. დიმიტრი შევარდაძის სახ. ეროვნული გალერეა:** ქანა სარუხ-ანოვა, დარეჯან კორძაია, ქეთევან ბესელია, ნანა ლეკვეიშვილი, გიორგი აფციაური

**დავით კაკაბაძის სახ. ქუთაისის სურათების გალერეა:** ელისო ჩოგოვაძე

**მხატვართა კავშირი:** გურამ ცერცვაძე

**„ბაია“ გალერეა:** ბაია წიქორიძე

**„მაგონი“ ჯგუფი:** გია ჯოხოძაბერიძე

**მხატვრის მუზეუმი:** გიორგი დარჩია, რუსულან ბანძელაძე, გია მგალობლიშვილი, ფიქრია ცხოვრებაშვილი

**ახელვა:** გივი ჯოლბორდს, ბადრი ქუთათელაძეს, თოლია აბაშიძეს, მანანა ხვედელიძეს, მაია ბერიძეს, დავით ჭელიძეს, ბიძინა ჩოლოყაშვილს, თინათინ სეხნიაძეს, დავით გუნდუძეს, პაატა ნაცვლიშვილს, ზაზა გვიშიანს.

წიგნზე იმუშავეს: **სამსონ ლეზავა,**  
**მარიამ გაჩიჩილაძე,**  
**თამარ გალაშვილი,**  
**ნოდარ არონიშვილი**

მთავარი რედაქტორი: **დიმიტრი თუმანიშვილი**

დიზაინი: **დავით ელგაპიძე-მაჭავარიანი**

ფოტო: **ალექსანდრე სვატიკოვი**

თარგმანი: **მანანა გეზარაშვილი**

ტექნიკური რედაქტორი: **ნოდარ არონიშვილი**



© საქართველოს კულტურისა და პაგლია დაცვის სამინისტრო  
MINISTRY OF CULTURE AND MONUMENT PROTECTION OF GEORGIA



© გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და პაგლია დაცვის ეროვნულ კვლევითი ცენტრი  
GEORGE CHUBINASHVILI NATIONAL RESEARCH CENTRE FOR GEORGIAN ART HISTORY AND HERITAGE PRESERVATION



# სრუფულების ცენტრი – ქართული ხანების მეცნიერების ხიდობის გაძლიერების ფინანსი

## ცენტრის კონცენტრაცია

ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე განსაკუთრებული მასშტაბისა და შესაძლებლობების მქონე ხელოვანია. იგი წამყვანი იყო საქართველოში წიგნის ილუსტრაციის დარგშიც, დაზურ ფერწერასა და გრაფიკაში და ასევე – მონუმენტურ ხელოვნებაშიც; ახალ დროში მას, ლევან ცუცქირიძესთან ერთად, წილად ხვდა პატივი საეკლესიო მოხატულობათა აღმოჩინებისა; დავით კაკაბაძის შემდგომ, სწორედ მან დაამკვიდრა ჩვენში აბსტრაქციონისტული მხატვრობა; ამასთანავე, ჯერ კიდევ 1950-იანი წლების დასაწყისიდან, ავტორიტეტულ „შურნალისტ-გრაფიკოსადაც“ იყო აღიარებული, როგორც ქართულ პრესაში აქტიურად მოღვაწე შემოქმედი. იმ დროიდანვე იწყება მჭიდრო მეგობრობა აღიარებულ მწერლებთან – ვახტანგ ჭელიძესთან, მურმან ლებან-იძესთან, გრიგოლ აბაშიძესთან, ცნობილ გრაფიკოს ზურაბ ლეჟავასთან და სხვებთან. თუმცა, ცხადია, განსაკუთრებული მისთვის აღმოჩნდა გალაკტიონთან დაახლოება, რასაც მოჰყვა (შურნალ „დროშის“ რედაქციაში მუშაობისას)<sup>1</sup>, პოპულარული პორტრეტის შექმნა, რომელიც გალაკტიონის გასვენებისას

მთაწმინდაზე, ზღვა ხალხს “წინ მიუძღვდა”. მასთან კონტაქტით მიღებული წარუშლელი შთაბეჭდილებანი ამოტივტივდა 1970-იან წლებშიც, როდესაც “პოეტთა მეფეს” მხატვარმა ქანდაკებაც მიუძღვნა. მასში შთამბეჭდავია გალაკტიონისეული “გიგანტიურობა”, ორგანული ჰიპერთროფირებულობა, შინაგანი ანთებულობა და კულმინაციური სიმძაფრე (1973), თუმცა ქანდაკებისათვის განკუთვნილი წინასწარი გრაფიკული ესკიზები კიდევ უფრო ძლიერ, ჩანაფიქრის მასშტაბურობით კი ლამის გამაოგნებელ სუგესტიას იწვევს.

ალ. ბანძელაძე უზარმაზარი გაქანების, მრავლისშემძლე მაესტრო იყო. ყურადღებას იმთავითვე იპყრობდა ე.ნ. „საკავშირო“ მასშტაბითაც.<sup>2</sup> ამის დასტურია ძალიან ცნობილი მხატვრის, დიმიტრი შმარინოვის მხრივაც და ხელოვნების ისტორიკოსების წრეებშიც, მისით დიდი დაინტერესება – ანიჭებენ ივანე ფოიდოროვის სახელობის პრემიას და აქვეყნებენ კვლევითი ხასიათის წერილებს მასზე, როგორც უნიჭიერეს ოსტატზე. საერთაშორისო დონის წარმატების მაგალითია ქ. ლაიფციგში “არსენას ლექსის”

<sup>1</sup> გრიგოლ აბაშიძე, ელვარე ნიჭიერება, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 9.07.1992

<sup>2</sup> Н.Езерская. Всегда в поиске. Искусство. 1957. №6

## სოლოფესნიშვილი ბანდეკაძე



ქალიზე 30x40 სმ 1945.  
ე. ფ. 31, 2X21, 6. ხელოვნების მუზეუმი



მამაკაცის პორტრეტი. 1948.  
ე. ფ. უ. შ. 28, 4X20, 4. რეალისტური საკუთრება

მეორე ვერსიის ორიგინალურად გაფორმებისათვის – “მსოფლიოში ულამაზესი წიგნის” პრიზით დაჯილდოვება (1967)<sup>3</sup>. XX ს.-ის 80-იანი წლების საქართველოში, რუსეთსა და ევროპაშიც აღიარებენ ქართული აბსტრაქტურის შემთხვევაში მეტრად, ხოლო ცოტა მოგვიანოდ აშშ-შიც – “თავისიანად” აღიქვამენ.<sup>4</sup>

ამ დიდი მხატვრის პოპულარიზაცია, ჩვენშიც და უცხოეთშიც, ამჯერად სახელმწიფომ უნდა ითავოს, რაც მისი საპატიო მოვალეობაა.

ალ. ბანძელაძე გამოირჩეოდა ფართო და სიღრმისეული ინტერესებით, აზროვნების სიმახვილით. მას ჰქონდა კარგი განათლება, იტაცებდა მსოფლიო და ქართული ლიტერატურა, იზიდავდა ისტორია (რაც ქართველ მწერალთა ისტორიული რომანების ილუსტრირების დროსაც გამჟღავნდა); ალტაცებული იყო ჰომეროსით, როგორც ეპიკურობისაკენ მიდრეკილი პიროვნება, თითქმის მთელი “ვეფხისტყაოსანი” იცოდა ზეპირად, რაც მისი მამის მათე ბანძელაძის ლირსეული ტრადიციის გაგრძელება იყო. დედა, ესტონელი მინა რაიო, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ფაქიზი ქალბატონი, ცდილობდა შეეყვარებინა შვილებისათვის მათი სამშობლო. ბავშვიდანვე ალ. ბანძელაძის უახლოესი მეგობარი იყო ცნობილი ფერმწერი სერგო ჩახოიანი, საკვირველი სულიერი სისუფთავით გამორჩეული პიროვნება, რომელიც ალ. ბანძელაძის აბსტრაქტურისტულ ძიებათა თანამდგომიც იყო და თავადვე ამ პროცესში უშუალოდ ჩართულიც გახლდათ.

ალ. ბანძელაძეს ასევე დიდი მეგობრობა აკავშირებდა მიხეილ მესხთან, რომლის ფინტთა ელვარებაში, თვით “ვეფხისტყაოსნის” გმირთა შემართებას ხედავდა...

იგი ნალდი პატრიოტი იყო, რაც მისთვის ლირსებასთან, პროფესიონალიზმთან და ერის თავდადებულ მსახურებასთან იყო გაიგივებული. მისივე საყოველთაო, “მსოფლიური” ინტერესები გულისხმობდა ამასთანავე,

3. ლ. კილაძე, არსენას გამარჯვება, გაზ. კომუნისტი, 4.10.1967

4. GEORGIA ON MY MIND. Museum Fridericianum Kassel. 1989; GEORGIA ON MY MIND. Dumout Buchverlag Kolh. 1990.

## ქსოვილი ნამუშებრივ ხილების გამოხილით ფიცის

სამშობლოს წრფელ სიყვარულს. “მართლაც უშრეტი ჟინით მუშაობდა, დაუოკებელი ენერგიით.”<sup>5</sup>

“ვეფხისტყაოსნის” თვითნასწავლი ექსპერტიც აღმოჩნდა და ჩვენი ხალხური პოეზიის მოტრფიალეც. “არსენას ლექსის” შთაგონებული, ორეტაპიანი გაფორმებაც (1950-1960-იანი წლები) ამის უთუო დადასტურებაა. ოსტატმა შეძლო ის მიუკიბავობა, სიალალე და უბრალოება, რაც ამ გულმისავალ პოემას ახასიათებს, იმდენად კონცენტრულად გამოეხატა “არსენას ლექსის” გამფორმებელ მეორე ვერსიაში, რომ მისი ქმნილება ხალხური ზეპირსიტყვიერების შინაგან წყობას უმჭიდროვესად მიეახლა. 1960-იან წლებში ჩენილ ტენდენციას ხალხურ ხელოვნებასთან ინტენსიური დიალოგისა, ის განსაკუთრებული ძალის მქონე ამ მონაპოვარით შეეზიარა, როგორც მხატვარი-მონუმენტალისტი.

თუმცა, უკვე “არსენას ლექსის” გამფორმებელ პირველ ვარიანტშიც, (1957) ზემოხსენებული მონუმენტურობა შედარებით მარტივი, მაგრამ ეფექტური, “მკაცრად ენერგიული”<sup>6</sup> და ლაკონური ხერხებით – უკვე იჩენდა თავს. და მაინც, მეორე ვერსია ბევრად ფუნდამენტურია. ის წარმოადგენს ქართული ხელნაწერი წიგნის ტრადიციათა აღდგინება-გაცოცხლების ძალზე ნარმატებულ მცდელობას. მხატვარი თანამედროვე, “ნეომოდერნისტულ” ენაზე “შეესისხლხორცა” შუასაუკუნოვანი რელიეფისა და, განსაკუთრებით, საფლავის ქვების სახვით კოდს. მან მიაკვლია უაღრესად მახვილგონიერ, მის აღმოჩენად აღსაქმელ გრაფიკულ ექვივალენტებს და ამასთანავე, საფლავის ქვათაგან სავსებით სხვაობრივ სურათოვნებასაც. ხელნაწერი ტექსტი კი კვლავაც საფლავის ძეგლთა “ოკრო-ბოკრო” ქვის მწიგნობრობას ესადაგება. თავის მხრივ, ძლიერია ტექსტის მონახაზებთან “შეხმიანებული” ორნამენტული ჩანართები, გამორჩეულნი სისადავითა და

პლასტიკური “გემოთი”...

\* \* \*

ძალიან გაუმართლა, რადგან თავის ხელობას მხატვარი ალექსანდრე ბანძელაძე, თავდაპირველად უძლიერესი პედაგოგიური შემადგენლობით ცნობილ ე.ნ. სამხატვრო ტექნიკუმში დაეუფლა. იქ უმაღლესი დონის



ფოტო. ალექსანდრე გარელაძე მუზეუმის დონის 1966.

პროფესიონალთა შორის მოღვაწეობდა ვალენტინ შერპილოვი – ფერწერის ტექნოლოგიის ჩინებულად მცოდნე და იმპრესიონიზმის ერუდირებული ექსპერტი. მამობრივი მზრუნველობა მხატვრის მიმართ გამოიჩინა უფაქიზესმა პეიზაჟისტმა კოტე კიქაძემ.

იქ მიღებული პროფესიული წრთობა შეუცვლელი იყო. მოგვიანოდ, სამხატვრო აკადემიაში (სადაც ასევე ბრწყინვალე ოსტატები – სერგო ქობულაძე და იოსებ შარლემანი ასწავლიდნენ), ალ ბანძელაძეს შეექმნა აბსურდული, იდეოლოგიზირებული პრობლემები და მოუხდა მისი დატოვებაც, თუმცა მალევე საზოგადოებაში ისეთი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ აპოლონ ქუთათელაძის ინიციატივით, მიანიჭეს ოფიციალური დიპლომი. ეს

5. ვახტანგ ჭელიძე, ძვირფასი სახსოვარი, გაზ. ქართული კულტურა, 30.06.1992

6. В.Беридзе, Н.Езерская. Искусство Советской Грузии. Тб. 1975

## სოფიას გამოცემის ბაზები



თათო. ჩანახათი საექთაკლიდან „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. 1949



გოგი გაგეშკორის პორტრეტი. 1950-იანი წე. ქ.ვ. 21,5X18,5. გიორგი გაგეშკორის საკუთრება



ფოტო. გოგი გაგეშკორი. 1940-50-იანი წე. საექთაკლიდის ნიკოლოზ

არცაა გასაკვირი. მისმა უფროსმა მეგობარმა, აკად. ვახტანგ ბერიძემ თავის კოლექციაში შემოგვინახა მაია ბერიძის ადრინდელი პორტრეტი, გამორჩეული კლასიკური სრულყოფილებით. იგი შთამბეჭდავი პროფესიული მომწიფებულობის დამადასტურებელია (1956).

ასეთი რანგის მომზადება საფუძველს ქმნიდა ტევად ამოცანათა დასაძლევად. ადრეულთაგან საუკეთესოა “გალაკტიონის პორტრეტი” (1952), რომელშიც ნარმოჩინდა მისი შთაგონებულობა და განსაკუთრებულობა – პოეტი თითქოს პიედესტალზეა ამომართული. ამასთან, დისტანციურობას თან ახლავს უშუალობა, ბუნებრივობა და სიწრფელე კომპოზიციის გაბედულება და მძაფრი, ამაღლებული ხატოვანება შთამბეჭდავია ამ პორტრეტში, რომელიც რამდენად-მე “ნეო-რეპინისტულია”.

იმავე წელს შეიქმნა არაჩვეულებრივი გარეგნობის მქონე ცნობილი მსახიობის, დოდო ჭიჭინაძის პორტრეტი, რომელშიც ქალური ლირსება და კდემამოსილებაც შეხამებულია მნიშვნელოვანებასთან და გარკვეული იდეალიზაციასთანაც (1952)...

“თამარ აბაკელიას პორტრეტი” (1952) მძლავრად ზემოქმედია. ჩანს, ამ გამოჩენილ



ავტოპორტრეტი. ქ. აკვარელი. 1950 წ.  
23X20,2. ოქანის საკუთრება



ავტოპორტრეტი. 1950 წ.  
ქ. 29,5X20,5. ოქანის საკუთრება

პიროვნებაში აღ. ბანძელაძემ დაინახა მისთვის მონათესავე სულიერი წყობა ნამდვილი მონუმენტალისტისა, რომელიც ესწრაფვოდა ლაკონიურობის სისავსესა და “დიდ ფორმას”.

“სპარტაკ ბალაშვილის პორტრეტში” (1955) შემოდის პუანტილისტური ელემენტები, თუმცა სისტემა არაა პუანტილისტური. მომცრო, „შტრიხისებრი“ მონასმები ოდნავ ხისტად ამკაფიოებს პლასტიკას. ოსტატი აღწევს სიმკვეთრეს, ფორმის ძალოვანებას. აშკარად ვგრძნობთ უდრეკობასა და მტკიცე ნებელობას ამ დიდ მასშტაბებთან შეჭიდებული, სახელგანთქმული მსახიობისა.

როგორც ვხედავთ, აღ. ბანძელაძე ირჩევს არაორდინალურ, განსაკუთრებულ, დასამახსოვრებელ ადამიანებს – ისინი მისი პორტრეტების “გმირებად” აღიქმება.

\* \* \*

უადრესთაგან “ლანდშაფტურ” სურათებში ვლინდება სპეციფიკური იმპრესიონისტული გამოძახილი. 1950-იანი წლების საყოველთაო “ნეოიმპრესიონისტულ” ნაკადში აღ. ბანძელაძეს საკუთარი ხედვა აქვს, როგორც ნაკლებად “ქრომატისტს” და შედარებით თავდაჭრილ მხატვარს. მას არ აკლია

ფერწერული გემოვნება, თუმცა საგანგებოდ არ “ჩაეძიება” ფერადლვან დამოკიდებულებათა დახვეწას.


1950-იან წლებში იგი ქმნიდა პეიზაჟებს-ქართლის სოფლებში, რომელთაც, განუყრელი თუშური ქუდით თავდამშვერებული, მოტოროლერით ესტუმრებოდა ხოლმე – ცხადყოფდა რა ძველებური ქვის არქიტექტურის ბუნებრივ, უპრეტენზიო სილამაზეს. მისი ლანდშაფტები ზოგან ძალიან პოეტურია, სინათლით აღვსილი... მოგვიანოდ მან გაბედულად შემოიტანა პუანტილისტური ტექნიკა და რიგ სურათებში იმდენად კი არ ძერწავდა, რამდენადაც “აშენებდა” ფორმას.



აღ. ბანძელაძე მაულელასთან, მადონა აბრამიშვილთან და ქალიშვილთან - ვორენასთან და რუსიკოსთან ერთად



პოვა ქალი. 1954წ.  
ძ.ვ. 39,3X29,5. ოქანის საკუთრება



ი. შარლებანის პორტრეტი. 1954.  
ქ. ფ. 40X30. მუზეის საკუთრება




მოლოდინი. ქ. 1950-იანი წელი.  
42x30. ოქანის საკუთრება



ნიკოლოზ ქაცბელაკის აორტრეტი. 1954წ.  
ე.ვ. 42X29,8. ოქანის საკუთრება

## სოფიანაზე მარტინ გურგაძე



ნოემბრის თოვლი. 1953.  
მუ. 45x35. დიმიტრი გევარდეაძის სახ.  
ეროვნული გალერეა

დოქტრინული პუანტილიზმია ლექსანდრე ბანძელაძეს მალევე აღარ აკმაყოფილებს და შინაგანი ამოცანების კვალობაზე, მისთვის უფრო ორგანული ხდება გოგენისეული, „წინარეფოვისტური“ სინთეზიზმი. თუმცა გოგენთან „შეხვედრა“ (რომლის მონუმენტალიზმითაც დაინტერესდა), ყველაზე ნაყოფიერად (თუმცა არა უშუალოდ), კიპლინგისეული „მაუგლის“ ილუსტრაციებში (1961) გამჟღავნდა. ესაა ჩინებული ვერსია წიგნის დასურათებისა, რასაც განსაზღვრავს ბმაც ნაწარმოების დინამიკურ, „კინემატოგრაფიულ“ რიტმთან – და თუკი თავად ტექსტს ვერ სწყდები, იგივე ითქმის ბანძელაძისეულ „თანხლებაზეც“ პირველწელისი. ჩვენი ოსტატი (რომელიც ერთხანს ლამის დასახლდა ზოოლოგიურ პარკში), პირველხარისხოვანი ანიმალისტია: ბოლომდე გვაჯერებს ბალუს სიუხეშე და სიტლანქე; ბაგირას მოხდენილი მოქნილობა და „ზამბარისებრი“ ძაბვა; კას შიშისმგვრელობა; ვგრძნობთ ჯუნგლების სიცოცხლის პულსს და ნოდარ ჯანბერიძის

თქმით – მაუგლის „ველურ“ სილალეს. ფერადი ფანქრებით შესრულებულ პირველ ვერსაში (1961; რითაც ვფიქრობ, ბავშვთა გულიც მოიგო ამ მათვის საცნობი მასალით), ფერითი ენერგია და სისადავეა შეხამებული. მოგვიანო, უალრესად მრავალგვარ, ზოგან მკვეთრად ექსპერიმენტულ ვერსიებში, ურთიერთგამამდიდრებლობის მოულოდნელი შესაძლებლობებიც გაცხადდა. გარდა „მაუგლის“ ვირტუოზული დასურათებისა, საუკეთესოთაგანია იროდიონ ევდოშვილის „უბედური ქორბუდას“ გაფორმებაც თავისი „მსუნთქავი“ სივრცეებით, სიხალვათე-თავისუფლების განცდით, ბუნების სურათთა მაღალი ჰარმონიულობით, რითაც უფრო მეტად მძაფრდება ტკივილიანობა ამ მწუხარების მომგვრელი ნაწარმოებისა (1961).

\* \* \*

1960-იანი წლებიდან ჩნდება ისეთი „დამოუკიდებელი“ პეიზაჟები, რომლებშიც უკვე პუანტილისტური „სტანდარტებიც“ არის დაძლეული. იმხანად მეტ კონსტანტურობას იძენს ბევრ სხვა ქართველ ოსტატთან საზიარო „სეზანიზმის“ ტენდენციები, რაც დიდი



ფოტო. ალექსანდრე გარებალაძე დოზო  
ჭიჭიანარესთან ერთად, კონტრატზე  
შუშარგის დროს. 1952წ.



ესაკიობ დოდო ჭიჭიაძის პორტრეტი. 1952.  
შ. 179X95. ხელოვნების მუზეუმი

მრავალგვარობით გამჟღავნდა ჩვენში.

ამასთანავე აღ. ბანძელაძის რიგ ლანდ-შაფტებში ჩენილია ცის გამოსახულების უარმყოფელი, ფართო ზედაპირები მთის კალთებისა, რაც ტრადიციულია ქართული პეიზაჟისათვის ჯერ კიდევ XX ს-ის 10-20-იანი წლებიდან და თავისებურად მჟღავნდება 1960-იან წლებშიც. აღ. ბანძელაძესთანაც – ზოგ შემთხვევაში სახასიათოა დიდმასშტაბიანი, „მთური“ ზონების კონტრასტი კამერულ გამოსახულებებთან, რაც, მაგ., თენგიზ მირზაშვილის პეიზაჟებს დიდ ტე-

ვადობას სძენს. ამასთანავე, ასეთი მიდგომა გარკვეულ „რელიეფისებრივობასაც“ აყალიბებს. აბსტრაქტორების ზღვარზე ყოფნით, მსგავსი ლანდშაფტები ჯიბსონ ხუნდაძის „კონცეფციურ“ მიდგომასაც ენათესავება. თუმცა მალევე, აღ. ბანძელაძის პეიზაჟებში სხვა გეზი იქცევა წამყვანად, რომელიც, მხოლოდ გარკვეული ოდენობით, კუბიზმთან არის მიახლოვებული, კერძოდ ფერითი სიძუნებითა და კონსტრუირებულობით. მათში ერთგვარ რაციონალურობას ერწყმის „ლონიერ“ ძაბვაში რეალიზებული დეფორ-



გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი. 1952.  
ტ.ზ. 140X106. ხელოვნების მუზეუმი

მაციის ემოციური მუხტი. და მაინც – აქაც საცნობია მშობლიური სივრცეები – მთათა “აღმავალი” კალთებითა და მათზე “ორგანულად” ამომართული, მომცრო დარბაზული ეკლესიებით. თუმცა კუბიზმის რადიკალურ “კონსტრუქციულობასთან” იქნებ უფრო მიახლოვებული გრაფიკული ნახატი იყოს, სახელწოდებით “გოგონა ფანჯარასთან” (1961), რომელშიც სიხისტესთან ერთად, არც ორგანულობაა მთლად მივიწყებული.

\* \* \*

თუკი პორტრეტებს მივუბრუნდებით, აქვეა გამოსაკვეთი, რომ მხატვრისათვის ნამყვან “მუზად” იქცა ქალბატონი მადონა აბრამიშვილი, ალ. ბანძელაძის მეუღლე. მისი უჩვეულო, ორიგინალური გარეგნობაც იყო ინსპირაციის ხელშემწყობი. მეტნაკლებად

ექსპერიმენტულ ამ პორტრეტებში გახსნილია არა მხოლოდ სათნო ქალურობა, არამედ ძლიერი ხასიათიც. სურათებში მეორადი არ ჩანს პიკასოსეული გამოცდილების გათვალისწინება და შეიგრძნობა “ინტიმურ-მონუმენტურ” საწყისთა შემოკრებაც. მოგვიანო, 1970-იანი წლების მოხატულობებში, მეუღლეთა განუყრელი წყვილიც ფიგურირებს.

\* \* \*

ნატურმორტს ალ. ბანძელაძის შემოქმედებაში საკუთარი ადგილი აქვს, თუმცა ნამუშევართაგან ცოტადა შემორჩა. ზოგი ნატურმორტი ანდრე დერენთან დიალოგს ნათელყოფს მასალის თვისობრიობის გახსნით და საგანთა კონცენტრული ექსპრესიით.

“ლამფიან ნატურმორტში” (1963) მოუსვენარი, სენსიტიური კონტურის ირეგულარუ-



ფოტო. ალექსანდრე გაძალაშვილი და გალაკტიონ თაბიძე 1950-იანი წელი.

ლი მხატვრული “დატვირთვა”, ზედაპირის თამამად დაწერილ, რამდენადმე უთანაბრო, თავისუფალ ფერადოვან “ქსოვილს” ერწყმის.

\* \* \*

1960-იანი წლების დასაწყისიდანვე, მის ფიგურატიულ სურათებში უაღრესად გაბედულ, ჩვენი გარემოსათვის მით უფრო “გამომწვევ”, ღრმად ანალიტიკურ და არსით “ნეომოდერნისტულ” ტენდენციებს ამოვიკითხვათ.

მაგ., „გოგონას პორტრეტში” (1960) ჯერაც რეალისტურთან ახლოს მყოფ მონახაზს “მატისისეული”, სადა ლაქოვანება ეხამება, თუმცა ორ-სამ წელინადში რადიკალური მიდგომები ჩანს, მით უფრო საბჭოური გარემოსათვის. ეს ვლინდება “აცდენილ” რიტმებში, ხატოვან “აპერაციათა” ხაზგასმაში, ასიმეტრიულობის ეფექტებში, პარადოქსული, „მორი მიახლოვებითობის” გზით თავად წარმოსახვის აქტივიზაციაში და სხვა. უთუოა, რომ ნახატის სარწმუნობის გამოც, მხატვრულად გააზრებულ ნგრევას სტრუქტურიზაცია ახლავს. დეფორმაციაც და უტრირებაც - რეალურად ფუნქციური და მხატვრულია. ამის კარგი მაგალითია “რუსკა”, (1963), რომელშიც ჩენილია მეტყველი “გადახრები”. ერთ-ერთი “ნიუ” (1967), მიუხედავად მონახაზთა გაქანებისა და ჰიპერბოლური ტრანსფორმაციებისა, მოხდენილია და გრაციოზული (იგი მოიწონა გამოჩენილმა

ხელოვნების ისტორიკოსმა ჰანს ბელტინგმა).

\* \* \*

საინტერესო პრობლემაა, თუ როგორ გამოვლინდა ალ. ბანძელაძის პორტრეტებში აბსტრაქციონიზმის გამოცდილება. ამის თვალსაჩინო ნიმუშია პროგრამული “ავტოპორტრეტი” (1977). აბსტრაქციონისტული ტილოს “მოუფარგლავი” თავისუფლების კვალი პარადოქსულად ეხამება პორტრეტულ ამოცანათათვის ნიშნეული კონკრეტულობის მოთხოვნებს. ეს “ნეო-სეზანისტური” პორტრეტი, პიროვნების სიმტკიცისა და “შინაგანობის” ღრმა გახსნით, უმჯობესთაგანია მის სურათებში.


ალ. ბანძელაძეს თავის პორტრეტებში აინტერესებდა გამორჩეული, სოციალურად აქტიური, არაორდინარული, ძლიერი პიროვნებების ასახვა. მათში გამოირიცხება სალონურობა. სურათები დაძაბული, ზოგან კი დრამატიზებულიც არის. “ნეო-მოდერნისტულობით” ისინი თითქოს რამდენადმე საზიაროა ავთანდილ ვარაზის პორტრეტებთან, ოღონდაც სხვაობა არსებითია: ა. ვარაზს იზიდავს ხშირად მიუსაფარი, მარგინალური პიროვნებები, ღრმად აღელვებს მათი მარტოსულობა, ტკივილიანობა, შეფარული ტრაგიზმიც კი. პერსონაჟები ინტროვერ-



გრიგოლ აგაშიძის პორტრეტი. 1953.  
ქ. 18x16. კორპო კოლექცია




თამარ აბაკოლიძის პორტრეტი. 1952.  
ტ.ზ. 111X96. ხელოვნების მუზეუმი



საართაკ გადაშვილის პორტრეტი. 1955.  
მუჭ. ზ. 37X28. კერძო კოლექცია

## სოფელის ბანებრძები



ქ. „პიონერის“, ყდა. 1956.  
№6. პოლიგრაფიული ანაგეზი

ტირებულია — იქ არც ჩანს ალ. ბანძელაძი-სეულ “გმირთა” შემართება, ანუ ა. ვარაზთან სულ სხვა ხასიათის აქტივობაა — შიგნით ჩა-ბრუნებული, “თვითმიყურადებული”...

\* \* \*

ალ. ბანძელაძის მონუმენტალისტობა განსაკუთრებული თვალსაჩინოებით გამ- ულავნდა “არსენას ლექსის” დამსურათებელ მეორე ვარიანტში, (რასაც აღნიშნავდა გამო- ჩენილი მკვლევარი თინათინ ვირსალაძე).

დიდი ზომის „პოლიფონიური“<sup>7</sup> პოლიპ- ტიქი „ლეგენდის გაგრძელება“ (1971; რო- მელიც მიეძღვნა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს), „სიმბოლურ-თხრობითი“ კომ- პოზიციაა. მასში რამდენადმე დანაწევრება იკითხება, თუმცა ცალკეული “ელემენტები” (მაგ., შესაძლოა, ატენის რელიეფით შთ- აგონებული ირმების ფიგურები), მძლავრად შეხებადი და სტრუქტურულია — აქ თითქოს ფრაგმენტები უფრო მონუმენტური, ვიდრე მთლიანი წყობა. დამახასიათებელია მკაფიო გეომეტრიზაციის ტენდენცია, ოვალურ და “ბასრად” ტეხილ მონახაზთა კონტრასტები.

“მძლეველ-ტრიუმფატორად” აღქმული, ამხ- ედრებული ამირანის ფიგურა უკიდურესად დეფორმირებულია. მასში თითქოს წმინდა გიორგის ალუზიაც ამოიცნობა. იგი საქართ- ველის ზოგად “სახედ” იკითხება როგორც ჩანს, ოსტატს აქ ამაღლებულობის გადმოცე- მა სურდა. მისდამი კონტრასტულია უფრო ინტიმური “გახსენება”, დაღუპულ გმირებს რომ ეძღვნება...

მხატვარმა სცადა გადმოეცა ოპტიმისტუ- რი პათოსიცა და მასტებურობაც ამ დიდზო- მიან ნაწარმოებში. ფორმის თვალსაზრისით კი კვლავ პირობითად “რელიეფისებრმა” პრინციპმა იჩინა თავი.

ამის შემდგომ, მხატვარი უკვე ფრესკულ მოხატულობებსაც ასრულებს, პირველყ- ოვლისა, ვეხები ან აღარარსებულ ფრეს- კას სახელწოდებით “ქართული სოფელი” დილმის სასურსათო უნივერსამში (1976). ეს



გ. ლაპარაია, „ნეპი“, ილუსტრაცია, ქ. „ცისკარი“, 1957, №6, პოლიგრაფიული ანაგეზი

7. ოთარ ეგაძე. მხატვართა შორის. თბ. 1976



დ.დავით, „როგორიც პრუზა“, ილუსტრაციები, 1956, პოლიგრაფიული ანგაზლი


იყო “ლენტისებრ” გაშლილი, უზარმაზარი კომპოზიცია. წინა პლანს ავსებდა თითქმის იზოკეფალური, მსხვილმასშტაბიანი ფიგურები, ხოლო უკანა პლანი, კონტრასტულად უფრო დაწვრილმანებულ და მეტად პირობით ლანდშაფტს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, მთელ ზედაპირს აერთიანებდა თითქმის ორნამენტისებრი, “შეყოვნებულ-დენადი” სვლები რთული, ურთიერთმონათესავე კონფიგურაციებისა, რომელიც მსჭვალვადა ადამიანთა გამოსახულებებსა და დიდნილად — გარემოსაც. ამის შედეგად ყალიბდებოდა ერთიანად “მდენი”, მოუსვენარი ზედაპირი. აქაც ნაკლები იყო ხარისხი მონუმენტურობისა “არსენას ლექსის” გაფორმებასთან შედარებით (დეტალთა სიმრავლის გამო), თუმცა ამ მოხატულობასთან ერთგვარ “მაკავშირებლად” აღიქმება მოზრდილი, შედარებით ლაკონიური ფერწერული ტილო „არსენა და ვაჭრები“, რომელშიც კვლავ არსენაა მთავარი პერსონაჟი. მის „კონცეფციაში“ მულავნდება როგორც ზემოაღნიშნული წიგნის მხატვრობის უშუალო გამოცდილება, ისე საგარაუდოდ, შესაძლოა — „სამომავლო“ ფრესკასთან „მიახლოების“ წინასწარი განხნყობაც.

“ქართულ სოფელში” ნახატი ძალიან დინ-  
ამიკურია, მაგრამ “არმატურისებრ” ხელმტ-

კიცეც. რიგ ფიგურებში მძაფრია ჭარბზო-  
მიანი აქცენტებიც. აქ „წარდგომილი“  
პერსონაჟები (თანაც მრავალგან), ფორმით  
აქტიურნი, ხოლო განწყობით – რამდენად-  
მე წერტრალურნი ჩანან (გარდა „შურა-მა-



ე. ჰემინგუეი, „მოცეცი და ზღვა“, ილუსტრაცია,  
1957, პოლიგრაფიული ანაგეზე



„აქალაქი“, 1957-1958.  
ე. ზ. 34X28. დიმიტრი შევარდაპის სახ. ეროვნული გალერეა



დონას” წყვილისა). შესაძლოა, ყველაზე მიმზიდველი “მაუგლის” ილუსტრაციების შემახსენებელი, ანიმალისტური ჩანართები იყოს, მეტი ლაკონიზმითა და ღონიერი პლასტიკურობითაც გამორჩეული.

ერთგვარი “ფოლკლორიზაციის” დროს, აქ არ ჩანს ის “ზღაპრულობა” და თანაც თეატრალურობა, მაგ., ნიკოლოზ იგნატოვის ფრესკებს რომ ახასიათებს – მით უფრო – ნახატი ლამის “ჭედურობისდამაგვარია”.

სივრცის აგება, მიუხედავად “უსასრულო განშლა-მოძრაობისა”, უფრო მეტად თითქოს ერთგვარ “დაპრესილობას” ატარებს და ადრეც მრავალგან ჩენილი “რელიეფისებრივობის” ახალ ვარიანტს გვთავაზობს.


მიუხედავად კომპოზიციის ფარდაგით გამოყოფილ ცენტრში “ეთნო-დეტალების” მრავლად შემოთავაზებისა (თუმური ქუდი, ჩიხტიკოპი, ყაბალახი და სხვ.), ამ მხარეზე მეტად, ოსტატს წმინდა ფორმალურ “ხატოვანებათა” ქმნა იზიდავს და მეტიც – იტაცებს. თუმცა მთელ ძალუმ პლასტიკურ ენერგიაში ამასთანავე, არსებითი მნიშვნელობის პოზიტიური მუხტიც შეიგრძნობა – შეფარულად, აქ ერის შემოქმედებითი პოტენციალის დიდი რნმენაც უნდა იგულისხმებოდეს და სოფლადსიუხვის ნატვრაც.

საერო რიგის მოხატულობათაგან ღირსშესანიშნავი მაგალითი (მეტი მიზან-მიმართულობის გამო), აფხაზეთში, კერძოდ გულრიფშში შესრულებული “არგონავტიკა”, რომელიც მოსკოვური “ლიტერატურული გაზეთის” დასასვენებელ სახლში ერთ-ერთ კედელს ამშვენებდა (1977). ზღვისპირა დასახლებაში ძველკოლხური მისტერიების გახსენება, ცხადია, არ იყო შემთხვევითი – ამასთან, ალ. ბანძელაძე თავის მიღომებში ყოველთვის ქვეყნისათვის საკვანძო თემებს უტრიალებდა...

ფრესკაში “სიმულტანური სიმჭიდროვით” მოიყარა თავი ეპოსის მრავალმა ეპიზოდმა. აშკარა, ზღვრული პირობითობის ხარისხი აქაც ნათელია. შეკუმშულად წარმოჩენილი მიკროკომპოზიციები, მთლიანობაში ამოგვაცნობინებს წამყვან სცენებს,




„არსენა“, შესვებრი ნათლიგამასთან, 1957-1958.  
ქ.გუაშ. 33X27,5. ფიზიტრი შევარდაძის სახ.  
ეროვნული გალერეა



„არსენა“, არსენა ციხეში, 1957-1958.  
ქ.გუაშ. 37X27,5. ფიზიტრი შევარდაძის  
სახ. ეროვნული გალერეა

## არგონავტების მიზანი




„არსენა“, გადცევა, 1957-1958.  
ქ. 8. 34X28. დიმიტრი შევარდნაძის სახ.  
ეროვნული გალერეა

სადაც გარკვეულ აქცენტებს ქმნიან აიეტი, იასონი, ჰელიოსის ციური ცხენები, თავად არგო, არესის ჭალის წმინდა მუხა ოქროს საწმისითურთ, ცხადია – მედეა და სხვანი. პერსონაჟები არა იმდენად დემონსტრაციულნი, არამედ უფრო მეტად ქმედითნი არიან. ამ თვალსაზრისით, გასახსენებელია, მაგ., იასონის ჭიდილის სცენა ხართან, რაც მისი ინიციაციის ურთულეს ეტაპთაგანი იყო. ეს ბრუტალური გამოსახულება ჩვენში ერთხანს გავრცელებულ, „ექსტრემალურ“ კურულს შეგვახსენებს, რომელიც ქართველ მკვლევართა თანახმად, კრეტულ ხარებთან რკინებების რიტუალს ეხმიანება. კარგად საცნობია სახელმოხვეჭილი მედეაც – ცოტათი საგანგებოდ თვალმისაპყრობი, ენერგიასავსე „პოზირებით“ გამორჩეული.

კირილ ზდანევიჩის მიერ მოხატული არტისტული კაფე „არგონავტების ნავის“ შემდგომ,<sup>8</sup> ჩვენი კულტურისათვის ამ უმნიშვნელოვანეს თემასთან დაკავშირებული

ასეთი მასშტაბის მოხატულობა, ვგონებ, არც გვქონია. ანტიკურ მხატვრობასთან მიმართების ოდენობა აქ უფრო ნაგულისხმებია, ვიდრე გათვალსაჩინოვებული (თანაც ანტიკურობა ხომ არგონავტიკის თემატიკას უპირატესად მხატვრულ კერამიკაში მიმართავს, და არა ფრესკაში). ამდენადაც, აქ „საკუთრივი“ ფორმათქმნაა ნამყვანი, რომელშიც გვეძლევა ეფექტურად „მოუხეშავ“ დეფორმაციათა ფართო, მაგრამ „ერთსულოვანი“, ძარღვიანი ვარიაციები, გარკვეულწილად მონათესავენიც კი „ქართული სოფლისა“, თუმცა მონუმენტურობის პრინციპი „არგონავტიკაში“ ბევრად სარწმუნოდაა რეალიზებული. სცენებიც უკეთ ნაკითხვადია და შედარებით „მსხვილად“ დიფერენცირებულიც – თავისებური „ზონების“ სახით.

გულრიფშში, „ლიტერატურული გაზეთის“ ინტერიერში, გარდა ალ. ბანძელაძის აბსტრაქციონისტული ტილოებისა (ეს „დაუშვა“




„არსენა“, 1957-1958. ქ. გუაშ.  
35,5X29,5. დიმიტრი შევარდნაძის  
სახ. ეროვნული გალერეა

8. ნანა ყიფიანი, თბილისის მოდერნისტულ-არტისტული კაფე „არგონავტების ნავისა“ და მისი მოხატულობის რესტავრაციის შესახებ, ძველი ხელოვნება დღეს, 07.2017



„არსენა“, შეკვედრა კუჭატველთან, 1957-1958. ქ.ზ. 35X68,5. ღიმიტრი შევარდნაძის სახ. ეროვნული გალერეა

ამ დაწესებულების ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ 1970-იან წლებში), გამოფენილი იყო დიდი ზომის, ძალიან მნიშვნელოვანი ფერწერული სურათი “პუშკინი თბილისში” (1970). იგი ზემოგანხილულ მოხატულობებთან შედარებით (რასაც მხოლოდ გარკვეულწილად განაპირობებდა დაზგურობის ფაქტორიც), გაცილებით მოქნილი პლასტიკითა და სიხისტეთა “გადალახვითაც” გამოირჩეოდა. ალაგ ნყვეტილი, ცოცხლად მდინარი, მსუბუქი, თუმცა იქვე, ენერგიულობით აღვსილი კონტურები, ფართოდ “გადასმული”, ხანდისხან “ლიგატურული” ლაქები, მომწვანო ინტონაციებით გაერთიანებული გამა – შთანმბეჭდავს ხდიდა ამ სურათს. მასში ნაირფერი ხერხებით ნარმოჩინდა თითქოსდა “ხილვისეული” ძველი თბილისი (რომლის “ფრაგმენტები” თუმც კი, “არსენას ლექსის” გამფორმებელ მეორე ვარიანტში უკვე გამოჩნდა). ამ სურათში ვხედავთ კოლორიტულ „ტიპაჟებს“, ბანიან და აივნიან სახლებს, სერპანტინისებრ ხვიარა ქუჩებს – ალ. ბანძელაძისეული მხატვრული ხერხების ეფექტური ძალით — უფრო მძლავრად “ამ-ეტყველებულთ”. ამ ტილოს, გამომსახველო-



„არსენა“, 1957-1958. ქ.გუაშ. 32,5X28. ღიმიტრი შევარდნაძის სახ. ეროვნული გალერეა

ბის თვალსაზრისით, რამდენადმე უკავშირდება მხატვრის “ძველთბილისური გრაფიკაც” (1960), რომელიც ზემოაღნიშნული ნამუშევრის მსგავსად, თავისი XX საუკუნისეული, კარგად მიგნებული, ფუნქციური დეფორმაციებით, ან განადგურებული ძველი ქალაქის “დაუოკებლად მდინარ”, მოუსვენარ, ერთ-



ერთული სოჭელი. 50-იანი წე.  
მუჟ. 49,5X70,5. პორტრეტი

გვარად „ალმა-დაღმა მსრბოლავ“ რიტმს ეს-ადაგება. ორსავ შემთვევაში „ნეომოდერნისტულ“, არტისტულ, გამახვილებულ ხერხთა დაუძაბველი ფლობაც, და თითქოსდა „შემთვევით“ მიგნებათა ეფექტურობაც ჩინებულად არის ხორცშესხმული, ოღონდ სხვა მასშტაბითა და გაქანებით, ეს რეალიზებულია სწორედ ნაკლებ მკაცრ ტილოში „პუშკინი თბილისში“, რომელიც, „თბილისური გრაფიკის“ შედარებით დინჯ სტაბილურობასთან მიმართებით, გაცილებით მეტად მოძრავია. ხელშემწყობი ფაქტორი, ჩანს, თავად პუშკინის ტექსტიც უნდა ყოფილიყო, რომელიც თბილისა და მთელ საქართველოს უდიდესი კეთილგანწყობით იხსენიებს. მისმა თავისუფლების მოყვარე სულმა ჩვენი დედაქალაქის ერთ დროს მართლაც განსაცვიფრებლად შემოქმედებით ზეიმურობაში, ეტყობა, მისთვის ბევრი რამ გულმისავალი იხილა...



ნელი ჩიქოვანის პორტრეტი. 1957.  
ფ. 106X82. დავით კავაშარის სახ. ქუთაისის  
სახვითი ხელოვანების გალერეა



მადონას პორტრეტი. 1957.  
ზ.ზ. 96,6X82. მუზეუმის საკუთრება



პითევისას მოჩენა. 50-იანი წე. ტ.ზ. 65,5X79,6. ოვალის საკუთრება

\* \* \*

ალ. ბანძელაძის აბსტრაქციონისტულმა ტილოებმა სრულებით ახალი ეტაპი დაამკვიდრა ჩვენს მხატვრობაში.

ინფორმაციული სიმწირის მიუხედავად, ისტატი აღნევს XX საუკუნის ძირეულ მიდგომათა და ხერხთა მოხელთებას, რაც მის მხატვრობას უახლესი დროის კონტექსტში ორგანულად რთავს. ეს ცხადია, ეხება მის აბსტრაქციონიზმსაც, რომლის დამკვიდრებაში დავით კაკაბაძის შემდგომ, გადამწყვეტი როლი აქვს შესრულებული.

1960-იანი წლების დასაწყისშივე გამოიკვეთა, რომ იგი უკომპლექსოდ შეეჭიდა ამ ურთულესი მიმდინარეობის წვდომას.

ალ. ბანძელაძის აბსტრაქციონისტული ტილოები “პიროცესუალურია” შესრულების აქტის გამახვილებითა და თავისებური “აქ-

ტივიზმით”. მონასმები “ნაკადოვან-ჭავლური” და პოლიტიკულია. ეს “სურათები” სენსორულიც არის და გრძნობითობის მძლეველიც, “ბიოენერგეტიკულიცა” და „ზემატერიალობისაკენ“ სწრაფვით გამორჩეულიც. ფართო “გაქანება” და ზედაპირთა “მონუმენტური” დაუფლების სურვილი, “ჯაზისებრი” იმპროვიზაციულობა და “მუდმივალმოჩენადობა” – ეს არსებითი მახასიათებლებია. სტრუქტურულობისა და უეცარი “ბიფურკაციების” შეხამება ფერწერული დრამის ხასიათს ატარებს. უფრო მკაფიოდ გეომეტრიულ ნიმუშებშიც, მაინც დაცულია რაღაც ოდენობა არარიგორსტულობისა, ფერწერული “მსუნთქავობისა”.<sup>9</sup> მთლიანობაში მხატვარი არა მარტო დაეუფლა აბსტრაქციონიზმის ენას, არამედ ნათელყო მჭევრმეტყველების უნარიც ამ ენაზე.

9. ჰუბერტ გასნერის ყურადღება მიიპყრო „რიტმულად მოფარფატე აბსტრაქტულმა ხაზობრივმა ფიგურებმაც.“ Georgia on my mind. Museum Fredericianum Kassel. 1989 (იხ. ამ კატალოგში მისი „საქართველო, როგორც ფორმა“)



ქართული სოჭელი. 50-იანი წე.  
მუჟ. ზ. 50X70,5. კერძო კოლექცია

მის აბსტრაქციონიზმში ჩენილი მძლავრი, ზოგან ლამის ბობოქარი ენერგიები ცხადყოფს, რომ იგი საცნობ ატმოსფეროში აღმოჩნდებოდა თუნდაც ვილეებ დე კუნინგის გვერდით<sup>10</sup>, თუმცა დე კუნინგის „ტილოზე ვერდატეულ”, ფეთქებად, „აღტკინებულ ძალებთან” მიმართებით, ალ. ბანძელაძე მაინც გაცილებით ზომიერ ოსტატად აღიქმება, რაც ჩვენი კულტურული ტრადიციის მახასი-ათებელიც ჩანს.


დავით კაკაბაძის „აბსტრაქციებთან“ შედარებისას ცხადი ხდება, რომ დავითი ბუნებრივი, უშუალო თანამონანილე იყო მისი დროის ნაკადისა, ხოლო ალ. ბანძელაძე, მართალია, უმაღლესი რანგის, მაგრამ “ნეოავანგარდისტია”, თანაც დიდხანს იგი ხომ თითქმის “მარტოსული” აბსტრაქციონისტი იყო, რაც შინაგანი მოტივაციისა და თვითრწმენის უდიდეს სიმტკიცეს ნათელყოფს. (ილია ზაუტაშვილის აზრით, მასთან აბსტრაქტული

ექსპრესიონიზმის ნიშნები კი არაა მთავარი, არამედ პირველყოვლისა, ახალი კუთხით დანახული ექსპრესია). ამას გარდა, დავით კაკაბაძისეულ ამ რიგის ქმნილებებში, მთელი “კოსმიური უსაზღვროების” გადმოცემისას, კლასიკური წესრიგის შემომტანი დამატებითი მოჩარჩოებაც არის ჩართული,



სოჭლის ხელი. 50-იანი წე.  
მუჟ. ზ. 18,7X25. კერძო კოლექცია

10. თინათინ სენიაიძე, ალექსანდრე ბანძელაძე, თბ., 2004



„დიდი მოურავი“. გიორგი სააკაძის პორტრეტი. 1950-იანი წელი.  
ე.ზ. 35X30. დიმიტრი შევარდნაძის სახ. ეროვნული გალერეა

ანუ — უზღვაროში იგი ზღვარეულობასაც არ ივიწყებს, ხოლო ალ. ბანძელაძესთან ჩვენ მეტ სპონტანურობასაც და „ასიმეტრიულ“ საწყისთა მთელ „გამას“ ვხედავთ. თუმცა რიგ ნამუშევართა წინასწარ ესკიზებში ისიც ჩანს, რომ ზოგიერთი ქმნილება მაინც, პირდაპირ კი არ იშვებოდა ტილოზე, არამედ გარკვეულ, რამდენადმე რაციონალურ „მატრიცებსაც“ გულისხმობდა...

ერთხელ მხატვარი მესაუბრა ხის სტრუქტურაში ჩენილ შინაგან ლოგიკაზე. ეს ნააზრევი მაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, მის „აბსტრაქციათა“ ნაწილისათვის მაინც ნიშნეული — „ზრდა-ვიტალურობის“ მახასიათებლები, არა მხოლოდ განყენებულად „თვითმბად“ ფორმებს, არამედ რეალურ (თუმცა შეფარულ) პირველსაფუძვლებსაც გულისხმობდა...

ალ. ბანძელაძის შემოქმედებაში გვაქვს ლამის „ბაროკულად“ მძაფრი მაგალითე-



„დიდი მოურავი“. 1950-იანი წელი.  
ე.ზ. 32X30 დიმიტრი შევარდნაძის სახ. ეროვნული გალერეა

ბი, თუმცა არსებობს სულ სხვა რიგის, პირობითად, „ანონიმურობით“ გამორჩეული ნაწარმოებებიც. ასეთია მომცრო ტილო ე.წ. „აბსტრაქცია“ (1968), რომელიც თავისი „დაწურული“, „ანონიმური“ კონფიგურაციით, რამდენადმე „მინიმალ-არტს“ (საკუთრივი ფერწერული საშუალებებით) ეხმიანება.<sup>11</sup>

აბსტრაქციონიზმის ზოგი გამოხატულება მასთან „სიურეალისტურ არომატ-საც“ ატარებს. ასეთია ცოტათი შემზარავი „მისი უდიდებულესობის გამოსვლა“ (1987)<sup>12</sup>. ბოლოდროინდელთა შორის, ნარწერები-ანებიც გვხვდება, რომლებშიც ჩართულია ლათინური შრიფტი, ასომთავრული და მხედრული. ეს „მესიჯი“ მრავალგანზომილებიანობასაც ამკვიდრებს, პოსტმოდერნული „თამაშისმიერობის“ შემომტანია და არაცნობიერად, შესაძლოა, თვით „ევრო-ქართულ“ კულტურულ დიალოგსაც კი გულისხმობს საკუთარ თავში...

11. თინათინ სეხნიაიძე, ალექსანდრე ბანძელაძე, თბ., 2004

12. GEORGIA ON MY MIND. Museum Fridericianum Kassel. 1989



მაია გურაშვილის პორტრეტი. 1956.  
ქ. 20X15,7. კერძო კოლექცია


ალ. ბანძელაძემ არა მხოლოდ თავად განახორციელა დიდი ძალის მექანიზმი „ქართული აბსტრაქციონიზმის“ დამკვიდრებისას, არამედ ძალიან პოზიტიური როლი ითამაშა მის განვითარებაშიც, ვინაიდან მისი მოწაფენი თუ გარკვეულწილად – თანამოაზრებიც, უშუალოდ სრულიადაც არ მისდევდნენ მხატვრის მიდგომებს, არამედ აშკარად საკუთარ გზებსა და სტრატეგიებს ირჩევდნენ, რისი ხელშემწყობი ჩვენი ოსტატიც იყო, როგორც ადრიდანვე თავისუფალი შემოქმედებისათვის მებრძოლი პიროვნება, დიდი სტიმულის მიმცემი ახალი გენერაციისათვის. მაგ., გია ეძგვერაძე, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი ოსტატი, სულ სხვა პრინციპებს მისდევს აბსტრაქციონიზმში. იგი ალ. ბანძელაძეზე ნაკლებ პომოგენურია, გამოარჩევს მრავალშრიანობა და რთულ-სტრუქტურიანობა თუ გნებავთ, მხოლოდ ტექსტურულ დონეზეც კი, რომ აღარაფერი ითქვას შინაგან „პალიმფსესტურობაზე“.

ანდა გავიხსენოთ მხატვარი-მკვლევარი ილია ზაუტაშვილი, რომელიც თავის მიდგომებში გაცილებით დინჯია, მოთოვილი და ემოციური მუხტის მატარებლობისას, „შეფარულ-შენიდლბული“ სიღრმეების გამტარიც (გაჯერებული, ლაკონიური, „ნიშნობრივი“ ფორმებით).

საზოგადოდ, ქართული აბსტრაქციონიზმის სკოლა, მისი საერთაშორისო წარმატების საფუძველზეც, არც ეპიზოდური, და არც ლოკალური მოვლენაა, რაშიც უდიდესი როლი შეასრულა სწორედ ალ. ბანძელაძემ. ვფიქრობ, ბორის გროვისმა სწორად აღიქვა — მათ შორის მის მხატვრობაშიც, დაძაბულობა ინდივიდუალურობის, ნაციონალურობისა და უნივერსალურობის ასპექტებს შორის.<sup>13</sup> თავის მხრივ, გია ეძგვერაძე გამოჰკვეთს, რომ კომპეტენტურ პროფესიონალთა აზრით, ამ სკოლაში ბიოენერგეტიკულობა კი არაა წამყვანი, არამედ პირველყოვლისა, ძალიან ღრმა განსულიერებულობა...

\* \* \*

მხატვარმა სიურეალიზმთან წილნაყარობა არა მხოლოდ ზოგ აბსტრაქციონისტულ ტილოში ცხადყო, არამედ დამოუკიდებელი




მაია გურაშვილის პორტრეტი. 1956.  
ქ. 92X50,5. კერძო კოლექცია

13. ბორის გროვისი, ეროვნულობის გარღვევა, თუ ახალი ეროვნულობის დამკვიდრება. იხ.: GEORGIA ON MY MIND. Dumout Buchverlag, Kün. 1990


სოფელის გამზირი ბანებულება



ქუთაისი. შ. ჭუბინაშვილი, 1956, №5,  
კოლექციაზე ანაბეჭდი



ქუთაისი, ჩანახატი. 1956 წ.  
ქ. ვ. 36X30. ოქანის საკუთრება



გიორგი ჩუბინაშვილის პორტრეტი, ქ. დობოვა,  
1956, №5, 30x40 სმ.



გრიგოლ აგაშიძე, „ლაშანკელა“, ილუსტრაცია, 1958  
ქ.ა.კვარელი, 25X21. ვერძონ კოლექცია



სახითაც დაამკვიდრა ჩვენში. ამ მხრივ აღსან-იშნავია „ლურჯი ხეები“ (1965), რომელშიც მცენარეთა ფორმები, იმავდროულად სისხლძარღვთა ანალოგიურობის გამო — „ორადობას“ იძენს, რასაც „ნეოსიმბოლის-ტური“ მისტიკურობის განცდაც ახლავს — „დამეული“, ფოსფორისცირებადი განათების შედეგად. უფრო მოგვიანო, სიზმარეული „უსათაურო“ წარმოგვიჩენს საფეხურნაკლულ კიბეებზე ამომართულ, უცნაურ ბიო-არსებებს (1986), რომლებიც წარმოსახვითად უზარმაზარ მასშტაბებს იძენს, ხოლო „ორი მფრინავის“ უჩვეულობათა ექსპრესიას (1966) განსაზღვრავს აბსურდული სათაურიც, „უმისამართო“ კიბის წყვეტილობაც და უფუნქციო ჭიშკრის ფსიქოლოგიური დისკომფორტულობაც. ოსტატმა სარწმუნოდ მოიხელთა სიურეალიზმისათვის არსებითი რამ, ანუ მაქსიმალურად შეუძლებელის თვალსაჩინოდ წარმოჩენისას, თავისებურად შემძრელი კონკრეტიზაციის მეთოდი. მის თითქოსდა „ზღვისეულ“ სიურეალისტურ ნამუშევრებში შეიგრძნობა თავისებური, არაუშუალო დიალოგი ჰუან მიროსთან და ასევე ივ ტანგისთან, თუმცა ალ. ბანძელაძის „ფანტასმაგორიები“ - ფერადოვნების მხრივაც, ბევრად მოზომილია.

\* \* \*

ალ. ბანძელაძისავე შემოქმედებაში უმნიშვნელოვანესი სფეროა საეკლესიო მხატვრობა (როგორც მოხატულობები, ისე ხატერის ნიმუშები). ამ მხრივ ის პიონერთა-განია (ლ. ცუცქირიძესთან ერთად). უახლეს ქართულ ფერწერაში. XX ს-ის 70-იან წწ.-ში, როცა იგი ჩაერთო ამ სფეროში მხატვრობისა, ტაძართმშენებლობა გამოირიცხებოდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ, წმ. გაბრიელ აღმსარებლისა და სალოსის მიერ პირადი ინიციატივით, „ზემდგომთაგან“ უდიდესი წინააღმდეგობების დროს, მის ეზოში აგებული ტაძარი.<sup>14</sup> ამიტომაც, ჩვენში საეკლესიო ხელოვნების აღორძინება იწყება ფერწერით.



გრიგოლ აგაშიძე, „ლაშარება“,  
ილუსტრაციაზე. 1958. პოლიგრაფიული ანაგაზლი

ამ თვალსაზრისით, უბრალოდ გადამწყვეტი იყო უნმინდესისა და უნეტარესის, ილია II ლვანლი, რომელმაც უსერიოზულესი წინააღმდეგობის გადალახვა ითავა და გაბედულად წამოიწყო ამ თვალსაზრისით გარდამტეს წაბიჯთა გადადგმა. საგულისხმოა, რომ იგი უშუალოდაც ჩაერთო პროცესში, როგორც ხატმწერი (მიმაჩნია, რომ აღნიშნულ სფეროში, განსაკუთრებული სპირიტუალობის გამო, ის ჩვენში საუკეთესო ხატმწერიც ბრძანდება).

ალ. ბანძელაძემ დიდუბის ეკლესიის

14. ლირსი მამა არქიმანდრიტი გაბრიელი, აღმსარებელი და სალოსი.

## სრუჟესნები ბანდეფრთხი

გარდა (1979-1989)<sup>15</sup> ქრისტიანული მხატვრობის კვლავ დამკვიდრება პატრიარქის ძველი რეზიდენციის მოხატვითაც წამოიწყო (1978). ცხადია, რომ განუზომლად რთული იყო დიდუბის ტაძრის ფრესკებით მორთვა, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ რეზიდენციის მხატვრობა თავადაც, უზარმაზარი მნიშვნელობის გარღვევას წარმოადგენდა. უდიდესი დატვირთვა ამ მოხატულობაში ენიჭება საეკლესიო და საერო საწყისებს შორის ინტეგრირებულობის იდეის აქცენტირებას,



ვაჟა ფშაველა, „შვლის ცუკრის ნაამპობი“, ილუსტრაცია 1962, პოლიგრაფიული ანაპაზლი

რაც ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის არსებით, გადამწყვეტ მახასიათებელსაც წარმოადგენდა. აქ მხოლოდ რამდენსამე ასპექტზე გავამახვილებ ყურადღებას: განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ამ ფრესკაში ის გამოსახულებაა, რომელიც ცნობილია ტრადიციული სახელდებით - „ღვთისმშობელი ყრმით“. იგი პლასტიკური ძალმოსილებით, დიდი ფორმისეული გაბედულებითა და სარწმუნო მონუმენტურობითაც გამოიჩინა. ბევრად თავდაჭრილი და ტრადიციასთან უფრო უმუალოდ წილნაყარია, მაგ., ქართველ მეფეთა გამოსახულებანი, რომელთა მეტაციი იერი თავისებური „ჩანართის“ სახეს იძენს.



ვაჟა ფშაველა, „შვლის ცუკრის ნაამპობი“, ილუსტრაცია 1962, პოლიგრაფიული ანაპაზლი


არაჩვეულებრივად მეტყველია რიგი „საერო“ ხასიათის სცენებისა, რომელთაგანაც გამოვყოფი მეურმის ფიგურას. ჩემი სუბიექტური აზრით, იგი ფიროსმანაშვილის შემდგომ, ყველაზე სიღრმითად წარმოაჩენს ამ შემთხვევაში, მეურმე ქართველი გლეხკაცის სახეს. მასში არაჩვეულებრივი ხატოვანებაა მიღწეული გამიზნული დეფორმაციებითაც და, რაც მთავარია, კონცენტრული სახასიათობითაც. საერო მოხატულობათა გამოცდილება ამ ფრესკაში ახალ ხატოვან სიმაღლეზეა წარმოჩნდილი.

ნანარმოებში ოსტატმა, ვფიქრობ, მოახდინა იმის აქცენტირება, რომ მართლმადიდებლობა, დიმიტრი თუმანიშვილის თქმით, ნამდვილი ხერხემალია ჩვენი კულტურისათვის — თავისი ღირებულებათა სისტემის უმაღლესი განზომილებებით, რომელიც დღესაც საორიენტაციოა ჩვენი საზოგადოებისათვის.

\* \* \*

თუმცა ყველაზე უშუალოდ საეკლესიო ფერწერის რეალური აღდგინების, უკეთ კი გაცოცხლების პროცესი, ალ. ბანძელაძემ სწორედ დიდუბის ეკლესის მთლიანად მოხატვით წამოიწყო. აქ, რაღა თქმა უნდა,

15. ე. კოჭლამაზიშვილი, თ. ტორონჯაძე. დიდუბის ღვთისმშობლის ტაძარი. „ჯვარი ვაზისა“, 1992, №1.



ი.ევლოვალი, „უგედური ეორეულა“  
ილუსტრაცია, 1961 პოლიგრაფიული ანაზოგი


„უგედური ეორეულა“ ესპიზები ილუს-  
ტრაციისთვის, 1961, ქ.ფ. 28,5X43. ოჯახის  
საკუთრება

სრულებით გადამწყვეტი იყო ჩვენი პატრი-  
არქის მხრივ გამოჩენილი შორსმჭვრეტელი  
სტრატეგია. მან ხომ უზარმაზარი ნდობა  
გამოუცხადა ერთ ჩვენს ნამყან ოსტატთა-  
განს, წავიდა რა უზარმაზარ რისკზე. უწ-  
მინდესის ამ ნაბიჯში გამოვლინდა როგორც  
დიდი რწმენა ქართველთა შემოქმედებითი  
და სულიერი შესაძლებლობებისა, ისე უტყუ-


არი ალლოც – უნიჭიერესი და თანაც მონუ-  
მენტალისტი ოსტატისათვის ამ ურთულესი  
საქმის მინდობის დროს.

რაღა თქმა უნდა, ეს მხატვრობა არსები-  
თად, საეკლესიო ფერწერის თავიდან დაწ-  
ყებას უფრო ნიშნავდა, ვიდრე ხანგრძლივი  
წყვეტის შეგსების ცდას. ადრეულთაგან  
ერთადერთი გამონაკლისი საბჭოთა ეპოქაში

## სოფელთან ბაზების გადამდებარება




პურის აღება. 1961.  
ძ.გუაშ. 41X47. დიმიტრი შევარდნაძის  
სახ. ეროვნული გამართვა



ტრაქტორი. 1960-იანი წელი.  
ძ.გუაშ. 40X47. დიმიტრი შევარდნაძის სახ.  
ეროვნული გამართვა

იყო ლადო გუდიაშვილის ეული ფრესკები ქაშუეთში (რომელიც, აკრძალვის გამო, მის მიერ მხოლოდ ნაწილობრივ არის მოხატული). ამ ნაწარმოებს განსხვავებული ხედვით აღიქვამენ, თუმცა ზოგი მკვლევარი მას უმაღლეს შეფასებას აძლევს.<sup>16</sup> არსებითი აქ ისაა, რომ 1947 წელს (სტალინის ეპოქაში!)

ქართული ეკლესიის საჭეთმცყრობელი, უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე (ცინცაძეც), თუმცა კი საეკლესიო ხელოვნებას კარგად გაცნობილ, მაგრამ, პირველყოვლისა, სახელმოხვეჭილ საერო ოსტატს ანდობს ამ ურთულესი საქმის დაძლევას. აღნიშნულ მხატვრობას შესაძლოა, „ჭარბად“ მსოფ-



სიმინდის ყანა. 1960-იანი წელი. ძ.გუაშ.  
40X59. დიმიტრი შევარდნაძის სახ.  
ეროვნული გამართვა

16. თეა ინნკირველი. ახალი საელესიო მონუმენტური მხატვრობის პირველი მცდელობა საქართველოში, გული გონიერი, №9, 1914.

## ქართული ხაზერთუნებით ხიდოსის გამოსიღნილი ფიგურა

ლიური ინტონაციებიც კი ემჩნეოდა, და ვახტანგ ბერიძის თქმისა არ იყოს, „გუდი-აშვილისეულობა“, მიუხედავად სცენათა შინაარსისა, აქ იქნებ სჭარბობდეს კიდეც საკუთრივ საეკლესიო ტრადიციას, მაგრამ იმ ურთულეს ეპოქაში, ესეც უთუოდ უზარმაზარ ნაბიჯად და, მეტიც, იმხანად საეკლესიო მხატვრობის (თუნდაც გარკვეულ ეტაპზე მაინც) ხსნად აღიქმება.

აღ. ბანძელაძესთან კი ლ. გუდიაშვილის მიდგომაზე აშეარად მეტია (თუმცა კი ალბათ მაინც არასრული) საეკლესიო ტრადიციის გათვალისწინება. მას უამრავი დაბრკოლება შეხვდა. ასლთა შემსრულებლების გარდა (ლადო გუდიაშვილის გამოკლებით), აღარც არსებობდა პრაქტიკული გამოცდილება. თავად საბჭოთა სისტემამ ხომ უენერგიულესად იღვანა ქრისტიანული რელიგიის აღმოსაფხვრელად და მისი ცრუ იდეოლოგით ჩასანაცვლებლად, რაც მენტალურ დაბრკოლებასაც უქმნიდა მხატვრებს. მართალია, არსებობდა უმაღლესი დონის ძველი ნიმუშები, იყო ქართული ხელოვნებათმცოდნეობის მიერ დაფუძნებული, ძლიერი კვლევითი ლიტერატურაც, ოსტატს კონსულტაციებს უწევდა ცნობილი მეცნიერი გურამ აბრამიშვილიც, მაგრამ ჩვენს მხატვარს, თავად ილია II მხრივ ესოდენ მზრუნველი თანადგომისა და მეტიც, უშუალო თანამშრომლობის პირობებშიც კი, უზარმაზარი ტვირთი საკუთარ თავზე უნდა აეღო, მით უფრო, შეგირდთა არარსებობისას. ამდენად, ის პირველგამკვალავი აღმოჩნდა, რადგან სიონის ტაძრის ნაწილის მომხატველ ლევან ცუცქირიძეზე ცოტათი ადრე დაიწყო დიდუბის ტაძრის ფრესკებზე მუშაობა.<sup>17</sup> თავის მხრივ, სიონის მოხატულობა, არსებითად „საავტოროა“<sup>18</sup>; მაშინ როდესაც აღ. ბანძელაძე ამ მიმართებითაც (მიუხედავად „ნეოავანგარდული“ რიგის ელემენტებისა), მაინც ბევრად „ტრადი-



ხილი. 1960-იანი წე. კ. გუამ. 62X29. ღიმიტრი შევალდეაძის  
სახ. ეროვნული გალერეა

ციონალისტურიც“ კი ჩანს (და ასეც არის მრავალთაგან აღქმული). დიდუბეში არც თუ გამართულად აღიარებული ინტერიერის მთლიანად შემკობა ფრესკებით, ოსტატის

17. ინტერვიუ ლევან ცუცქირიძესთან (ესაუბრა სოფიო ჩიტორელიძე). გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი. ელექტრონული ჟურნალი **Ars Georgica**, სერია B, 2016.

18. თეა ინნკირველი, ხატმენერი-შემოქმედი თუ ხელოსანი, გული გონიერი, № 11, 2015



შარლელის აღება. 1960-იანი წე. ქ. გუაშ. 39X46. დიმიტრი შევარდენაძის სახ. ეროვნული გალერეა

დიდ ღვაწლად აღიქმება, თუმცა არა მარტო მკვლევართა გარკვეული წრეები, არამედ თვით მხატვარიც, თითქოსდა ერთსულოვნად, ძალზე კრიტიკულად განეწყვენ ამ მოხატულობის მიმართ.

მიუხედავად რამდენადმე მართლაც „ტრადიციონალისტური“ დამხრობისა, მოხატულობა მხოლოდ გარკვეულნილად ჰქასუხობს მართლმადიდებლური ხელოვნების გამოცდილებას და შუასაუკუნოვანი მიდგომის უშუალო მემკვიდრედ ცხადია, ვერ მიიჩნევა. აღიარებს რა შუასაუკუნოვანი ხელოვნების უზარმაზარ მიღწევებს, ოსტატი უპირველესად, ახალი დროის ხელოვანია. მასთან რამდენადმე „ჭიდილიც“ კი ჩანს სამ ხედვას შორის, ანუ: 1) შუასაუკუნოვან 2) რენესანსულ-პოსტრენესანსულ 3) ნეოავანგარდისტულ საწყისებს შორის, და ამ თვალსაზრისით მხოლოდ გარკვეული ბალანსია მიღწეული. რაც შეეხება ფრესკულობას: ფრესკის სიბრტყითობა შეა საუკუნეებში არ ნიშნავდა მის „ბრტყელობას“, ანუ ლაქას იმხანად გამოარჩევდა არაილუზორული რიგის, სიღრმითი „სულიერი უსასრულობა“, და ასევე — „არაგარენტაროიანი“, შინაგანი მისტიკური შუქმფენობა.

განსახილველ მხატვრობაში კი „ფრესკუ-



ნახირი. 1960-იანი წე. ქ. გუაშ. 41X48. დიმიტრი შევარდენაძის სახ. ეროვნული გალერეა

ლობა“ მართალია, ზოგადად ჩანს, მაგრამ მოხისტო, თითქოსდა „დაფერილი ჭედურობის“ მახასიათებლებიც იხილვება. ეს არ ნიშნავს ადრეულ, შუასაუკუნოვან ჭედურობასთან უშუალო შეხებას, არამედ უფრო — ნახატის ერთგვარ, „მომსალტველ ხელმაგარობას“, რის გამოც ხაზთა დინამიკაში — სიმტკიცე-მდგრადობა შეიგრძნობა: მოცულობრივობის მინიმუმი აქ არის, ოღონდ, ხშირად სიბრტყეზე „გადაშლილი“ სახით, რის შედეგადაც არაერთგზის ნახსენები მკვრივი „რელიეფისებრივობის“ ახალი ვარიანტია ნარმოჩენილი. პალეოლიტოსურ ხელოვნებასთან და, კერძოდ, უბისის მხატვრობასთან ასოცირება აღნიშნულია მკვლევართა მიერ.<sup>19</sup> თუმცა დავძენ, რომ თუკი, მაგ., უბისაში უპირველესად ორგანული ფრესკულობაა, დიდუბეში ჭედურობის ზემოაღნიშნული, ბუნებრივია, არაპირდაპირი შემახსენებლობაც ჩანს. უბისით დაინტერესება უნდა უკავშირდებოდეს არა მხოლოდ შალვა ამირანაშვილის წყალობით მის პოპულარიზაციას, არამედ იმ მთავარ ფაქტორს, რომ აღნიშნული ძეგლი (ცხადია, არა მსოფლიხედვით, არამედ ფორმით), რამდენადმე „ავანგარდისტულ“ მიდგომებს შეგვახსენებს (მაგ., „ტეხილი“ რიტმები; მკვეთრი

19. თინათინ სეხნიანიძე, ალექსანდრე ბანძელაძე, თბ., 2004.



შორის. 1961.  
ტ. 170X89,5. ოქანის საკუთრება

კონტრასტები; ექსპრესიული სიმძაფრე; პროპორციათა მკაფიო სახეცვალებანი; კლასიკურობისაგან განრიცება და სხვ.). ეს ყოველივე, ჩანს, მიესადაგა ალ. ბანძელაძისეულ, „ნეომოდერნისტულ“ ტენდენციებს. თუმც კი, ეს ძიებანი დიდუბის ტაძრის სივრცეში, თეა ინწკირველის აზრით, გაცილებით თავდაჭერილია, ვიდრე, მაგ., ლევან ცუცქირიძისეულ სიონის მოხატულობაში, რომელშიც შესაძლოა, გაბედული მხატვრული „ჰიპერთოფირებაც“ კი იგრძნობოდეს და ასევე, მეტი ოდენობაც „ახალი მონუმენტურობის“ დამკვიდრებისა, უკეთ — ახალი კომპოზიციური იმპროვიზაციების ქმნისა ზოგადად ქრისტიანულ თემებზე, რაც თავისთავად, საგულისხმო მოვლენაა.

დიდუბის კორექტულ მხატვრობასთან

მიმართებით, გაცილებით მეტი თავისუფლება, მოქნილობა და დამაინტერესებელი მხატვრული აღმოჩენებიც ახასიათებს ალ. ბანძელაძის 1990-იანი წლების რელიგიურ მხატვრობას (განსაკუთრებით „საიდუმლო სერობის“ თემებზე).

საკუთრივ დიდუბის ფრესკებში (არც თუ მოხერხებულად ინტერიერთან მისასადაგებლადაც და მონუმენტურობის ხაზგასასმელადაც), საბოლოოდ, მეტი სიმკაცრე და მოგვარებულობისაკენ სწრაფვა აირჩია ოსტატმა.

აღნიშნულ მოხატულობაში რამდენადმე, „აგრეგატულობის“ ნიშნებიც არსებობს — კონფიგურაციები აბსტრაქტორებული ელემენტებით იგება ხოლმე, რისი პირველსაწყისებიც, ჯერ კიდევ „არსენას ლექსის“ მეორე ვარიანტში იკითხებოდა. რაც შეეხება პირობით დეფორმაციებს: ეს მიდგომა სავსებით მიზნობრივია და მიმართულიც მეტი გამომხატველობისაკენ, რის საფუძველსაც საღვთო ისტორიის დრამატული სიღრმე, მთელი სისრულით თავადვე იძლეოდა, და ეს, ვფიქრობ,



გოგონას პორტრეტი. 1961.  
ტ. 82X46. ოქანის საკუთრება



სოფიანები. 1961.  
ძ. ზ. 39X60. ფიზიტორი შევარდნაძის სახ. ეროვნული გადარენა

ოსტატმა კიდეც საკუთარ განცდაში გა-  
მოატარა.

საეკლესიო მხატვრობის სფეროს მიეკუთ-  
ვნება ასევე ხატნერის ნიმუშებიც. მათ შორის  
აღსანიშნავია საპატრიარქოს ძველ რეზი-  
დენციაში დაცული, ღრმად თანაგანცდითი  
„გარდამოხსნა“ (1979), რომელშიც სქელი  
კონტურების ზღვარეულობა უარიყოფა და  
ლაქათა რიტუალად მდენი, პლასტიკური  
გამომხატველობაა წამყვანი, ხოლო მეტებ-  
ის ტაძარში დაბრძანებულია წმ. შუშანიკის  
ხატი – მასში ასკეტური მხარეა მკაფიოდ აქ-  
ცენტირებული, რასაც წახატის ძაბვითობაც  
და ფერითი „პურიზმიც“ უწყობს ხელს (1978).

ბოლოს, უნდა შევეხოთ „ვეფხისტყაო-  
სანის“ ილუსტრაციებს (თუ ამ წანარმოე-  
ბის თანამდევ-შემმეცნებელ, „ვიზუალურ  
ტექსტებს“), რასაც გარკვეული პაუზებით,  
უკვე 1980-იანი წე.-იდან ეყრება საფუძველი.  
ოსტატი ოცნებობდა გამოენახა დრო დიდი  
ჩანაფიქრის განსახორციელებლად. განაზ-  
რახი სამწუხაროდ, წახევარგზაზე შენყდა...


მახსოვს, მას ჰქონდა ფანქრით შესრულე-  
ბული უამრავი ესკიზი, სადაც წინა პლანზე  
წამოინია არა პოემის სრულყოფილებამ, არ-  
ამედ მისმა უკიდევანო მასშტაბურობამ და  
პულსირებადმა რიტმმა. 1980-90-იანი წე.-ის  
მიჯნაზე კი ავტორმა წამოიწყო მცდელობა  
იმისა, რომ „არსენას ლექსის“ მსგავსად,  
მაგრამ ამოცანის სირთულიდან გამომდი-  
ნარე, განუზომლად მრავლისმომცველად  
და უკვე სრულიად ახალ დონეზე, დაემკვი-  
დრებინა წიგნის მთლიანი არქიტექტონიკა  
– (თავისი „ტექსტი-ილუსტრაცია“ საწყისთა  
განუყოფლობით). ამ შემთხვევაში, რამდე-  
ნადმე „პოსტმოდერნული“ რიგის დამხრო-  
ბისას, თავი იჩინა პოემისეული საზრისის ძა-  
ლიან განსხვავებულმა წვდომამ, რომელმაც  
თითქოს „სახვით-მორფოლოგიური კვლე-  
ვის“ სახეც კი შეიძინა. მიდგომის უჩვეულო-  
ბა მეტისმეტად თვალსაჩინოა. აქ იკითხება  
„ზღვარსმიღმური“ დეფორმაციები; „სიურ-  
პრიზული“, ლამის „გასაკვირი“ ხერხები; ხა-  
ზთამდინერების გამრღვევი ხასიათი, მისი

## ქსოვილი ხაზერთუნებით ხილუსის გამოჩენილი ფიცვის



„თვითრიტმულობა“, ასევე თავად ხელნაწერი ტექსტის შესატყვისი, შედარებითი „ხელგაკრულობაც“. ეს ყოველივე მთლიანობაში, ლამის „ფეირვერკისებრ“ არის მოწვდილი. ამ მხრივ ფართო საფუძველი შექმნა აბსტრაქტულიზმისათვის ნილნაყარობამაც, თავისი „შეუცნობელის მდომი“ იმპროვიზიულობით. საგულისხმოა, რომ ზემოთ მითითებულ, მეტად თავისებურ მიგნებებს, ბევრი რამ აქვს საერთო „მაუგლის“ გამფორმებელ მოგვიანო მაგალითებთან და, ასევე, ქართული ზღაპრების რიგ გვიანდელ ილუსტრაციებთანაც – თავისი ტევადი ექსპრესიულობით. მთელ ამ ნაკადში ხშირად „იქვე დაბადებულობის“ ხატოვანება შეიცნობა – ნაკლებ საცნობი, „უცნაური“ მიდგომები ჩანს.

საყურადღებოა ასევე მინაწერ-კომენტარებიც, რომლებშიც მხატვარი თითქოს საკუთარ თავს უსვამდა კითხვებს, თუ როგორ უნდა წარმართულიყო ეს ზემოთ აღნიშნულ, „შეუცნობელ სფეროთა“ მაძიებელისამუშაო. მართლაც, „ვეფხისტყაოსანთან“ მხატვრის შეხვედრა მოულოდნელ სივრცეებში „გაჭრას“ გულისხმობდა. მხოლოდ იმის ვარაუდია



გოგონას პორტრეტი. 1960.  
ტ.ზ. 80X60. ოქანის საკუთრება



გოგონას პორტრეტი. ქ.ა.ჭუბინაშვილი. 1961.  
41,4X29,8. ოქანის საკუთრება

შესაძლებელი, თუ რა სახისა აღმოჩნდებოდა ეს ილუსტრაციები, თუკი თავის ჩანაფიქრს მხატვარი გარკვეული ოდენობის სისრულით მაინც, განახორციელებდა. ალბათ კიდევ სხვა სახის მრავალ მოულოდნელობათა შემომთავაზებელიც აღმოჩნდებოდა მისი ინტერპრეტაციით ქმნილი „ვეფხისტყაოსნის ვიზუალური პროექტი“ (თუნდაც, როგორც ითქვა, უფრო „დაღვინებული“ ფორმის სახითაც). ერთი კია აღსანიშნავი: მთლიანობაში „ვეფხისტყაოსანს“ მხატვარი უტყუარად აღიქვამდა, როგორც ქართული კულტურის „სახლს“, რომელშიც რელიგიური და საერო რიგის საწყისთა თავად პოემაში რეალიზებული სინთეზი, მას, ვფიქრობ, სწორედ სახვითი „თარგმანების“ სახით სურდა აემ-ეტყველებინა, როგორც მძლავრი გამოხატულება იმ მძლავრი „ქართული სულიერებისა“, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ეძიებდა (როგორც ერთგვარ „ნავსაყუდლად“ აღქმულსა თუ ნაგულვებს). აქვე დავძენ, რომ მას რუსთაველის ძეგლისათ-

## სოფუსების ნახტომი



გაკურიანი. 1962 წ.  
ქ. აკვარელი. ფუზი. 41,3X30. ოჯახის საკუთრება



გაკურიანი. 1962 წ.  
ქ. აკვარელი. 29,8X41,3. ოჯახის საკუთრება

ვის განკუთვნილი გრაფიკული ესკიზებიც ჰქონდა, რომელიც ოსტატის მხატვრული აზროვნების კიდევ სხვა შესაძლებლობებს ნათელყოფდა — მათში ტიტანურ მასშტაბებთან შებმის შესაძლებლობაც კი იგულისხმებოდა...

\* \* \*

აღ. ბანძელაძის ხელოვნებაზე მსჯელობის შეჯამებისას გამოსაკვეთია, რომ იგი თავისი ინდივიდუალობის უზარმაზარი ძალით, შემოქმედებითი შემართებით, „მხატვრული

მეამბოხეობითა“ და თანამედროვე ანალიტიკური აზროვნებით — გამორჩეულთაგანია ქართულ სახვით ხელოვნებაში. სულ სხვადასხვა დროს და ნაირგვარი სახით — მან შექმნა ეტაპური ქმნილებანი, რაც მისი ხედვისა და შესაძლებლობების განსაკუთრებულობას ნათელყოფს (როგორც მუდმივად „თვითგანახლებადი“ შემოქმედისა) ...

თავდაპირველად მან „ურნალისტურ გრაფიკაში“ გამოავლინა თავი და მაღალი ავტორიტეტიც მოიპოვა; მალევე აღიარეს საუკეთესო პორტრეტისტად; მომდევნოდ, უკვე საილუსტრაციო ხელოვნების დარგში ქმნის ნამდვილ შედევრებს; 1960-იან წლების დასაწყისიდანვე შეეჭიდა ურთულეს პრობლემას — ანუ ხელი მიჰყო აბსტრაქციონისტული ხელოვნების ჩვენს სივრცეში მაღალი „რანგით“ დამკვიდრებას, მოგვიანოდ — დააფუძნა ქართული აბსტრაქციონიზმის საერთაშორისოდ აღიარებული სკოლაც; გამორჩეული აღმოჩნდა მისი დამსახურება საეკლესიო ხელოვნების განახლებაში, მან აქაც „პიონერის“ როლი შეასრულა. ბევრი იღვანა მაქსტრომ საერო მონუმენტურ მოხატულობათა ხარისხის ასამაღლებლად; როგორც დაზგურ ფერწერაში, ისე გრაფიკაშიც, ის აურაცხელ ნოვაციათა დამამკვიდრებელია; მას გამოარჩევდა საკუთარი, „ჩანგდომითი“ დამოკიდებულება ისეთ მიმართულებებთან დასავლურ ხელოვნებაში, როგორებიც არის: რეალიზმი; რამდენადმე — სიმბოლიზმი; იმპრესიონიზმი; პოსტიმპრესიონიზმი; ფოვიზმი; კუბიზმი; სავარაუდოდ, სრულებით არაპირდაპირი გზით — ექსპრესიონიზმიც; სიურეალიზმი; ასევე, მინიმალიზმი და ბოლოს — აბსტრაქციონიზმი (მათ შორის ცხადია, აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი). ამ მასშტაბის „დასავლური და ქართული დიალოგი“ სხვა ქართველ ოსტატთა შორის ეგების, უფრო დავით კაკაბაძესთან გვხვდებოდეს. გამოჩენილი მხატვარი, უკომპრომისო და უაღრესად კრიტიკული პიროვნება ედმონდ-გაბრიელ კალანდაძე ასე თვლიდა: „რასაც შურა აკეთებს, ყველაფერი საინტერესოა“...



კლდისუბანი. 1960-იანი წელი  
ქ. გრაფიტი. 30X42. მჟავას საკუთრება



კლდისუბანი. 1960-იანი წელი  
ქ. ფ. 30X40. მჟავას საკუთრება

## სრუჯისნებრძოლი ბანდეფრთხი

ალ. ბანძელაძე ყოველთვის ქმედითად ცდილობდა (საბჭოური კარჩაკეტილობის პირობებშიც), გაეღვივებინა თავისუფალი შემოქმედების სული, გადაელახა პროვინციულობა, ლოკალურობა, მოფარგლულობა, ეგზოტიკურობა. იგი მაქსიმალისტი იყო ურთულეს მხატვრულ პრობლემებთან ხშირად მარტოდ „შერკინების“ დროს, რაც მეტყველებს მის არასაბჭოურობაზე, დიდ გაბედულებაზე, აზროვნების არაორდინალურობაზე. XX ს. უდიდეს ევროპელ და ამერიკელ მხატვრებთან იგი თანასწორუფლებიან დიალოგში შედის – მაგ.: სეზანთან, გოგენთან, დერენთან, ალბერ მარკესთან, მატისთან, ლეჟესთან, პიკასოსთან, ჯ. პოლოკათან, ვ. დე კუნინგთან, ივ ტანგისთან, ჰუან მიროსთან და კიდევ მრავალ სხვა აღიარებულ ოსტატ-



კოლექტური, ესპიზი, 1960-იანი წე. ე. 41X29. მუზეუმის საკუთრება

თან-შესაძლოა, სამხრეთ ამერიკელ მოწუმენტალისტებთანაც...


მთელი ზემორე ანალიზი ვიმედოვნებ – ნათელყოფს, რომ იგი საერთაშორისო რანგისა და მასშტაბის მატარებელი, დიდი შემოქმედია.

როცა ვსაუბრობთ საბჭოური „ბანაკის“ ჩვენთვის დიდად სამწუხარო, დამთრგუნველ შეზღუდულობაზე, მაინც უნდა გავიხსენოთ, რომ ამ მძიმე გარემოცვაშიც კი, საბედნიეროდ, მაკომპენსირებელიც ბევრი რამ იყო: რად ლირდა თუნდაც გალაკტიონთან ყოვლად დაუვიწყარი შეხვედრები! ანდა, განა ცოტას ნიშნავდა სახელმოხვეჭილ ხელოვნების ისტორიკოსთან, აკადემიკოს ვახტანგ ბერიძესთან ახლო მეგობრობა? უდაოდ გამამდიდრებელი იყო ერთ-ერთი წამყვანი ქართველი მოქანდაკის, ძლიერი ინტელექტუალის, გიორგი ოჩიაურის მტკიცე და გამამხნევებელი თანადგომა; ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად არის აღსაქმელი ევროპული ფერწერის საიდუმლოებათა ბრწყინვალედ მცოდნე ვალენტინ შერპილოვთან ახლო ურთიერთობა; გავიხსენოთ ისიც, რომ კავშაძის ქუჩაზე, სადაც შურა ბანძელაძე ცხოვრობდა, მხატვართა მთელი საძმო იყო დასახლებული, მათ შორის გურამ ქუთათელაძე, ალ. ბანძელაძის დარად, ისიც დიდი, გამორჩეული ოსტატი, თავისი გზებით – ასევე ძლიერად შეპირისპირებული საბჭოურ უაზრო, არსებითად მავნებლურ შეზღუდულობებთან; დიდად განათლებული, დახვეწილი ევროპეისტი; „შენობით“ მოუბარი XX საუკუნის ავანგარდთან; უმაღლესი კულტურით გამორჩეული ფერმწერი...

შედარებით მოგვიანოდ, მას ამჯერად უკვე „მომავლის მჭვრეტელთა“ გუნდიც დაუახლოვდა, რომელთანაც გარკვეული ერთსულოვნებით ამუშავებდა ახალ პრობლემატიკას. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ფართო ინტერესებით გამორჩეული, დიდი სულიერი მუხტის მატარებელი, თვალსაჩინო შემოქმედი გია ეძგვერაძე, რომელმაც საკუთარი, მიზანმიმართული ძალისხმევით, გაჭრა გზა დასავლური სივრცისაკენ.

მთელი ეს, ალ. ბანძელაძისათვის მახლობელი გარემო, აერთიანებდა იმხანად, 1980-იან წლებში, ისეთ მნიშვნელოვან ფიგურებს, როგორნიც არიან მხატვარი, თეორეტიკოსი და კურატორი ილია ზაუტაშვილი; ლუკა ლასარეიშვილი; ხუროთმოძვარი და მხატვარი

ქსოვილი ხსნებულობები ხიდზეს გამოსინილი ფიგურები



კოლექციები. 1962.  
ტ.ზ. 100,5X80. ოქანის საკუთრება



კოლექციები, ესპიზი,  
1960-იანი წე. ქ.ვ. 41X29,  
ოქანის საკუთრება




კოლექციები, ესპიზი,  
1960-იანი წე. ქ.ვ. 44,5X32,  
ოქანის საკუთრება



გურამ საღარაძის პორტრეტი,  
1960-იანი წე. ქ.ვ. 42,5X30,  
ოქანის საკუთრება



სპორტი. 1962.  
ტ.ზ. 107,6X67,5. გია ჭობთაბარიძის კარპო კოლექცია



გაზაფხული. 1962.  
ტ.ზ. 100X110, აგაროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი

## სოფიანების ბანდერლონდე

გია მგალობლიშვილი, ხელოვნებათმცოდნე და მხატვარი გელა ზაუტაშვილი; მუსიკოსი და მხატვარი თეიმურაზ ცხოვრებაშვილი და სხვანი, რომლებიც აპსრტაქციონიზმის გაღრმავებულ „მხატვრულ კვლევაში“ დიდი ენთუზიაზმითა და „ვოლტაჟით“ იყვნენ ჩართულნი. ასეთ პირობებში, ალ. ბანძელაძე მარტოსულად უკვე აღარც გრძნობდა თავს. წინა თაობის ოსტატთაგან ის განსაკუთრებულ პატივს სცემდა ისეთ უნიჭიერეს ავანგარდისტს, როგორიც იყო ჩვენში კლარა კვეესი – სამწუხაროდ, დაუფასებელი, მართლაცდა ბრწყინვალე მხატვარი!

1970-80-იან წლებში, ფიგურატივისტთა შორის, მის ინტერესს აღძრავდა ლევან ჭოლოშვილის მხატვრობა. გამბედავი რადიკალიზმის თვალსაზრისით, ჯემალ კუხალაშვილის ხელოვნებას აღიარებდა მისთვის განსაკუთრებული ღირსების მქონედ...

როდესაც საქართველოს ჰყავს ისეთი უზარმაზარი მასშტაბის ოსტატი, როგორიცაა მაესტრო ალ. ბანძელაძე, სახელმწიფო მხატვრის განუზომელი დამსახურება სულ



გოგონა ესპიზო,  
ქ. აპარენი 44, 6X32, 8. ოქანის საკუთრება



გოგონა სკაპზე.  
ქ. აპარენი 44, 6X32, 8. ოქანის საკუთრება

სხვა დონეზე უნდა გააცნობიეროს! აუცილებელია მისი მუზეუმის დაფუძნებაც და გარდა უკვე შეძენილისა, მემკვიდრეობის დიდი ნაწილის ეროვნულ გალერეაში თავმოყრაც, რათა მომავალი თაობები უშუალოდ ეზიარონ გამოჩენილი მხატვრის შთამაგონებელ, სულიერად მრავლისმომცემ, უთუოდ დიდი ფასეულობის მქონე დანატოვარს.



არსთარქეზელი კომპოზიცია. 1965.  
ტ.ზ. 75X90. ოქანის საკუთრება



აბსტრაქტული კომპოზიცია, 1980-იანი წელი.  
ფ. ზ. 73X60. ოქანის საკუთრება



# ნიგბი რა პეტიონული კამოციმები სრუჩესნები ზნძძერთსის შემოჭმელისაში

## ძრიაშ გასტატისაძე

ალექსანდრე (შურა) ბანძელაძის შემოქმედებაში, წიგნის გრაფიკას საკმარისად დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ამ სფეროში მოღვაწეობას მხატვარი, ძირითადად 1950-იანი წლების შუა პერიოდიდან იწყებს და სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებს. წიგნზე მუშაობას იგი დაზური მხატვრობის პარალელურად, გარკვეული შუალედებით ჰქიდებს ხელს - გამოცემათა შორის არის ინტერვალები, პაზუზები, მაგრამ თითოეულ წიგნში, მუდმივად ფიქსირდება ნაწარმოებთა დასურათებისადმი მიდგომის ახლებური ხედვა და მრავალფეროვან მხატვრულ ხერხთა ძიება.

წიგნის ილუსტრატორობამდე, ალექსანდრე ბანძელაძე ქართული პერიოდული გამოცემების, სხვადასხვა უურნალის დამსურათებელ მხატვრად გვევლინება — „დილა“, „პიონერი“, „დროშა“, „ცისკარი“, „ნიანგი“<sup>1</sup>.

საუურნალო გრაფიკაში ა. ბანძელაძის სახელი პირველად 1949 წლიდან ჩნდება (ჟ. „დილა“, 1949, № 7, 8, 9). ამ საბავშვო რედაქციასთან თანამშრომლობას მხატვარი, მომდევნო 1950-60-იან წლებშიც აგრძელებს, აფორმებს უურნალში განთავსებულ სხვადასხვა ავტორთა მოთხოვნებს, ლექსებს;

რეალისტური, ფერადი ნახატით ასურათებს ტექსტებს, ზოგჯერ ქმნის თავსართ-ბოლოსართებს, რამდენიმე ნომრის გარეკანს თემატური კომპოზიციით ამჟობს [„ალლუმი“ (1956, №11), „ოქტომბრელები“ (1959, №11)], ხან კი, უურნალის ამა თუ იმ ნომრის სრული მაკეტის სრულყოფის საქმესაც უძლვება (1963, №1). გამოცემის დანიშნულებიდან გამომდინარე, ხელოვანი ითვალისწინებს ყმაწვილურ ასაკში მყოფი მოზარდების ინტერესებს, მოთხოვნილებასა და გემოვნებას.

1950-იანი წლების ბოლოდან ა. ბანძელაძის ხელწერა თანდათან იცვლება. 1961 წელს უურნალების ილუსტრაციებში (1961, №5) კოლორიტი უფრო ინტენსიური, გაუმჯვირვალე ფერებითაა შედგენილი და გამოსახულებები შავი ფერის მსხვილი, არათანაბარი სისქის ხაზთა მონასმით შემოისაზღვრება, რითაც მძაფრდება მოძრაობის ეფექტი და ნახატი მეტ ცხოველხატულობას იძენს. 1962-63 წლის, უურნალების გაფორმებაში ნახატი კიდევ უფრო თამამი და „მსუბუქი“ ხდება, იზრდება ხაზის, კონტურის როლი. შავი, ფაქიზი კონტურით ისაზღვრება გამოსახულება, რომელიც ნაწილობრივად დაფერილი გამჭვირვალე ფერთა თავისუფალი მონასმებით.

1. ამჟამად ჩვენ შევვხებით უურნალების - „დილა“, „პიონერი“, „დროშა“, „ცისკარი“ - გაფორმებაში ა. ბანძელაძის მიერ შეტანილ წვლილს.

## არეულსახლი ზნებერთსძე



ფოტო. გრიგოლ აგაშიძე და ალექსალერი  
პანელაძე, 1960-იანი წლები

თითქმის შენარჩუნებულია ქალალდის თე-  
თრი ფერი და თამამი ნახატი სიმსუბუქეს,  
ჰაეროვნებას იძენს (1962, №11, 12; 1963, №  
3). ამგვარივე მიდგომით სრულდება მხატ-  
ვრის მიერ 1960-იანი წლების პირველ ნახ-  
ევარში შექმნილი წიგნების ილუსტრაციებიც  
(გრიგოლ აბაშიძე, „ლაშარელა“. თბ., 1963;  
ჰატიეტ ბიჩერ-სტოუ, „ბიძია თომას ქოხი“.  
თბ., 1963; გრიგოლ აბაშიძე, „დიდი ღამე“.  
თბ., 1963).

1950-იან წლების დასაწყისიდანვე ალე-  
ქსანდრე ბანძელაძე უურნალ „პიონერის“  
გაფორმებაშიც ერთვება. ამ წლებში, „პიო-  
ნერის“ დასურათებაში ბევრი მხატვარია ჩაბ-  
მული: ვ. ჯაფარიძე, შ. ცხადაძე, კ. მახარაძე,  
ზ. ლეჟავა, რ. ცუცქირიძე, გ. ჩირინაშვილი,  
ნ. შალიკაშვილი, ა. კანდელაკი, დ. ხახუჭაშ-  
ვილი და სხვ. ნებით თუ უნებლიერ, ყველანი  
ემორჩილებოდნენ საბჭოების სახვით ხე-  
ლოვნებაში დამკვიდრებულ სოც-რეალიზმის  
პრინციპებს, რომელსაც ეს გამოცემა განსა-  
კუთრებულად ითხოვდა, რადგან „პიონერს“  
მომავალი თაობის საბჭოთა იდეოლოგიით  
აღზრდის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული.

ა. ბანძელაძე უურნალში განთავსებული  
ნოველებისა და მოთხოვების შინაარსი-  
დან გამომდინარე, სათანადოდ შერჩეული  
გმირების მოქმედებათა გამოკვეთით ქმნის  
კომპოზიციებს, რეალისტური ჩანახატებით

ასურათებს ტექსტებს. გარდა ტექსტებისა  
აქაც რამდენიმე ნომრის გარეკანს აფორმებს  
სხვადასხვა თემატური კომპოზიციით (მაგ.:  
„კომკავშირული ბილეთის მიღება“ (1950,  
№ 2), „ნორჩი მოქანდაკე“ (1950, № 11; მხატ-  
ვარ კ. მახარაძესთან ერთად), „გამოცდების  
ნინ“ (1951, № 4), „დაბრუნდნენ“ (1951, № 6;  
გარეკანის მეოთხე გვერდის მხატვრობა),  
„ნორჩი მხატვარი“ (1952, № 2), „სათევ-  
ზაოდ მიღიან“ (1956, № 6; გარეკანის 1 და 4  
გვერდი), „გაზაფხული“ (1957, № 3), „პიო-  
ნერი გოგონა“ (1957, № 5). კომპოზიციებში  
გამოსახული არიან ღიმილიანი, სასკოლო  
ფორმიანი, ყელსახვევიანი პიონერები, ზო-  
გან ფონზე ლენინის ბიუსტითა და საბჭოური  
დროშებით (1950, № 2; 1957, № 5). „პიონერ-  
ის“ გაფორმებას მხატვარი 1950-იანი წლების  
ბოლომდე აგრძელებს (1957წ.).

1955-1960 წლებში იგი ინტენსიურად  
თანამშრომლობს უურნალ „დროშის“ რე-  
დაქციასთანაც. მუშაობს როგორც ილუს-



გრიგოლ აგაშიძე, „დიდი ღამე“, ყდა, 1963,  
ქ. ტ. გუაში. 22X15,5. ოქანის საკუთრება




გრ. აბაშიძე, „დილი და გა“, 1963, ქ. ტბილისი. 22X15,5. ოქანის საკუთრება

ტრატორი და 1952-53 წლებში გამოცემული ნომრების გამფორმებლის მოვალეობასაც ასრულებს, უძლვება ჟურნალის მხატვრული სრულყოფის საქმეს. ამ შემთხვევაშიც, გარდა ა. ბანძელაძისა, „დროშის“ რედაქციასთან თანამშრომლობენ, სხვადასხვა თაობის ცნობილი მხატვრები. ჟურნალები ფორმდებოდა: უ. ჯაფარიძის, შ. მამალაძის, ა. ციმაკურიძის, კ. გრძელიშვილის, გ. ლომიძის, კ. მახარაძის, ზ. ლეუავას, დ. ხახუტაშვილის, ა. ულენტის, ბ. გორგაძის, შ. ცხადაძის, მ. ხვიტიას და სხვათა ნახატებით, რომელთა ნაწილი სპეციალურად, ჟურნალის მასალების გაფორმებისთვის იყო შექმნილი, ნაწილი კი მხატვართა დამოუკიდებელ ნაწარმოებებს წარმოადგენდა. ამ დროის საჟურნალო მხატვრობის ავტორები თითქმის ერთნაირი ხერხებით ასრულებენ სამუშაოს და ზოგჯერ ავტორის გვარის წაკითხვამდე თითოეულის ინდივიდუალური ხელწერის გამოცნობაც კი ჭირს.

ამ ჟურნალის გაფორმებისასაც, ა. ბანძელაძე რეალისტური მხატვრობის პრინციპებით ხელმძღვანელობს. ხან ტექსტშივე, ფრაგმენტულად რთავს ამა თუ იმ მოთხრობისა თუ ნოველის შინაარსის ცალკეული ეპიზოდების ამსახველ ჩანახატებს, ზოგჯერ კი ფანქრით, გუაშითა და ზეთის საღებავით შესრულებული მისი ნამუშევარი ჟურ-

ნალის მთლიან გვერდზეა განთავსებული. ჩართული ილუსტრაციები ძირითადად სათანადო ტექსტს უკავშირდება, ზოგჯერ კი დამოუკიდებელ დაზგურ სურათს წარმოადგენს („სურამის ციხე“, „ტყეში“. 1957, №7; „1 მაისი“. 1955, №5; „გურამიშვილი უსმენს



გრ. აბაშიძე, „დილი და გა“, 1963, ქ. ტბილისი. 22X15,5. ოქანის საკუთრება



ვანიშვილი სპარსი, 1960-იანი წელი.  
ფ.ზ. 120X66. ოქანის საკუთრება



კობზარს“, 1955, № 10; „ქუთაისის ქალაქის ბალში“, 1956, №5; „ძველსა და ახალ ქუთაისში“ (შავ-თეთრი და ფერადი ილ-ბი), 1956, № 5; „ისტორიული ჭადარი ქუთაისში“). „დროშის“ სხვადასხვა წლის ნომრებში ჩართულია ასევე ა. ბანძელაძის მიერ შესრულებული, ცნობილ მნერალთა, მეცნიერთა და მსახიობთა პორტრეტები: გიორგი ლეონიძის (1960, № 1), გალაკტიონ ტაბიძის (1953, № 2), ივანე ბერიტაშვილის (1955, № 10), გიორგი ჩუბინაშვილის (1956, № 1), იოსებ გრიშაშვილის (1959, № 11), აკაკი ვასაძის (1960, №2).

ისევე როგორც უურნალ „დილას“, ასევე „დროშას“ გაფორმების შემთხვევაშიც 1959-1960 წლების ნომრებში ვლინდება ა. ბანძელაძის ხელნერის ცვლილება, ნახატის შესრულების მანერა. აქაც – ფიგურათა ფორმების გამოკვეთა ხდება თამამი ხელის მოძრაობით დადებული შტრიხებით, შიგადა-



გადონა. 1963.  
ტ. ზ. 70X64. ოქანის საკუთრება




ინესა, 1963,  
ტ. ზ. 100X76. ოქანის საკუთრება

შიგ ეფინება გამჭვირვალე თხელი ტონები და ხდება გამოსახულების ნვრილი კონტურით შემოსაზღვრა, რომელიც ზოგჯერ წყვეტილია. ყოველივე ამით ძლიერდება ნახატის მხატვრული და ემოციური ზემოქმედების ეფექტი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პერიოდული უურნალების გაფორმებისას მხატვარს არჩევანი ნაკლებად რჩებოდა, დამკვეთი რედაქცია ნამუშევრების შესრულებას იმ სტილით ითხოვდა, რაც იმდროინდელი სახვითი ხელოვნებისთვის იდეოლოგიური, პროგრამული აუცილებლობა იყო. ინტერვიუში შეკითხვაზე „სოციალისტურმა რეალიზმა კარგი გაკვეთილი ჩაგიტარათ?“ - მხატვარი პასუხობს - „ძალიან. მაგრამ რაღაც აზრით, კარგი როლიც ითამაშა – არა „სოციალისტურმა“, არამედ რეალიზმა იმ მხრივ, რომ გარკვეული პროფესიული საფუძველი მომცა. ბუნებრივია, „სოციალისტური“, აი ეს სიტყვა, არ მოგვწონს. სოციალისტური რეალიზმი – აქ ორი ცნება მექანიკურადაა მიწოდებული. მაგრამ თვით რეალიზმი? განატოლსტო იმის გამო, რომ რეალისტურია, ცუდია? საქმე ისაა, რომ რუსული რეალიზმი მაინც ზედაპირულია საკუთრივ მხატვრო-

## არეკესნიშვილი ბანძელოსძე



ფოტო. მურამ ლეგანიძე და ალექსანდრე ბანძელაძე. 1960-იანი წე.

ბაში, და სწორედ ამან განაპირობა რეალ-იზმისადმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება. ცხადია, კურბე ან კორო ასე არ იმოქმედებდნენ ჩვენზე.<sup>2</sup>

ა. ბანძელაძე 1950-იანი წლებიდანვე, ურნალების გაფორმების პარალელურად წიგ-

ნის დასურათების საქმეშიც ერთვება. ივი ძირითადად გამომცემლობა „ნაკადულთან“ თანამშრომლობს და საბავშვო წიგნების ილუსტრაციებსა და მხატვრულ ელემენტებს ქმნის. მის მიერ გაფორმებული პირველი წიგნი – ნ. ნეკრასოვის „საბავშვო ლექსები“ 1954 წელს გამოდის. მხატვარი წიგნის მაკეტის ყველა ელემენტს ასრულებს, აფორმებს: გარეკანს, ტიტულს, თავსართ-ბოლო-სართებს, რომელთა ნახატიც ფაქტობრივად თითოეული ლექსის შინაარიდანაა გამომდინარე და მინი-ილუსტრაციებს წარმოადგენს. მხოლოდ წიგნის გარეკანია ფერადი, დანარჩენი ელემენტები შავ-თეთრი რეალისტური ნახატითაა შექმნილი. შესრულების მანერა ისეთივეა, როგორიც ამ წლების უურნალ „პიონერში“ იკვეთება. გამოსახულებები მოქმედია, მოძრავი, ემოციებითაა აღსავსე, ფონად თუ ცალკეულ ფრაგმენტად მოცემული



აპსტრაქტული კომპოზიცია, 1960-იანი წე.  
ტ.ზ. 59,8X81,6. ოქანის საკუთრება

2. ჟ. სპექტრი. ინტერვიუ (სამსონ ლეჭავას ინტერვუი ალექსანდრე ბანძელაძესთან). 1990, №2, გვ. 25



პეიზაჟებიც „ცოცხალია“.

1956 წელს ის დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზის“ ასურათებს და ამ შემთხვევაში ყდას, ტიტულს, თავსართს და ცხრა ილუსტრაციას ქმნის. ილუსტრაციები მთელ ფურცელზეა გაშლილი და თანმიმდევრულად მისდევს თხრობას. თავგადასავლებით დატვირთული ტექსტის თანმდევად მიყოლებული, ვიზუალურად გამოხატული სცენები, კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ყმანვილთავის განკუთვნილ ნაწარმოებს. ნახატი ცოცხლად ასახავს თხრობის ეპიზოდებს. მხატვრის ხელწერა თამამია, მიუხედავდ გაშლილი, ღრმა, სივრცობრივი პერსექტივებისა გამოსახულებანი ილუზორულად ისეა ასახული, რომ მაყურებლის თვალით ქვევიდან ზევით აღქმას ითხოვს და ამით თითქოს წიგნისთვის საჭირო სიბრტყობრიობასაც ინარჩუნებს.

1957 წელს ა. ბაძნელაძე ხუთ წიგნს აფორმებს, ესენია: ერნესტ პემინგუეის „მოხუცი და ზღვა“, ინგლისური ხალხური ბალადა „რობინ პუდი“, ოთარ ჩიჯავაძის „ზვიგენის კბილი“, ქართული ხალხური „არსენას ლექსი“ და გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელას“ პირველი გამოცემა.

ამ წიგნებიდან განსხვავებული მიღებობით გამოირჩევა „ლაშარელა“ და „არსენას ლექსი“.


გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელა“ ისტორიული რომანია, რომელიც მეფე თამარის ვაჟის გიორგი IV ლაშას ცხოვრების ამბავს და სამეფო მოღვაწეობის ისტორიას მოვითხრობს. ისევე როგორც მწერალი, მხატვარიც საკუთარ ფანტაზიაზე დაყრდნობით ქმნის რომანში წარმოსახული გმირების სახეებს, ცხოვრებისეული ისტორიებისა და საპრძლო მოქმედებების ამსახველ, მრავალფიგურიან ყოფით და ბატალიურ სცენებს. ნაწარმოები როგორც შავ-თეთრი (14 თავსართ-ილუსტრაცია), ასევე ფერადი ილუსტრაციების ჩანართებით ფორმდება (7 ფერადი ნამუშევარი). მხატვრის ხელწერა კიდევ უფრო თავისუფალი და ინდივიდუალური ხდება.



რუსა, 1963, ფ. ზ. 117X69. ოქანის საკუთრება



პორტრეტი, 1967,  
ფ. ზ. 86,4X75,3, ოქანის საკუთრება



გრიგოლ ახაშიძე, „ლაშარელა“, 1963.  
კოლეგიალური ანაგეზდი



გრიგოლ ახაშიძე, „ლაშარელა“, 1963.  
კოლეგიალური ანაგეზდი

ამავე, 1957 წელს ა. ბანძელაძე უურნალში „ცისკარი“ (6, გვ. 81-86) ასურათებს მიხეილ ლაკერბაიას ნოველას „ნეკი“. წვრილი, ფაქიზი კონტურით შესრულებული ნახატი კომპოზიციის შემოსაზღვრულ არებს არ გულისხმობს, ფიგურებს კი ფრაგმენტულად გამოკვეთს. ილუსტრაციის წინა პლანს ცხენზე მჯდომი მთავარი მოქმედი პირის ფიგურა აკვებს. მამკაცის სხეული ფრონტალურადაა მომართული მაყურებლისაკენ. სევდიანი სახე, მისი გრძნობების გამომხატველია. ფიგურის უკან, კომპოზიციის მარცხენა მხარეს მოცემული ორი ცხენოსანი ერთმანეთისკენაა მიბრუნებული, რაც მათ საიდუმლო საუბარზე მიანიშნებს. მამაკაცთა საგრძნობლად შემცირებული ზომა მაყურებელს უქმნის ღრმა პერსპექტივის შთაბეჭდილებას. თითქოსდა სრულიად მარტივი ხერხებით, მინიმალისტური გამოსახვით, ნაწარმოების შინაარსის საკვანძო მომენტის ილუსტრირება ხდება. წინა და უკანა პლანის გამყოფად აღქმული, დიაგონალურად გავლებული წყვეტილი ხაზი პირობითად ბორცვის გამომსახულებიცაა და დინამიკასა და ემოციურობასაც აძლიერებს.

მინიმალური ხერხებით, მაქსიმალური მხატვრული ეფექტის მიღწევა თანდათან იკვეთება იმავე წლის უურნალ „პიონერის“ ილუსტრაციებშიც და ასევე აშკარაა მსგავსება, 1957 წელს შესრულებულ „არსენას ლექსის“ დასურათებასთანაც. ცხენზე ამხედრებული ეს ფიგურები, მსგავსივე გარეგნობითა და მოძრაობებით, შემდგომში არსენასა და ამ ლექსში გამოსახულ სხვა პერსონაჟთა სახითაც გვევლინებიან.

„არსენას ლექსის“ მხატვრულ გაფორმებას ა. ბანძელაძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მან ეს ნაწარმოები ორჯერ გააფორმა: 1957 და 1966 წელს. პირველი გაფორმებისას მხატვარმა 16 ფერადი ილუსტრაცია შეასრულა, ქალალდზე, გუაშის სალებავებით. ილუსტრაციების მაღალი მხატვრული დონე შეუმჩნეველი არ დარჩენილა და სსრკ სამხატვრო აკადემიის მიერ ვერცხლის მედალით დაჯილდოვდა.



აბსტრაქტული კომპოზიცია. 1965.  
ფ. ზ. 75X65. ოქანის საკუთრება

## არსენას ლექსის „არ გამოცემულა“ ნამუშევარი დროდადრო ქვეყნდებოდა სხვადასვა ნაშრომებში და იმდენად დიდი პოპულარობა მოიპოვა, რომ თაობათა მეხსიერებაში, ამ სახალხო გმირის გამოსახულების სახე-სატადაც კი იქცა.



გოგონას პორტრეტი. 1965.  
ტ.ზ. 97X44,8. ოჯახის საკუთრება



თათრი ცხენი, ესპიზი, 1965.  
ტ.ზ. 30X40. ოჯახის საკუთრება

„არსენას ლექსის“ ეს ილუსტრაციები წიგნად არ გამოცემულა<sup>3</sup>, მაგრამ ცალკეული ნამუშევარი დროდადრო ქვეყნდებოდა სხვადასვა ნაშრომებში და იმდენად დიდი პოპულარობა მოიპოვა, რომ თაობათა მეხსიერებაში, ამ სახალხო გმირის გამოსახულების სახე-სატადაც კი იქცა.

„არსენას ლექსის“ ილუსტრაციები თემატურად ნაწარმოებში განვითარებულ თხრობას მისდევს და თანმიმდევრულ კადრებად, ხილულად გვიყვება მის შინაარსს. ილუსტრაციათა კომპოზიციები სიგრძივ მართკუთხედშია ჩანერილი, კიდეებში შავი კონტურითაა მოსაზღვრული. ნახატი განზოგადებულია. უარყოფილია ყოველგვარი ზედმეტი დეტალი, უკანა პლანები ცინცხალი ცისფერი, ლურჯი, ყვითელი და ვარდისფერი ტონების ლაქობრივი, სიბრტყობრივი დაფენით სრულდება. ფონის ღია ტონალობიდან მკაფიოდ გამოიკვეთებიან ფიგურები. არსენა ახალგაზრდა, ძლიერი მამაკაცის სახითაა წარმოდგენილი. თითქმის ყველა კომპოზიციაში მისი ფიგურა წინა პლაზეა გამოსახული და მთლიანად ავსებს სასურათე სიბრტყეს, სხეულის კიდურები ზოგჯერ მოსაზღვრულ კადრს მიღმაც გადის, ამით ხაზი ესმება მამაკაცის ძლიერებას. მიუხედავად იმისა, რომ ფიგურები მოცულობითია, მონუმენტური, ისინი ილუზორულად მაინც სიბრტყობრივად წარმოგვიდგება. არცერთი მთავარი გმირის მზერა მაყურებლისკენ არაა მიმართული, თვალთა ხედვა ან ირიბია, ან ქვევით დახრილი, ან ჩვენს მიღმა ან კიდევ, მრავალფიგურიანი კომპოზიციის შემთხვევაში ერთმანეთისკენაა მიმართული (არსენა და კუჭატნელი). ამით გამოსახულებები იზოლირებული ხდება, ისინი „იკეტებიან საკუთარ თავში“, ნაწარმოებში, „მასში ცხოვრობენ“. მძაფრი ფერადოვანი კონტრასტულობით მეტად თამამი, მჭახე ფერწერული ეფექტებია მიღწეული. ვლინდება მხატვრის ნოვატორული ხედვა, მკაფიო ინდივიდუ-

3. თინათინ სეხნიაიდე, ალექსანდრე ბანძელაძე. თბ., 2004, გვ. 26.

ალობა, თამამი, აქტიური მოქმედება, რაც 1950-იანი წლების საბჭოურ მხატვრობაში, უდაოდ იყო შემოქმედის სიმტკიცისა და სიმამაცის გამოვლენა. ნ. ეზერსკაია აღნიშნავს, რომ: „არსენას ლექსის“ უჩვეული ილუსტრაციებმა იმთავითვე მიიძყრო ყურადღება საოცრად თამამი ფერწერული გადაწყვეტის აშკარა დეკორატიულობით და სილუეტის აქტიური გამოყენებით, რომლის მეოხებითაც ა. ბანძელაძემ შესანიშნავად დაგვიხატა ქართველი ხალხის ეროვნული გმირის – არსენას ცხოვრებისა და ბრძოლის ამაღლვებელი, გმირულ-რომანტიკული ამბავი. გამომსახველობითი საშუალებების ერთიანობა ილუსტრაციებში ქმნის ეპოსის გმირის არა განყენებულ და სიმბოლურ,



ფოტო. ალექსანდრე გაძელავა. მუსაო-ზისას. 1960-იანი წლები



თემრი ცხენი. 1965.  
ტ.ზ. 75X85,8. გია ჯოსთაგარიძის კარპო კოლექცია



აეიზაზი. 1965. ტ.ზ. 65X90. პერძო საკუთრება

არამედ რეალურ, ფსიქოლოგიურად მრავალმხრივ სახეს.<sup>4</sup>

ნოვატორული გზის გაგრძელებას წარმოადგენდა „მაუგლის“ ილუსტრაციებიც, რომელიც პირველად 1961 წელს გამოიცა და შემდგომ რამდენჯერმე განმეორდა (1966 და 1997 წელს). „მაუგლის“ შესახებ ბევრი დაინტერა. იგი მხატვრის ნოვატორული მიდგომების ნიმუშად იქნა აღიარებული. ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ მხატვარი წიგნის მთლიან ორგანიზმს იაზრებს, უხვად ილუსტრირებს ნაწარმოებს და ნახატსაც კადრისებურ ხილულ თხრობად აქცევს, სახეობრივად აცოცხლებს მის გმირებს. სწორედ ამიტომ ეს წიგნი მომდევნო თაობის მრავალ



პირველი ესები, ესებიზი, 1960-იანი წე. ტ.ზ. 30X40. ტექსტის საკუთრება

4. ნ. ეზერსკაია, მუდმივ ძიებაში (გრაფიკოს ა. ბანძელაძის შესახებ; ჟ. „ისკუსტვო“, №6, 1965). ჟ. ცისკარი. ჟურნ. 1965, №10



კლდისუბანი, გომის ქუჩა. ესკიზი. 1960-იანი წე. ქ. 34,8X42. ოქანის საკუთრება



კლდისუბანი, გომის ქუჩა. ესკიზი. 1960-იანი წე. ქ. 42X30. ოქანის საკუთრება




ღრუბლიანი დღე, 1960-იანი წე. ქ. 40X30,2. ოქანის საკუთრება

ადამიანს, ბავშვობის დროინდელ ერთ-ერთ გამორჩეულ და საყვარელ წიგნად აღებეჭდა მეხსიერებაში.

„მაუგლის“ დასურათებას მხატვარი მოგვიანებითაც, 1980-იან წლებში მიუბრუნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე ილუსტრაცია შექმნა და ახლებური გააზრების ძირითადი სამუშაო განუხორციელებელი დარჩა. ამ შემთხვევაში ა. ბანძელაძე ცვლის მასალას, თუ პირველ ვარიანტში ზეთოვან პასტელს იყენებს და ლოკალურად დადებული გაუმჯობესებულების ეფექტებით შემოიფარგლება, ამჟამად აკვარელის ერთმანეთში გაუმონილი ნაზი ტონებით ფერავს თეთრ ფონს. ფიგურებისა და ნახატის სხვადასხვა ელემენტებს, ასევე კომპოზიციის კიდეებსაც წვრილ, ფაქიზად გამოკვეთილ ხაზთა დინებით ქმნის. ამგვარი ტექნიკის გამოყენებით მხატვარი ნაწარმოების შინაარსის აღქმის ემოციურობასაც ამძაფრებს და ნახატის ცხოველხატულობასაც აღწევს.

წიგნში ნახატისა და ტექსტის მთლიანობის ერთ-ერთ საუკთესო ნიმუშს წარმოადგენს მის მიერ 1961 წელს გაფორმებული იროდიონ ევდოშვილის „უბედური ქორბუდა“. ნაწარმოებში მწერლის მიერ წარმოდგენილი სიუჟეტი ზამთარში ვითარდება და მონადირეთა მიერ ირმებზე ნადირობის მომენტს გადმოსცემს. ნადირობა ქორბუდა ირემის მოკვლით სრულდება. მოთხრობა უმცროსი ასაკის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი, რომლებმაც კითხვაც რომ არ იცოდნენ, ნახატების მიხედვით სრულად შეიცნობენ ნაწარმოების შინაარსს. ქალალდის ფაქტურა, ფურცლის თეთრი ფერი, ფონად - თოვლის ზედაპირად აღიქმება და ამ „თოვლზე“, საჭიროების მიხედვით სხვადასხვა ტონალობის გამჭვირვალე ცისფერი „ლაქები“ იფინება, რომლებითაც ხან დატოვებული ნაფეხურების კვალი, ხან მთის ბორცვთა კიდეები, ხან ცა გამოისახება. თეთრი და ცისფერი ფერი ცივი, სუსხიანი ამინდის ასოციაციას ქმნის. მხატვარი მაყურებელს (მკითხველს) თითქოს ზევიდან ადევნებინებს თვალს



ქვიშეთი. 1966.  
ზ. 165X200. ხაჭაპურის მუზეუმი

წიგნის ფურცლებზე გაშლილ „უკიდეგანო სივრცეებზე“ განვითარებულ მოქმედებას - სიცოცხლის გადასარჩენად მსრბოლ ირმებსა და მათზე მონადირე ადამიანებს. ნახატის თავისუფალ არებში წინასწარაა გააზრებული ტექსტის განთავსების აღგილები. მათი ჩართვით კომპოზიციების სრულყოფილება და წიგნის მაკეტის მთლიანობა მიიღწევა.

1960-იანი წლებიდან, ქართული ტრადიციებისადმი ინტერესი მატულობს. ორმოცდათიანელთა თაობის მხატვრები

თანდათან იწყებენ ბეჭდურ წიგნში ხელნაწერისა და ხალხური ხელოვნების მხატვრული ელემენტების შემოტანას. ჩნდება დასურათებისა და შრიფტის ერთიანობით წიგნის სრული მაკეტის შექმნის ნიმუშები<sup>5</sup>. მათ შორის კი ალექსანდრე ბანძელაძის „არსენას ლექსის“ მეორე გამოცემამ გარდამტეხი როლი შეასრულა. ამ წლებიდან მოყოლებული, ხელთქმილი, ხელნაკეთი წიგნის ხელოვნებისადმი ინტერესმა თანდათან იმატა და დღვანდლამდეც გაუნელე-

5. იხ.: ლექსი ვეფხისა და მოყმისა. მხატვ. თ. მირზაშვილი თბ., 1962; შოთა რუსთაველი, აფორიზმები. მხატვ. თ. სამსონაძე. თბ., 1966; მოყმე და ვეფხვი. მხატვ.: თ. მირზაშვილი და თ. ჯიშკარიანი. თბ., 1969; საბრალო დედაბრისასა. მხატვ. გ. კალაძე. თბ., 1969.

6. იხ.: ნაცარქექია. მხატვ. გ. გორდელაძე. თბ., 1970; საბრალო დედაბერი. მხატვ.: ე. ამბოკაძე, ჯ. ყავლაშვილი. თბ., 1988; არსენას ლექსი. მხატვ. მ. მალაზონია. თბ., 1986; ცხოვრება იესო ქრისტესი. მხატვ. მამია მალაზონია. თბ., 1996; ბუსუნსულა და პასკუალინა. მხატვ. თ. თავაძე. თბ., 2011, და სხვა მრავალი.



კეიზაზი. 1966.  
ტ.ზ. 60X63,2. ოქანის საკუთრება



აპსტრაქტული კომპოზიცია. 1966.  
ტ.ზ. 75X75. ოქანის საკუთრება

#### ბლივ მოატანა<sup>6</sup>.

არსენას წიგნის ყველა შემადგენელი ელემენტი მხატვარს თავიდან ბოლომდე აქვს გააზრებული – ყდა, ტიტულ-კონტრტიტული, ტექსტისა და ილუსტრაციის შეხამება, თავსართ-ბოლოსართები, ფურცლის კიდეებზე სამკაულად გათამაშებული დეკორის მცირე დეტალები – ყველაფერი ხელ-ქმნილია. ტექსტი ხელნაწერია. მხედრული ასონიშნების მოხდენილი გრაფიკული მოხაზულობა ნათლად იკითხება ღია ოქრისფერ ფონზე, რომელითაც წიგნის გვერდების ცენტრალური ნაწილია დაფერილი. მოჩარჩოების გარეშე „ჩასხმული“ ეს ოქრისფერი ტონი ეტრატის ასოციაციას ბადებს; ზედ დატანილი ტექსტი შავი ფერით იწერება, შიგადაშიგ კი სიტყვები, ძველი ხელნაწერების მსგავსად, წითელი ფერის ჩანართებით სრულდება.

## ართებრივი ნაწელობრივი



კლდისუბანი, გომის ქუჩა. 1960-იანი წე. ტ.შ.41, 6X29, 6. ოპარატის საკუთრება



სახლები. 1965, ტ.ზ. 65X75. კორპო საკუთრება

თითოეული სიტყვის გამყოფად სამ-სამი წერტილია დასმული, ფურცლის თეთრ არეებზე კი მცირე დეკორატიული დეტალებია გათამაშებული – სპირალები, ჩიტები, ბრიალა და ა.შ. თავსართ-ბოლოსართებიც განივი განშლისაა. უსწორმასწორო კიდეებს ვიწრო სარტყელები ევლება. მათ შიგნით მოქცეულ სიბრტყეებზე კი წინაქრისტიანული

და შუა საუკუნეების ქართული რელიეფური ორნამენტისთვის დამახასიათებელი სხვადასხვაგვარი ფიგურულ-დეკორატიული ელემენტები, მცენარეული და ცხოველური გამოსახულებებია გამოკვეთილი (ირმები, დათვი, ვეფხვი, ლომი, ჩიტი). შიგადაშიგ ჩართულია ნაწარმოების ცალკეული სიუჟეტის ამსახველი ილუსტრაციები, მოქმედ პირთა გამოსახულებებით, რომლებიც ზოგჯერ წიგნის მთელ გვერდს იკავებს, ხან კი ტექსტის ზევით არის განთავსებული თავსართ-ილუსტრაციის სახით. ნახატი აქაც რელიეფის ფაქტურას ინარჩუნებს, დანაწევრებული მონაკვეთებითაა შედგენილი და შავი ფერითაა გამოყოფილი წიგნის სხვა ელემენტებისაგან. გამოცემის პოლიგრაფიული ხარისხი იმ დროისთვის უჩვეულოდ მაღალია, თუმცა ორიგინალთან შედარებით ბეჭდვისას ფერი უფრო გამკვეთრებული და მჭახეა, მაგრამ ამისდა მიუხედავად, წიგნმა დიდი მოწონება დაიმსახურა. ნამუშევარმა თავისი განსაკუთრებული მხატვრულობის და ნოვატორული გადაწყვეტის გამო ა. ბანძელაძეს მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა - „არსენას ლექსის“ ამ გამოცემას, 1966 წელს, ჩეხოსლოვაკიაში, ბრნოში გამართულ წიგნის გრაფიკისა და ილუსტრაციის საერთაშორისო ბიენალეზე, სპეციალური დიპლომი მიენიჭა. 1967 წელს კი ლაიფციგში მოწყობილ საერთაშორისო კონკურსში „მსოფლიო უმნიშვნელოვანესი წიგნი“ - მან პირველი ადგილი დაიკავა.

ამის შემდგომ, ა. ბანძელაძის მიერ გაფორმებული, პოლიგრაფიულად დაბეჭდილი წიგნი მხოლოდ 1985 წლის გამოცემით იქნება. ესაა იროდიონ ევდოშვილის „კაკანათი“, რომელსაც მხატვარი ასევე რეალისტური, დახვენილი ნახატითა და თავშეკავებული ნათელი კოლორიტით ქმნის. ამ შემთხვევაშიც იგი თანმიმდევრულად მიყვება ნაწარმოების თხრობას და მეტად შთამბეჭდავი, მეტყველი, ემოციური ნახატებით ასურათებს ტექსტს.

მხატვრის არქივში ინახება ასევე რამდენიმე ესკიზი, რომლებიც აშკარად წიგნის მხ-



კლდის უბანი, გომის ქუჩა №1. 1960-იანი წე. ე. ჭერაძი გრაფიტი. 35X42. ოქანის საკუთრება

ატვრობისთვის არის განკუთვნილი, თუმცა პოლიგრაფიულ გამოცემებში მათი კვალი, ამჟამად, ვერ იქნა მიღნებული.

მხატვრის ბოლო ნამუშევრად შეიძლება მივიჩნიოთ ილუსტრაციები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“, რომლის გაფორმებაზე ფიქრს ა. ბანძელაძე ხანგრძლივი დროის მანძილზე უტრიალებს, ჯერ კიდევ 1980-იანი წლებიდან იწყებს ესკიზების კეთებას და სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებს.

უკვე ნახსენებ ინტერვიუში ბატონი სამსონ ლეუჟავა კითხვით მიმართავს ხელოვანს: „თქვენ, რამდენადაც ვიცი, ძალიან ბევრი ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან“ ზეპირად იცით. ახლა ინტენსიურად მუშაობთ ილუსტრაციებზე?“ - მხატვარი პასუხობს: „ვმუშაობდი, მაგრამ ახლა შევწყვიტე. ერთი წელი წადი ალბათ ფერწერაში ვიმუშავებ, შემდეგ


კი დავანებებ თავს ფერწერას და მთლიანად „ვეფხისტყაოსნის“ გაფორმებაზე მუშაობას შევუდგები. უკვე ძალიან ბევრი ნამუშევარი მაქვს, მაგრამ ჯერ ვერ მივაგენი იმას, რაც მინდა. თან მსურს რომ თანამედროვე იყოს, თანაც მაინც „ვეფხისტყაოსანია“! ეს ძალიან რთულია.“

მნირად შემორჩენილი მასალის გამო, ა. ბანძელაძის მიერ საბოლოოდ გააზრებული, ამ წიგნის ორგანიზმის სრულად წარმოდგება ძნელია, მაგრამ მაკეტის საერთო კომპოზიციური აგების სქემის ჩაწვდომა შესაძლებელია. ესკიზების გაცნობისას და მათი გულმოდგინე დათვალიერებისას კომპოზიციის კიდეებზე შეინიშნება მინაწერები, რომელთა უმრავლესობას შესრულების დროის აღმნიშვნელი თარიღი აქვს დასმული. ზოგჯერ თავად ესკიზის მხატვრუ-


7. ს. ლეჟავა. ინტერვიუ მხატვარ ალექსანდრე ბანძელაძესთან. სპეციალ. 1990, №2, გვ. 25;




რ. კიბლიშვილი, „გაუგოლი“, 1984.  
ქ. აკვარელი. ოქანის საკუთრება




ნ.გილიაშვილი, „ადამიანი“, 1960-70 - იანი ნნ.  
ქ. აკვარელი. 30,5X21,5. ოქანის საკუთრება



ნ.გილიაშვილი, „ადამიანი“, 1960-70 - იანი ნნ.  
ქ. აკვარელი. 30,5X21,5. ოქანის საკუთრება




ნ.გილიაშვილი, „ადამიანი“, 1960-70 - იანი ნნ.  
ქ. აკვარელი. 30,5X21,5. ოქანის საკუთრება



ნ.გილიაშვილი, „ადამიანი“, 1960-70 - იანი ნნ.  
ქ. აკვარელი. 30,5X21,5. ოქანის საკუთრება


## სოფიანების ნახტომისძე



რ.კიბლიძი, „მამა გული“, ქ. აკვარელი.  
1980-იანი 66. 43X32. ოქანის საკუთრება



რ.კიბლიძი, „მამა გული“, 1988.  
ქ. ფ. 30,5X21,5. ოქანის საკუთრება




რ.კიბლიძი, „მამა გული“, 1960-70 - იანი 66.  
ქ. აკვარელი. 30,5X21,5. ოქანის საკუთრება


ლად გაფორმებულ კომპოზიციებზე ფიქსირდება თარიღები – ეს კი ძირითადად საქართველოს უახლესი ისტორიისთვის უმძიმესი 1990-92 წლებია. მინაწერები სხვადასხვა ყოფითი შინაარსისაა, მინიდღიურების მსგავსი. ძირითადად პირად, ყოველდღიურ ყოფაში და საკუთარ ოჯახში მიმდინარე ამბების ჩანიშვნებია, აფიქსირებს მხატვარი თბილისში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ეპიზოდებსაც. მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ძირითადად ორი ჩანაწერია, აქედან ერთი მინაწერი პოემის დასაწყისით დასათაურებული ფურცლის მარჯვენა მხარეს, ზედა არეზეა დატანილი და შემდეგი შინაარსისაა: „გაზეთ „საქართველოს კულტურა“-დან შემომითვალეს: არ გეშინია ზიჩის მერე ვეფხისტყაოსანზე მუშაობისო?“

არ მეშინია. თუ კი რამე მისწავლია წინამორბედთაგან ვისწავლე. თუ რამე გავლენა განვიცადე შემდეგაც – არ ვამბობ მაგაზეც უარს.

მხატვართა ყველა თაობამ უნდა დახატოს და გადაწეროს ვეფხისტყაოსანი. ამიტომ ვ-



რ. კიალინი, „ედუარდი“, 1980-იანი წე. ძ. აკვარელი. 43X32. ოქანის საკუთრება



რ. კიალინი, „ედუარდი“, 1984. ძ. აკვარელი. ოქანის საკუთრება

ატავ, მოვუწოდებ სხვებსაც. 22 აპრილი, 1992“.

მანამდე კი უკვე ზემოთ ნახსენებ ინტერ-ვიუში იგი ამბობს: „...ბავშვობიდანვე მაქვს სიყვარული რუსთაველისა, ბავშვობის იმ დროიდან, როდესაც რუსეთიდან ახლად-ჩამოსულს, ჯერ კიდევ არ მესმოდა ქარ-თული ენა. მამამ ზეპირად იცოდა მთელი „ვეფხისტყაოსანი“. ჩვენ მამასთან გვეძინა, და ვუსმენდით, თუ როგორ კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“ ძილის წინ, მაშინ ელე-ქტრონის შუქიც არ იყო სოფელში, 1933-35 წწ.-ში. დედამ ქართული არ იცოდა, მაგრამ სიამოვნებით უსმენდა, მამაჩემი კი თარგმნ-იდა და ყველაფერს გვიხსნიდა. ბავშვობიდან მახსოვს მარტო მუსიკა „ვეფხისტყაოსანისა“. შევძლებ თუ არა ამ საქმეს, არ ვიცი.“<sup>48</sup>

თუმცა ალექსანდრე ბანძელაძის მიერ შესრულებული შოთა რუსთაველის პოემის გასაფორმებლად განკუთვნილი ესკიზების მოძიება დღესდღეობით სრულად არ ხერხ-დება, მაგრამ ის რაზედაც ხელი მიგვიწვდა, გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მხატ-

ვრის ჩანაფიქრის თვალის მისადევნებლად და წიგნის დასასურათებლად მოაზრებული კომპოზიციური წყობის დასადგენად.

როგორც ჩანს, მხატვარს „ვეფხისტყაოსანის“ მთლიანი მაკეტის ხელით შესრულება ჰქონდა გადაწყვეტილი. ხელნაწერი ტექსტის კომპოზიციური განაწილება ფერადოვნად მოსაზღვრულ თეთრ არეზე გაიაზრებოდა, ისევე როგორც ეს 1966 წლის „არსენას ლექსის“ გაფორმების შემთხვევაში იყო. ილუსტრაციების განთავსებასაც ცალკე ფურცლებზეც და ტექსტში ჩართვითაც გეგ-მავდა, ასევე ხელთქმნილს იაზრებდა წიგნის ტიტულსაც, თავსართ-ბოლოსართებსაც და სავარაუდოდ ყდასაც. შემორჩენილი ეს-კიზების გაცნობისას მნახველს აოცებს ის კოლოსალური სამუშაო, რომელიც მხატ-ვარს წიგნის საბოლოო ვარიანტის ძიები-სთვის აქვს გაწეული. ესკიზები მთლიანი ფორმატის ზომის ფურცლებზე იქმნება (35X66). წიგნის შემადგენელი ელემენტების განთავსების სქემა თანდათან ყალიბ-

8. ს. ლეჭავა, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 24.

## სოფიანი ბახმაროსძე

დება. ესკიზთა უმრავლესობა ძირითადად ძიების საწყის ეტაპზეა დარჩენილი, ზოგი შედარებით დასრულებულია, „გადაშლილი წიგნის ფურცლები“, ურთიერთშეხამებით, კომპოზიციურადაა შექრული. ნახატისა და შრიფტის განაწილება მორგებულია სასურათე ფორმატს და დამუშავების ხასიათითაც ესკიზური „ჩარჩოებიდან“ დასრულებული ნახატის სახეს იძენს. მხატვარი სრულიად ახლებური ხედვით ფიქრობს რუსთაველის პოემის დასურათებას. დასაწყისში, კონ-



რ. კიალიშვილი, „გაუგლი“, 1980-იანი წე.  
ე. აკვარელი. 30,5X21,5 მმ ჯანდაც საკუთრება


ტრტიტულზე მაცხოვრის გამოსახულების განთავსება ჰქონია გააზრებული, რათა ავტორისა და მხატვრის მიმართვა ღვთისადმი ერთად გაერთიანებულიყო „ჟე, ღმერთო ერთო შენ შეჰქმენ, სახე ყოვლისა ტანისა...“. უფალი საეკლესიო მხატვრობაში მიღებული, ტახტზე მჯდომი პანტოკრატორის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო ნახატი ინდივიდუალური მანერით, თავისუფალი ხელწერითაა შესრულებული. ასევე ყველა სხვა ილუსტრაცია, იქნება ეს თავსართი თუ ტექსტის შინაარსის ამსახველი ვიზუალურად წარ-

მომდგენი ესა თუ ის კომპოზიცია. გაოცებას იწვევს, თუ რაოდენ კოლოსალურ ენერგიას გასცემს მხატვარი თითოეული ფურცლის შექმნისთვის, რომელიც ფაქტობრივად ჯერ მხოლოდ „შავ მასალას“, სამუშაო ესკიზს წარმოადგენს და საბოლოო სახის მიცემის დროს ყველაფრის თავიდან დახატვა და თავიდან გადაწერა გახდება საჭირო.. ხელოვანი არ კმაყოფილდება პოემის ტაქტათვის მხოლოდ შესაბამისი ადგილის დატოვებით, თუნდაც შესაბამისი ფერის ფონის დადებით, სატექსტო ადგილის კომპოზიციური მოსაზღვრის მინიშნებით. და იგი გამოყოფილ დაფერილ არებში გულმოდგინედ ახდენს ტექსტის ჩანერას, ქართული ხელნაწერისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტის გათვალისწინებით: ცალკეული თავების დასაწყისში ის ზოგჯერ ასომთავრულ შრიფტს იყენებს; საზედაო ასო-ნიშნებით იწყებს ცალკეული თავების პირველ სტროფს, პოემის ტექსტს შავი მელნით ასრულებს, წვრილი, ფაქიზი კალმით გამოჰყავს თითოეული ასო-ნიშანი, საჭიროების შემთხვევაში წითელ ფერსაც იყენებს, ცალკეულ სიტყვებს ერთმანეთისგან სინგურისფერი სამი წერტილით გამოჰყოფს. ეს ყოველივე წინმნები სამუშაოსთვის კეთდება, საბოლოო ვარიანტისთვის შესასრულებლად, სრულიად თავიდან რომ უნდა გადაიწეროს და დასურათდეს.

„აქა მხატვარო დახატე ...“ ილუსტრაციის ესკიზზე, ტექსტის მარჯვნივ, ზევით, დატანილია მხატვრის მინაწერი: „დღეს მიხდება ძალიან ხშირად ნიტროგლიცერინის მიღება. მანუსებს განსაკუთრებით მუშაობის დროს“ - ჩანაწერი 1992 წლის 8 მაისითაა დათარიღებული... და სავარაუდოდ ეს ილუსტრაცია - „აქა მხატვარო დახატე ...“ - მისი ბოლო წამუშევარიცაა.. ერთი თვის შემდეგ, 1992 წლის 13 ივნისს ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე გარდაიცვალა. ოცნება - გადაეწერა და დაესურათებინა მისთვის სათაყვანებელი წანარმოები - შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ - განუხორციელებელი დარჩა.

არსალარცია, ფ.ზ. 90,2X100. ოქანის საკუთრება. დეტალი





აბსტარექტული კომპოზიცია. 1988.  
ფოტო-სლაიდი გ. გგალობლივის



# სრუტესნიროვი ბანდელოსძე კუსროსფილ თემაზე

## ჭითელი 6. ესთონური შემთხვევი

“მალევიჩმა თავისი „შავი კვადრატით“ აქცია  
ჩაატარა და სილა გააწნა საზოგადოებას.  
აქამდე უნდა მიხვიდე. ეს შენი შინაგანი  
მოთხოვნილება უნდა იყოს.”<sup>1</sup>

(ალექსანდრე ბანძელაძე)

ჩვენ ზუსტად არ ვიცით, თუ როდის შექმნა  
ალექსანდრე ბანძელაძემ პირველი აბსტრაქ-  
ცია, რადგან ის ხშირად წვავდა საკუთარ ნა-  
მუშევრებს, თუ ისინი ბოლომდე არ აქმაყო-  
ფილებდა. მისი ადრეული აბსტრაქციები,  
რომლებსაც ვიცნობთ, 1960-იანი წლების  
დასაწყისს განეკუთვნება. გეზი აბსტრა-  
ციისკენ მან 1950-იანი წლების ბოლოს აიღო.  
მხატვარი საბჭოთა ქვეყანაში ცხოვრობდა,  
სადაც აბსტრაქცია, როგორც “ბურჟუაზი-  
ული საზოგადოების პროდუქტი” ოფიციალ-  
ურ დონეზე იკრძალებოდა და არსად იფინე-  
ბოდა. აქ ფერი და ხაზი მხოლოდ ფიგურის,  
ობიექტის ასახვის სამსახურში იდგა, ხოლო  
მათი საიდუმლოებების ავტონომიური - და-  
მოუკიდებელი კვლევა დაუშვებელი იყო.  
თუმცა, მას შემდეგ რაც ნიკიტა ხრუშჩოვ-

მა “დაათბო” სიტუაცია (1956 წ.) და ოდნავ  
გადახსნა “რკინის ფარდა,” ხელოვნებამ  
ყველაზე მეტად გაამჟღავნა, რომ შემოჭრი-  
ლი ინფორმაციის “უცხო” ნაკადმა ქვეყანაში  
შესაბამისი ცვლილებები გამოიწვია. მაგრამ  
ის, რასაც ბანძელაძე თავისთვის აკეთებდა  
და თავის ყველაზე სერიოზულ საქმედ მიაჩ-  
ნდა, დიდხანს იყო დამალული. 1987 წლამდე  
მისი აბსტრაქციები მხოლოდ ძალიან ვიწრო  
წრისთვის იყო ცნობილი. სიმბოლურია, რომ  
როგორც კი საბჭოთა კავშირმა რყევა დაი-  
წყო, ერთ-ერთი პირველი, რაც გამოაშკარა-  
ვდა და ყველა აალაპარაკა, ბანძელაძის და  
მისი მოწაფეების (გ. ეძგვერაძე, გ. ზაუტაშ-  
ვილი, ი. ზაუტაშვილი, ლ. ლასარეიშვილი, გ.  
მგალობლიშვილი) აბსტრაქტული მხატვრო-  
ბა იყო.

1. ალ. ბანძელაძის შესახებ ი.ზაუტაშვილის მიერ გადაღებული ვიდეო - ფილმიდან, 2000

## ართე გენერაციის ნამდებლები



ფოტო. ალექსანდრე გაძელავა სახელოსნოში. 1960-70-იანი წელი.

\* \* \*

პოლიტიკურ სისტემათა ჭიდილის გამო ორ ნაწილად გაყოფილ მსოფლიოზე.

\* \* \*

დღეს „ახალი თვალით“ ვუბრუნდები ფოტო-მასალას, რომელიც 1999 წელს, ალექსანდრე ბანძელაძის მეუღლის და ოჯახის წევრების ხელშეწყობით, მათ ბინაშია გადალებული. მათზე ჩანს უამრავი ტილო, კედლებზე რომ ფეთქავენ, შფოთავენ, ერთ-მანეთს „ხელს უწვდიან,“ საკუთარ ჩარჩოებში ვერ ეტევიან, და მანც, თითოეული და-მოუკიდებელ, მხატვრულად ორგანიზებულ ერთეულს წარმოადგენს. მათი ცქერისას, დღევანდელ მნახველს ბუნებრივად შეიძლება გაუჩნდეს შეკითხვა - რა მიზეზით იყო ეს ტილოები, რომლებზეც მხოლოდ ხაზები და ფერები ებრძვიან ერთმანეთს, ან მშვიდად ისვენებენ, ასეთი „საშიში“ და მიუღებელი? რატომ ვლაპარაკობთ პოლიტიკაზე ასეთ ავტონომიურ - მხოლოდ ხელოვნებასთან დაკავშირებულ მხატვრობაზე საუბრისას? თუმცა, როგორიც პარადოქსულიც უნდა იყოს, ისინი სოცირეალისტურ - თხრობითი ხასიათის ნამუშევრებზე უკეთ საუბრობენ



აბსტრაქტული კომარზიცია. 1966.  
ფ. 73X60. კერძო საკუთრება



ნილ ფუნდამენტს და მოდერნიზაციის ახალ ეტაპზე საქართველოში, ახალი საფეხური შექმნა აბსტრაქციის განვითარების განხრით. მასთან ერთად, ამ საფეხურს ქმნის მხატვარი ჯიბსონ ხუნდაძე.

\*\*\*

აბსტრაქტული მხატვრობის ყველა დიდი წარმომადგენელი - დაწყებული კანდინსკით და მალევიჩით - მისკენ მართლაც ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა, მიემართებოდა. კავაბაძისთვის ეს იყო სვლა “დამოუკიდებელი აღსახვის” გზით. 1950-იანი წლების საქართველოში ამგვარი გზის გავლა გაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე ზოგადად 1910-20-იან წლებში. რეჟიმის მიერ დაწესებული ცენტრული გამო, ქვეყანაში ცოდნა მოდერნისტულ მიმდინარეობებზე თითქმის სრულიად გამქრალი იყო. უახლესი დროის დასავლეთის ხელოვნება მხატვრებისთვის საერთოდ უცნობი იყო. 1950-იანი წლების მხატვართა თაობა იმპრესიონიზმს და პოსტ-იმპრესიოზმს ეზიარა, რითაც ადგილობრივი ფერწერა ახალ სიმაღლეზე აიყვანა. მაგრამ დასაძლევი იყო ბევრად მეტი და ბანძელაძე თავისთვის, “იატაკევეშეთში,” ამაზე დაუღალავად მუშაობდა. შედეგად იგი კუბიზმამდე მივიდა - რომელიც საბჭოთა სინამდვილეში მცხოვრები მხატვრებისთვის ყველაზე დიდ დანაკარგს წარმოადგენდა - და საკუთარ შემოქმედებაში ეს ეტაპიც დასძლია. ასე, სხვადასხვა, მცირედ ნაცნობი, მაგრამ ინტუიციით ნაგრძნობი ეტაპის სწრაფად “დაფარვის” გზით, მხატვარი მივიდა აბსტრაქციამდე, როგორც მოთხოვნილებამდე. ახლა ძნელია იმის გარკვევა, თუროგორგადადგამდა ბანძელაძე შემდგომ ნაბიჯს, “ცივ” ურთიერთობაში მყოფი ქვეყნების მთავრობებს ნაბიჯი ერთმანეთისკენ რომ არ გადაედგათ და გამოფენათა გაცვლა არ გადაეწყვიტათ. 1959 წელს, მოსკოვში ამერიკიდან გამოფენა ჩამოიტანეს, რომელიც ქვეყნის ცხოვრების ყველა ასპექტს წარმოაჩენდა და რომელმაც საბჭოთა მოსახლეობას “თვალი აუხილა” დასავლეთის ცხოვრებაზე.



კომარზიცია. 1966.  
ტ. ზ. 73X60,5. ოქანის საკუთრება



აბსტრაქტული კომარზიცია. 1966.  
ტ. ზ. 75X75. ოქანის საკუთრება

\*\*\*

ალექსანდრე ბანძელაძეს აღნიშნული გამოფენა არ უნახავს. მაგრამ მისი ინტერვიუდან (ჟურნალი “სპექტრი,” 2, 1990, გ.8-13) ცხადი ხდება, რომ მან რომელილაც მოსკოვურ გაზეთში იხილა სტატია თან-დართული ფოტო-სურათით, რომელზეც

## სოფიანის მინდანი ბაზების გარემონტი



კომპარაზიცია. 1966.  
ტ. ზ. 60X73. ოქანის საკუთრება

დამთვალიერებლები რაღაც ნამუშევარს უცემდნენ, რომელსაც მკაცრად აკრიტიკებდა და დასცინოდა სტატიის ავტორი. გამოფენასთან დაკავშირებული მასალების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაცინვის ობიექტი იყო ჯექსონ პოლოკის “ტაძარი” - ტილო, რომელიც გამორჩეულად დიდ ინტერესს იწვევდა საბჭოთა მნახველებში და რომელსაც განსაკუთრებით ესხმოდნენ თავს ჟურნალისტები. ბანძელაძემ არც იმ სურათის ავტორი იცოდა, არც იმ მიმდინარეობის სახელწოდება, რომელსაც ის წარმოადგენდა, მაგრამ მან ამოიცნო ის, რისკენაც უკვე მიჰყავდა საკუთარ ძიებებს და არჩეულ გზაზე თამამად განაგრძო სცლა.

\* \* \*

ეს იყო ამერიკული აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი ანუ ნიუ-იორკის სკოლა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ამერიკის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს

მე და შენ. 1966.  
ტ. ზ. 60X80. ოქანის საკუთრება





წარმოადგენდა. ჯექსონ პოლოკმა, მარკ როთერმ, ვილემ დე კუნიგრმა, ფრანც კლაინმა, რობერ მაზერველმა და კიდევ რამდენიმე მხატვარმა, შექმნეს ეტაპი, რომელმაც მდიდარ, ძლიერ ქვეყანას ხელოვნების განხრითაც დაუმკვიდრა ლიდერის როლი. ადგილობრივმა კრიტიკოსებმა არ დააყოვნეს და მსოფლიოს ამცნეს, რომ ხელოვნების ცენტრმა პარიზიდან ნიუ-იორკში გადაინაცვლა. დიდი, მფეთქავი, დინამიკური ტილოები, ენერგიული, მოქნილი მონასმებით, ჩამოღვენთილი სალებავებით - თავისუფლების და სიძლიერის დემონსტრირებას ახდენდა. საბჭოთა ქვეყანაში ამგვარი არავის არაფერი ენახა. და მას შემდეგაც, კიდევ დიდხანს აღარ მისცემია მოსახლეობას მსგავსი შესაძლებლობა. მაგრამ ინფორმაცია მიღებული იყო. ის დაილექა მათ გონებაში, ვინც საამისოდ ფხიზლად იყო. და შეუქცევადი პროცესი დაიწყო. თუმცა, მეოთხედმა საუკუნემ განვლო, სანამ ყოველივე ეს გამოაშკარავდა.

\* \* \*

გარეგნულად, ზედაპირზე თითქოს არაფერი იცვლებოდა. ბანძელაძე აფორ-მებდა წიგნებს და მის მიერ ილუსტრირებული წიგნები იმსახურებდნენ ადგილობრივ და საერთაშორისო პრემიებს. მართალია, მას უკვე სტუდენტობის პერიოდიდან იცნობდნენ, როგორც თავისუფალ პიროვნებას, რომელიც არასოდეს ღალატობდა საკუთარ მრნამსს და სკულპტორმა გოგი ოჩიაურმა თავისი მეგობარი “ზულიგან მხატვრადაც” კი მონათლა, მაგრამ ძალზე ვიწრო იყო წრე, რომელმაც იცოდა, თუ რა მასშტაბს აღწევდა მისი თავისუფლების ზღვარი.

\* \* \*

ბანძელაძე გაიტაცა ფერმა, მისმა სტრუქტურამ და ფერწერული მასებით კონსტრუირებამ. ამ პერიოდიდან მხატვარი თავისუფლად მოქმედებს ტილოს ზედაპირზე და თავის ცოცხალ, ძლიერ ენერგიას გადასცემს მას. როგორც ჩანს, მას დროდადრო იტაცებდა კიდეც პროფესიული თვითქმაყო-



აბსტრაქტული პომაოზიცია. 1966. ქ. შერაული ტექნიკა. 42,2X29,8. რეალისტური საკუთრება.



ფოტო. ალექსანდრე გაძევალაძე და მხატვარი ზურაბ ლეზავა. 1960-იანი 60.



აპსტრაქცია. 1967.  
ტ. 76X86. ოქანის საკუთრება

ფილებით მოზღავავებული თავისუფლება. ამიტომაც ძალზე ხალისიანია ხოლმე ბანძელაძის აბსტრაქციები. ხანადახან სიმსუბუქე და შეიარულებაც ისადგურებს მათში. მაგრამ მერე ისევ იწყება მიხვეულ-მოხვეული გზები, ძიების დრამატიზმი, მიგნებულზე მუშაობა და სილრმებში სვლა იბადება ვარიაციები ერთსა და იმავე თემაზე.

\* \* \*

ბანძელაძე წლების განმავლობაში უტრიალებდა კვადრატის თემას. შედეგად მან შექმნა სრულიად ორიგინალური ნამუშევრები, რომლებიც მის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად და წვლილად უნდა ჩაითვალოს აბსტრაქციის განხრით. სერიებში ამ თემაზე, მან შეძლო ერთმანეთისთვის შეერწყა

ერთი მხრივ ექსპრესიული აბსტრაქცია და მეორე მხრივ, მინიმალიზმი, რომელიც მალევიჩთან იდებს სათავეს, მაგრამ სწორედ 1960-იანი წლების დასაწყისში ყალიბდება დამოუკიდებელ მიმდინარეობად. ბანძელაძესთან ეს ბუნებრივად მოხდა. ეს იყო მისი ძიებების შედეგი. სწორედ ამ ორი მიმდინარეობის ორგანულად შერწყმის საფუძველზე შეიქმნა მისი მონინავე - დროის შესატყვისი - აბსტრაქტული კომპოზიციები.

\* \* \*

რამდენადაც შეგვიძლია გავადევნოთ თვალი, კვარადატის (ან ოთხკუთხედის) თემა ბანძელაძის შემოქმედებაში 1966 წლიდან ვითარდება. იმ წელს მან შექმნა სამ მონაკვეთად დანაწევრებული კვადრატი. 1967




პორტრეტი, ესკიზი, 1967.  
ძ. ტუში. აკვარელი, 20,2X29. ოქანის საკუთრება

ნელს მსგავსი კვადრატი 9 სეგმენტად დაყო. 1968 ნელს, მან შექმნა ტილო, რომელზეც მხოლოდ ერთი ფერით - ცისფრით შემოფარგლულ კვადრატს ვხედავთ. ეს არის ავტორის ყველაზე მინიმალისტური და ამასთან, ექსპრესიონისტული კომპოზიცია.

ამ ნამუშევართან დაკავშირებით მხატვრის ქალიშვილი - რუსუდან ბანძელაძე იხსენებს : “მაამამ დახატა ეს კვადარატი და სურათზე მუშაობის გაგრძელებას აპირებდა. მაგრამ ერთი-ორი დღე უყურა და მერე თქვა: “უცნაურია, ამას მეტი არაფერი ჭირდება” (პირადი საუბრიდან, 1999).

1968 ნლის აბსტრაქციაში იმავე თემაზე, კვადრატი 25-ზე მეტ ფერადოვან მონაკვეთად იყოფა. 1970 ნელს ბანძელაძემ შექმნა ტილო, რომელიც დღეს საქართველოს



პორტრეტი, 1967,  
ზ. ზ. 75,5X86, გუარი ნიმუში ფოტო



აპსონა ატული კომპოზიცია, 1967,  
ფ. ზ. 116, 5X108. ოქანის საკუთრივა

ეროვნული მუზეუმის კოლექციაშია და ერთ-ერთი საუკეთესოა მის ვარიაციებში ამ თე-მაზე.

სურათი შესრულებულია ზეთით. მატერიალურ ბაზისს წარმოადგენს თითქმის კვადრატული, ოდნავ სიგანეში განოლილი ტილო, ზომით  $90 \times 100$  სმ. სიბრტყეზე მოცემულია ოთხუთხედი, რომლის გარშემოწერილობა სასურათე სიბრტყის კიდეებს პარალელურად მიუყვება, კიდიდან დაახლოებით 9-10 სმ.-ის დაშორებით. ოთხუთხედის კონტური არ არის არც მკაცრად სწორკუთხა და არც ჩარჩოს მიმართ მკაცრად პარალელური.

თავად ოთხუთხედი დანაწევრებულია მცირე, განსხვავებული ზომის მონაკვეთებად. გამოყენებულია მომწვანო-ცისფრის (ფირზისფრის) და მოყვითალო-თეთრის გრადაციები. ტილოს ზედაპირი დაფარულია მონასმების მრავალი ფენით. ეს ფენები სიღრმეს და შინაგან ჟღერადობას სძენენ ფერებს.

ოთხუთხედის ზედაპირი დაახლოებით 15 მონაკვეთად არის დაყოფილი. ისინი სხვადასხვა ზომისაა. არც ერთი არ არის შემოსაზღვრული მკაცრი, სწორი ხაზებით. კონტურები - ზოგან მქრქალი, ზოგან



უფრო მკვეთრი, როგორც ჩანს, გაუშრობელ ზედაპირზე ფუნჯითვება გახაზული. შემო-ფარგლულია სწორკუთხედები - თითქმის კვადრატული ან წაგრძელებული, ვინრო ან სულ მცირე მონაკვეთები. ზედა მარცხნა კუთხეში მოხაზულ სეგმენტს ქვედა მარჯვენა „კუთხე“ თითქმის ნახევარნრიულად აქვს მოხაზული. მონაკვეთები განსხვავებული ფერისაა: ზოგი მოცისფრო, ზოგი თეთრი, მოყვითალო, მომწვანო-მოცისფრო, მოლურჯო-შავი, რუხი. არც ერთი ფერი არ არის სიბრტყითი, მონოტონური. ყოველი მონაკვეთი უამარავი მონასმით არის აგებული. ეს მონასმები მდიდარ, მსუყე ფაქტურას ქმნიან. ზედაპირი დამუხტულია, მგრძნობიარე. შედეგად, უსაგნო, არაფიგურული კომპოზიცია საოცარ სილრმეს იძენს. მუქი აქცენტები დინამიკურად არის გაბნეული. არე ოთხ-კუთხედის გარშემო, კომპოზიციის ფონსაც ქმნის და ჩარჩოსაც. მისი უწყვეტობა, „გაურდვევლობა“, განსაზღვრავს მის ფუნქციას, როგორც კომპოზიციის შემკვრელისა.

მთლიანობაში, ფერნერული დინამიკურობის შეგრძება იქმნება არა იმდენად მონასმების ექსპრესიულობით - რაც ასევე სახეზეა და საგულისხმოა - რამდენადაც იმით, რომ თითოეული სეგმენტი თავის თავში ჩაკეტილია და მონასმების დახრა, მიმართება თითოეულში განსხვავებულია. ეს განცალკევებულობა, მთლიანობაში ერთად შეკვრისას, ურთიერთდაპირისპირების მექანიზმს ქმნის. აქედან იქმნება შინაგანი დინამიზმი, რომელიც უმიზნოდ კი არ ფეთქდება, არამედ შინაგან ფეთქვას და პლასტიკურ დაძაბულობას ქმნის ტილოს ზედაპირზე. ტილოს ცენტრში განთავსებული კვადრატის, მისი თითოეული სეგმენტის და გარემომცველი ფონის ფერნერული შეპირისპირება სტრუქტურულ მრავალფეროვნებას ქმნის. ყოველივე ეს წარმოშობს ფერნერული სიბრტყის „სუნთქვის“ შეგრძნებას. მფეთქავი ზედაპირი განსაცვიფრებელ პლასტიკურ ულერადობას იძენს.

ასე ავლენს ბანძელაძე დამოუკიდებლად ფერის, სალებავის გამომსახველობით უნ-



ძალი. 1967.  
ტ. ტუში. აკვარელი. 19,2X13,2. ოჯახის საკუთრება



უსათაურო, 1967,  
ტ. ზ. 89,7X90, ოჯახის საკუთრება

არს, ფერნერის ავტონომიური საშუალებების ძალას.

1980-იანი წლების ბოლოს მხატვარი

ცოდნის განვითარების სამსახური



აბსტრაქტული კომპოზიცია. 1967.  
ტ.ზ. 200X100. ოქანის საკუთრება



აბსტრაქცია, კვადრატი. 1968.  
ტ.ზ. 35,7X44, ოქანის საკუთრება

დაუბრუნდა ოთხკუთხედის თემას და დიდი ზომის (130 X 150 სმ) მონუმენტური კომპოზიციები შექმნა. აქ ფერები უმეტეს შემთხვევაში ძირითადად აქრომატულია - შავი, თეთრი, რუხი, მრავალფეროვანი ტონალურ-ფაქტურული გრადაციებით. პარალელურად იქმნება შედარებით მცირე ზომის (75 X 75 სმ) კომპოზიციები. აქ სრულდება და ერთ მთელად იკვრება კვადრატის (ან ოთხკუთხედის) თემა ბანქელაძის შემომქედებაში. თავისუფალი, გაუკონტროლებელი ან მიშვებული მონასმები, „დაოკებულია“ სწორკუთხა ჩარჩოებში მოქცევით. (თუმცა, ეს სწორი ხაზები არსად მკაცრად სწორ კუთხეებს არ კრავს და ყოველთვის მკაცრად ურთიერთპარალელურიც არ არის).


ლობს ახსნას, თუ რატომ იყო ისინი ასე მნიშვნელოვანი აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის ნარმომადგენელთათვის, მას შესანიშნავი დასკვნა გამოაქვს. კრიტიკოსი ამბობს, მათ მონესგან ისწავლესო, რომ საღებავს ტილოზე სუნთქვის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს და როცა სუნთქვავს, ის უპირველეს ყოვლისა ამოისუნთქავს ფერს - ფერს არა ფორმებად, არამედ როგორც ველსა და არეს<sup>2</sup>.

ალექსანდრე ბანქელაძე ფერის ველის შექმნის დიდოსტატი იყო. და ეს სწორედ მის მიერ შექმნილ კვადრატებში ჩანს განსაკუთრებით კარგად - იქ, სადაც ის ფერებს თოკავს, საზღვრებში აქცევს და ისინი ფეთქავენ.

\* \* \*

როდესაც ქლემენტ გრინბერგი მონეს „წყლის ლილიებზე“ საუბრობს და ცდი-

<sup>2</sup> Cl. Greenberg, The Later Monet" in 'Art and Culture', Critical Essays, Boston, 1961, p. 45



„აღსენას დეპისი“, ილუსტრაცია, 1965-66.  
ე. შერეული ფერნოკა. 45X64. დეფალი. ოქანის საკუთრივა



„არსენა ლექსი“ იღუსტრაცია, 1965-66.  
ქ. შერეული ფერითა, 45X66. ოვალის საკუთრება



„არსენას ლექსი“ იღუსტრაცია, 1965-66.  
ქ. შერეული ფერნიკა, 45X66. ოჯახის საკუთრება



„არსენას ლეპსი“ ილუსტრაცია, 1965-66.  
ე. შერეული ტექნიკა, 45X66. ოჯახის საკუთრივა




„არსენას ლეპსი“ ილუსტრაცია, 1965-66.  
ე. შერეული ტექნიკა, 45X66 ოჯახის საკუთრივა



„არსენას ლექსი“ ილუსტრაცია, 1965-66.  
კ. ჭარეული ტექნიკა, 45X66, დაფარი, მჯადის საკუთრება



„არსენას ლექსი“ ილუსტრაცია, 1965-66.  
ძ. შერეული ფირნივა, 45X64. დაფალი, რეჟისორის საკუთრება



„არსენას ლექსი“ ილუსტრაცია, 1965-66.  
ე. შარაული ავტორა, 45X66, მჯახის საკუთრება




„არსენას ლექსი“ ილუსტრაცია, 1965-66.  
ე. შარაული ავტორა, 45X64, მჯახის საკუთრება


## არაუკანის ნახტომის გრაფიკა



„არაუკანის ლექსი“ იღლუსტრაცია, 1965-66.  
ე. შერეული ტექნიკა, 45X64, რეზაბის საკუთრივა




„არაუკანის ლექსი“ იღლუსტრაცია, 1965-66.  
ე. შერეული ტექნიკა, 35X66. დეზაინი, რეზაბის საკუთრივა



აბსტრაქცია, 1980-იანების 66.  
ე. აკვარელი, 30X42, მუზეუმის საკუთრივა

აბსტრაქცია, 1980-იანი წელი.  
გ. აკვარელი, 36,7X51, ოქანის საკუთრება





## სრუფლებრივი ბანდერასის შემოქმედების ძირითადი მსახიობობრივი

### თამაში ხელთშეიღო

„რუსეთიდან ახლადჩამოსულს, ჯერ კიდევ არ მესმოდა ქართული ენა. მამამ ზე-პირად იცოდა მთელი „ვეფხისტყაოსანი“. ჩვენ მამასთან გვეძინა, და ვუსმენდით, თუ როგორ კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“ ძილის წინ, მაშინ ელექტრონის შუქიც არ იყო სოფელში. დედამ ქართული არ იცოდა, მაგრამ სიამოვნებით უსმენდა, მამაჩემი კი თარგმნიდა და ყველაფერს გვიხსნიდა. ბავშვობიდან მახსოვს მარტო მუსიკა „ვეფხისტყაოსანისა“<sup>1</sup>. ეს მუსიკა მხატვრის ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი თანმდევი გახდა. მოტივი, რომელიც ღრმა ბავშვობაში თავისთავად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შემოვიდა ცნობიერებაში და მთელი შემდგომი ცხოვრების საზრისი განსაზღვრა. ბოლოს მომძლავრებული და წლობით ნანრთობ-ნალოლიავები მატერიადაც იქცა, „ვეფხისტყაოსანის“ ბანდელაძისეულ მხატვრულ ვერსიად გამოინაკვთა და სასურათე ზედაპირზე გადაინაცვლა. ეს ნანარმოები დაუსრულებელი დარჩა მხატვარს. „ვე-

ფხისტყაოსანის“ სერიაზე მუშაობა მის სიცოცხლესთან ერთად შეწყდა, სხვაგვარად, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა. ალექსანდრე ბანძელაძის მხატვრული აზროვნების მთავარი ღერძი, ხერხემალი და საყრდენი, მელოდია — ცხოვრების მთავარ თემად ქცეული, მხოლოდ მაშინ დადუმდებოდა, როცა ხელოვანი თავად აღარ იარსებებდა და მანამ დარჩებოდა დაუსრულებელი, სანამ მხატვარი ცოცხალი იყო. ასეც მოხდა...

ალექსანდრე ბანძელაძის ბიოგრაფია საქართველოდან შორს, ციმბირის ერთ პატარა სოფელ ტულუნში იწყება. აქ ის 1927 წელი. დაიბადა. აქვე, გაატარა ადრეული ბავშვობაც. მამა, მათე ბანძელაძე, რევოლუციონერობის გამო, გადასახლებაში იხდიდა სასჯელს. დედა მინა რაიე, ეროვნებით ესტონელი, ციმბირში თავის დას სტუმრობდა. თავად საეკლესიო მუსიკის სპეციალისტი, გერმანულ ენასაც თავისუფლად ფლობდა. ოჯახი, ალექსანდრეს დაბადების შემდეგ კიდევ ხუთი წელი, 1932 წლამდე იმყოფე-

1. ს.ლეჭავა. ინტერვიუ მხატვარ ალექსანდრე ბანძელაძესთან. სპექტრი. 1990, №2, გვ.24



აბსტრაქტული კომპოზიცია, 1968,  
ტ.ზ. 78X100. ოქანის საჟუთოება



ცოტო, ალექსანდრე განძალავა,  
60-იანი წე.

ბოდა გადასახლებაში. საქართველოში დაბრუნებულმა მათე ბანძელაძემ მშობლიურ ზესტაფონს მიაშურა. ერთი წლის შემდეგ მომავალი მხატვარი იქვე, რუსულ საშუალო სკოლაში შეიყვანეს, 1942 წ. კი მან თბილისის სამხატვრო სასწავლებელში ჩააბარა. შემდგომ იყო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი, საიდანაც, რეზუმის მოთხოვნების შეუფარავი და პირდაპირი კრიტიკის გამო, ალექსანდრე ბანძელაძე II კურსიდან გარიცხეს.

XXს.-ის 30-იანი წლების მეორე ნახევრის რეპრესიების და 40-იანი წლების პირველი ნახევრის მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, საქართველოში, ისევე როგორც მთელს საბჭოეთში, განსაკუთრებით მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარება სუფერდა. საბჭოთა მმართველობის ხანა, ერთ-



აბსტრაქცია კვადრატებით, 1968.  
ტ.ზ. 50X58. ოქანის საკუთრება

ერთი ყველაზე რთული პერიოდია უახლესი ქართული ხელოვნების ისტორიაში. გამოცდილებამ ცხადყო, რომ სახელმწიფო-ბრივი ტოტალიტარიზმის იდეოლოგიური საფუძველის მთელი სისრულით და სიცხადით დანახვა-წვდომა მისივე ხელოვნების მხატვრულ-სახეობრივი ენის გაანალიზებითაა შესაძლებელი. ეს ენა კი, როგორც წესი, ჩანასახშივე, დეტერმინირებულია იმ მთავარი ფუნქციებით, რომელიც ამ დროს ხელოვნებას აკისრია -პროპაგანდა და მასებზე ზემოქმედება კონკრეტული იდეოლოგიის ფარგლებში; აისანყისი და დასასრული, ამოსავალი წერტილი და საბოლოო მიზანი ყველა მსგავსი ტიპის შემოქმედებისათვის. ტოტალიტარული რეჟიმების ხელოვნებაში, ერთიანად მატულობს პათეტიკის, უკონფლიქტობის, პარადულობის ხვედრითი

ნილი. ჭეშმარიტ მხატვრულ ღირებულებებს ფსევდო კატეგორიები ანაცვლებს, იზრდება ფარსისა და სიყალბის განცდა. ძალაუფლების საკრალიზაცია, რომლის უკან საბჭოთა ქვეყნის სოციალური დიდებულება და მისი ყოვლისშემძლეობა იდგა, საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს მსოფლმხედველობრივ ორიენტირად მოიაზრებოდა. ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც ქართული ხელოვნება იყო.

რეზიმი დაუნდობლად უსწორდებოდა ყოველგვარ განსხვავებულ აზრს და მისი გაჩენის შესაძლო მცდელობასაც კი. 1948 წ. თბილისის სამხატვრო აკადემიიდან გაუშვეს დავით კაკაბაძე, მოგვიანებით კი, მისი მონაფე და იმპრესიონისტული მხატვრული მანერის გამორჩეული ოსტატი ვალენტინ შერპილოვი, გარიცხეს არაერთი სტუდენტი



ქალის პორტრეტი. გიორგი ჭუბინაშვილი. 1968.  
ტ. 70x50. ღიმილი შევარდნაძის სახ. ეროვნული გალერეა



უსათაურო, 1968.  
ტ.ზ. 60x85. ფიზიტრი შევარდანაძის სახ. ეროვნული გალერეა

(მათ შორის ჯიბსონ ხუნდაძე), რომელთა ნაწილი აღადგინეს, ნაწილი კი არა. 1930-იანი წე.-ის მიწურულიდან მოყოლებული, საბჭოთა რეჟიმი კატეგორიულად დევნიდა ნებისმიერ მხატვრულ ტენდენციას, თუ ის ფორმის რეალისტური ასახვის პრინციპებს სცილდებოდა. ამ დროისათვის უკვე მკაფიოდ განისაზღვრა „პროლეტარიატის რევოლუციონერი მხატვრების“ მთავარი ვალდებულებაც. მათ „მშრომელთა ფართო მასებისათვის, ჭეშმარიტი, რევოლუციური სინამდვილის მხატვრულ-რეალისტური ფორმით ჩვენება და აქტიური მხატვრულ-საზოგადოებრივი მუშაობით, სოციალ-იზმის შენებაში ქმედითი მონაწილეობის მიღება ევალებოდათ.“<sup>2</sup> ყოელივე სხვა კი,



გოგონა კიკინით, 1960-იანი წე.  
ქ.ზ. 44,5X32,5. მუზეუმის საკუთრება

2. „რევოლუციის მხატვართა ასოციაციის“ დეკლარაცია. მიღებულ იქნა „რევოლუციის მხატვართა ასოციაციის“ | საკავშირო ყრილობაზე 1929წ. **Искусство и массы.** №1-2,




კომპოზიცია, 1968,  
ტ.ზ. 65X75. ოქანის საკუთრება. გურამ ნიგახაშვილის ფოტო

რაც აღნიშნულ ქარგაში არ ეწერებოდა, შეუფარავად ისჯებოდა და იდევნებოდა. ადვილი მისახვედრია, რომ ამ დროს აკადემიიდან გარიცხული ალექსანდრე ბანძელაძის საზოგადოებრივ-სტატუსებრივი მდგომარეობა არც თუ სახარბიელო იქნებოდა. მხატვარმა ბედი წიგნის ილუსტრაციაში სცადა და ქართულ გამომცემლობებს მიაშურა. ამ დროს უკავშირდება ალექსანდრე ბანძელაძისა და ცნობილი ქართველი მწერლის, პოეტისა და მთარგმნელის გრიგოლ აბაშიძის მეგობრობის და ერთო-

ბლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის<sup>3</sup> მრავალნლიანი ისტორიის დასაწყისი. იმხანად გრიგოლ აბაშიძე უურნალ „დილას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო და სწორედ მისი ინიციატივით დაიბეჭდა ახალგაზრდა მხატვრის ილუსტრაციები პირველად 1949-ს. ამ უურნალში. იქიდან მოყოლებული ალექსანდრე ბანძელაძემ უამრავი უურნალი, წიგნი, საბავშვო თუ საყმანვილო გამოცემა გააფორმა და დაასურათა.

ამ დროს მისი მხატვრული სტილისტიკა, ეპოქის მოთხოვნებს სავსებით შეესაბამება

3. გრიგოლ აბაშიძე: „ლაშარელა“ 1957; „დიდი ღამე“ 1963; „ლაშარელა“ 1963 - მხატვარი ალექსანდრე ბანძელაძე



აბსტრაქტული კომპოზიცია, 1969,  
ტ.ზ. 75X74,6. ოქანის საკუთრება

და მკითხველის მოწონებასაც იმსახურებს. მოგვიანებით, როცა ქვეყანაში დიქტატის გარეგნული, მკაფიო ნიშნები ოდნავ შესუსტდა, უკვე საკავშირო პრიზების ლაურეატსა და არაერთი გახმაურებული ნამუშევრის ავტორს, სამხატვრო აკადემია საკუთარი ინიციატივით გადასცემს სწავლის დასრულების დამადასტურებელ მოწმობას (ამ დროისათვის აკადემიას სხვა რექტორი ჰყავდა. ამ თანამდებობას აპოლონ ქუთათელაძე იკავებდა. მისი სურვილი და ინიციატივა იყო ალექსანდრე ბანძელა-

ძისათვის ამ დოკუმენტის გადაცემა).

1956წ.-დან მოყოლებული „პიროვნების კულტის“ პრობლემის გააქტიურებამ, რეპრესირებულთა რეაბილიტაციამ, ცენზურის თითქოსდა შემსუბუქებამ და „რეინის ფარდის“ მიღმა სხვა სამყაროს არსებობის ფაქტის გაცნობიერებამ, თავისუფლების გაზრდილი არეალის იღუზია შექმნა. სინამდვილეში, ყოველივე კვლავ იმ კულტურული პლასტის კონსტრუირებას ემსახურებოდა, სადაც ტოტალიტარული რეჟიმის პოლიტიკური პროგრამა დომინი-



კომპოზიცია, 1968,  
ტ. ზ. 140X99. ოქანის საკუთრება

რებდა და სადაც ხელოვნება, მოკლებული  
თავის არსისმიერ ავტონომიას, მხოლო-  
დღა საშუალება იყო ახალი საბჭოთა მითის  
სინამდვილისდარი რეპროდუცირებისათ-  
ვის.

სწორედ ამ ე.ნ. „დათბობის“ პერიოდს  
ემთხვევა ალექსანდრე ბანძელაძის შემოქ-

მედების პირველი აქტიური ფაზის დასაწყ-  
ისი. პერიოდულ გამოცემებთან თანამშ-  
რომლობის პარალელურად მხატვარი ქმნის  
ქართული კულტურისა და მეცნიერების  
არაერთი ცნობილი წარმომადგენლის პორ-  
ტრეტს (იოსებ გრიშაშვილი (1954), ნიკოლოზ  
კანდელაკი (1954), სერგო ზაქარიაძე (1954),



სპარტაკ ბალაშვილი (1955), ნელი ჩიქოვანი (1957), პლატონ ლეზავა (50-იანი წლები), მაია ბერიძე (1956) - როგორც გრაფიკული, ასევე ფერწერული პორტრეტები). იმის მიუხედავად, რომ ამ ნამუშევრების უმეტესობა მაინც სხვადასხვა უურნალის დაკვეთით სრულდებოდა, მხატვრის ინტერესი პორტრეტის ჟანრისადმი იმთავითვე საცნაური ხდება.

დღეს ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით აშკარაა — პორტრეტი 1950-იან წლებში ალექსანდრე ბანძელაძის შემოქმედების მთავარი ორიენტირი და ინტერესის ობიექტია — სულერთია, ეს იქნება ფანჯრით შესრულებული ჩანახატი, თუ მკაფიო აკადემიზმით ნიშანდებული ფერწერული ტილო.

შემორჩენილია ჯერ კიდევ სამხატვრო ტექნიკუმში სწავლის დროს შესრულებული ბოჭა გოგონას გრაფიკული პორტრეტული გამოსახულება (1945). მხატვარი აქ უკვე იყენებს, მოგვიანებით, მისი გრაფიკული ნამუშევრებისთვის ჩვეულ, მოგრძო მონასმით, არაერთგვაროვანი დამტრიხვის მეთოდს. ამავე პერიოდს განეკუთვნება აკვარელის ტექნიკაში მუშაობის პირველი მცდელობებიც. მისი ორი ავტოპორტრეტიდან (1950), რომელთაც თითქმის იდენტური რაკურსი და კომპოზიციური მახასიათებლები გამოარჩევს, ერთი აკვარელით, მეორე კი ფანჯრითა შესრულებული. იწყება ქალალდისა და წყლის საღებავების ურთიერთმიმართება-შევსების პროცესის განალიზება; ჯერ ძალიან ფრთხილი და მოზომილი. მხატვარი



აპსატრაქათული კომპოზიცია, 1969,  
ფ.ზ. 60X75. ოქაზის საკუთრება



აბსტრაქცია, 1970,  
ტ.ზ. 90X100. ხელოვანების მუზეუმი

მხოლოდ შავი ფერის აკვარელს იყენებს, რაც კიდევ უფრო ააშკარავებს ერთი ფერის სხვადასხვა ტონალური ვერსიით, სივრცისა და სიბრტყის მთავარი მაორგანიზებელი ელემენტების შექმნის შესაძლებლობების მოსინჯვის პროცესს - როცა წყლის კონცენტრაციის ხარისხი ფორმისა და ფაქტურის მატერიალების დატვირთვას კისრულობს და იმავდროულად პლანობრიობის გაჩენას განაპირობებს. შემეცნების მსგავს ეტაპს, სხვადასხვა დროს, ალბათ ყველა მხატვარი გადის. ამიტომაც უჩვეულო განცდა გიპურობს ამ ნამუშევრების ყურებისას, ხვდები, რომ ძალაუნებურად იმ შემოქმედებითი ძიების, ჯერ „დაოკებულის“ და

ოდნავ გაუბედავისაც კი, უნებლიერ მოწმე და მჭვრეტელი ხარ, რისი გამოაშკარავება-გამომზეურებაც იშვიათად რომ სურდეს თავად ხელოვანს.

აკვარელის ტექნიკამ ბანძელაბის შემოქმედებაში ბევრად უფრო გვიან, თუმც კი უდაოდ გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა და მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი ურთულესი პრობლემის — გრაფიკულობასა და ფერწერულობას შორის ვიზუალური ზღვარის გაქრობა-ნიველირების თემის მისეული შემოქმედებითი კვლევის ნაწილად იქცა.

პორტრეტული ნამუშევრები იმდენად ხშირია მხატვრის შემოქმედების პირველ ნახევარში, რომ მხოლოდ მათ მაგალითზეც



კია შესაძლებელი სხვადასხვა მხატვრული ტენდენციისა თუ მიმდინარეობის შესატყვისი, ფორმისმიერი ტრანსფორმაციის ხაზის მკაფიო მოხილვა-გამოვლენა.

1952 წლით თარიღდება გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი. ამავე პერიოდისაა დოდო ჭიჭინაძის, შეუფარავი სეროვისეული ვერტიკალიზმით ნიშანდებული გამოსახულება და თამარ აბაკელიას გამორჩეული საშემსრულებლო ოსტატობით ჩამოქნილი სახე. მათ უცნაურად მსგავსი კოლორისტული გამა, ნივთიერი, მატერიალური სამყაროს მნიშვნელოვანების მკაფიოება და განწყობის იდენტურობა ახასიათებს.

გალაკტიონის პორტრეტში საყურადღებოა ჩამქრალი, მოთოკილი ფერადოვნება, დიდი ლოკალური ლაქები და მოცულობითობაში დავანებული ექსპრესია, რომელსაც უჩვეულოდ ქვევით დაწეული რაკურსის კუთხე და განათების სპეციფიკურობა კიდევ უფრო განცდადს ხდის. აშკარაა სტუდიური მხატვრობისათვის დამახასიათებელი ელფერი. გალაკტიონის მასიური, ლამის მონუმენტური ფიგურა, რომელსაც არაერთგზის მიუბრუნდება ხელოვანი, უცნაური ნაზავია რეალისტური პორტრეტული უანრის და ოფიციალური „სამთავრობო“ პორტრეტის (დაახლოებით ანალოგიური განწყობისაა ამავე პერიოდში უჩა ჯაფარიძის, ისევე როგორც კორნელი სანაძის მიერ შესრულებული გალაკტიონის პორტრეტებიც). ერთი მხრივ, თავად პერსონაჟი, სიტყვის დიდოსტატი, და ქართული პოეზიის აღიარებული მეტრი, ყოვლისმომცველი და ყოვლისდამტევი ნიჭიერება, ნაპირდაუდებელი შემოქმედებითი ენერგია, ხიბლი მელოდიად ქცეულ სიტყვას ადევნებული; მეორე მხრივ კი — მისი გამოსახულება, შექმნილი უდაო ოსტატობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია საკუთრივ სახე, ამასთან ნეიტრალური ფონი, რომელიც შესაძლოა განზოგადებისა და ინტერპრეტაციის წყაროდაც კი ქცეულიყო, რომ არა უეცრად გაჩენილი ანტურა-

უისეული კონკრეტიკა, სამოსი - შემოსული ეპოქისეული ნიშნულით.

წლების შემდეგ მხატვარი გაიხსენებს გალაკტიონის ამ პორტრეტზე მუშაობის პერიოდს „გალაკტიონი ძალიან ადრე, 23-24 წლისამ დავხატე. მაშინ ცხადია არ შემეძლო ჩაწვდომა მის „უნივერსუმში“. ისე იმხანადაც ვიცოდი მისი ლექსები ზეპირად, მომნონდა ისინი, მაგრამ გალაკტიონის სიდიადე არ მესმოდა. ახლა ყოველთვის მიდევს გალაკტიონი მაგიდაზე და დასვენების დროს თუ არ წავიკითხე არ შემიძლია.“<sup>4</sup> გალაკტიონის თემა მხატვრის შემოქმედებაში კიდევ არაერთგზის დაბრუნდება სხვადასხვა ინტერპრეტაციით.

ალექსანდრე ბანძელაძეს მოვლენების აღქმის თავისებური, იშვიათი დამოკიდებულება გამოარჩევს. ერთსა და იმავე თემას მხატვარი მრავალგზის უბრუნდება. და არა იმიტომ - რომ შექმნილ-გამოსახულში რაიმე ვერ დაასრულა, ან სათანადოდ ვერ განახორციელა. მიზეზი სრულიად სხვაა. ბანძელაძე ხელოვანების იმ კატეგორიას განეკუთვნება, ვისთანაც დასრულებული, ამონურული თემა არ არსებობს. მასთან თვითმაყოფილების მომენტი არასდროს დგება. ამის ილუსტრირებაა მთელი მისი შემოქმედება. „არსენას ლექსის“ გაფორმე-



ალექსანდრე ბანძელაძე, 1960-იანი წელი, ტ. 75 X 65, მუზეუმის საკუთრება

4. ს.ლეჟავა, ინტერვიუ მხატვარ ალექსანდრე ბანძელაძესთან, სპექტრი, 1990, №2, გვ. 23

## ართე ქადაგი ბანძელობის



ფოტო. ალექსანდრე გაძალაშვილი, გალაკტიონის ქანძაკებასთან ერთად. 1970-იანი წელი.

ბას ის ორჯერ ახორციელებს და ეს მაშინ, როცა პირველი მოსკოვში გამორჩეული პრიზით დაჯილდოვდა. არსენას თემაზე ქმნის დამოუკიდებელ დაზგურ ნამუშევარსაც. სხვადასხვა წლებში მუშაობს „მაუგლის“ ილუსტრაციებზე და ასევე, საყოველთაო აღიარების მიუხედავად, კვლავ განაგრძობს ამ თემის გადამუშავების პროცესს, თან ცდილობს გაფორმების პირველი ვერსია სრულად დაივინყოს, რადგან თვლის, რომ სათანადოდ არ ჩაუღრმავდა ტექსტს. „გალაკტიონის“ ფერწერული პორტრეტის შემდეგ, რომელმაც ასევე საყოველთაო მონონება დაიმსახურა, ქმნის მისი ქანდაკების ორ ვარიანტს (აქედან ერთია მხოლოდ შემორჩენილი) და უამრავ გრაფიკულ ჩანახატს. დიდუბის ეკლესიის მოხატულობაზე მუშაობის დასრულებისთანავე, ყოველგვარი კონკრეტული დაკვეთის გარეშე უბრუნდება „საიდუმლო სერობის“ კომპოზიციას და იწყებს თემის აბსოლუტური გადააზრების ურთულეს პროცესს. ვარიაციულობის სიმრავლე და ერთი ნარატივის ამოუწურავი სპირალისებური განვი-

თარების ხაზი, სადაც ყოველი ახალი წრე საწყისის კიდევ ერთი განსხვავებული ინტერპრეტაციის ვერსიით ბრუნდება — ასეთია მხატვრის შემოქმედებითი აზროვნების სპეციფიკა.

ნანარმოების აღქმის იდეალური მოდელი, რომელიც ახერხებს სძლიოს ზედაპირულ ფსიქოლოგიზმს, თუ შემთხვევით სიმბოლოებს — ნათელია, რომ მხოლოდ მატერიალურ მახასიათებლებზე არ გადის. ის მუდამ ცდილობს ჩასწვდეს ყოფიერების არსის ძირითად შემადგენლებს. ონტოლოგიური კვლევის სპეციფიკის მიხედვით ვარიაციულობის ნაირგვარობა, საკუთრივი იმ ნანარმოების ამოუწურავი მრავალპლანიანობის შედეგია, რომლის ინტერპრეტირებაც ხორციელდება. იგულისხმება ერთი თემის მრავალი ავტორისეული ხე-



ესკიზი გალაკტიონის ქანძაკებისათვის, 1973, ქ. 43x30,7. ოქანის საკუთრება



ესკიზები გალაკტიონის ქადაკებისათვის, 1973, ქ.ფ. 43X30,7. ოქანის საკუთრება

დვა. ეს ასეა ალექსანდრე ბანძელაძის შემთხვევაშიც, თუმცა საკითხი საგრძნობლად რთულდება, რადგან თემასთან ერთად აქ ავტორიც ერთიდაიგივეა.

ყურადღებას იქცევს ერთი დეტალი — მსგავსი ნაირგვარობით ალექსანდრე ბანძელაძის ის ნაწარმოებები გამოიჩინა უმეტესად, რომელთაც ლიტერატურული პირველწყარო ასაზრდოებს. აქ ის ერთდროულად მკითხველ-ამომკითხველი და ახლის შემოქმედიცაა. როლან ბარტის „ავტორის სიკვდილის“<sup>5</sup> თეორიის მიხედვით, მკითხველის, აღმქმელ-მაყურებლის ინტერპრეტაციის როლი, იმდენად არსებითია, რომ რეალურად აქრობს ავტორისეულ ვერსიას და ანაცვლებს თავად ავტორსაც. ასეა ალექსანდრე ბანძელაძეც, რომელიც მსგავსი „ნაკითხვის“ შედეგად თავად ქმნის ახალ ნაწარმოებს. აქ ხორციელდება, ერთი მხრივ,

პირველწყაროს ინტერპრეტაცია და იმავ-დროულად, იქმნება პირველწყარო სხვა ინტერპრეტაციებისთვის. მისი ყველა ნაწარმოები მიზეზია, მაშინაც კი, როცა შედეგის დატვირთვით იქმნება. მხატვარი მოვლენას პოლისემიურად, მრავალი ვერსია-ვარიანტის კონტექსტში ხდავს. ამიტომაც მისი მრავალპლანიანი სამყარო ხშირად უფრო რეალურია, ვიდრე ნაწარმოსახვითი.

ასე, დაახლოებით ოცი წლის შემდეგ, ხელოვანი კიდევ ერთხელ მიუბრუნდა გალაკტიონის თემას. მთელი ამ წლების განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა, სინანული, გაჩენილი პოეტის მასშტაბის ემოციურად არასრულფასოვანი ვიზუალური ადექვატის შექმნის შედეგად. მასალაც თვისობრივად განსხვავებული შეარჩია, გადაწყვიტა ეს თემა ქანდაკებაში აემეტყველებინა. 1973 წელს გალაკტიონის ქანდაკების ორი მომ-

5. რ. ბარტი, ავტორის სიკვდილი, არილი, 2009, 23 ოქტომბერი



გალაკტიონი. ქანდაკება. 1973.  
თაბაშირი .120 სმ. ოჯახის საკუთრება

ცრო ვერსია შეასრულა თაბაშირით.<sup>6</sup> მან სცადა პოეტის „ძალიან მოძრავი, ძალიან ექსპრესიული, ძალიან აღზნებული - აი ისეთი რომ ამბობს: „მე მეფე ვარ და პოეტი, და სიმღერით ვკვდები“<sup>7</sup> გამოსახულება შეექმნა. იყო უამრავი ესკიზი თუ ჩანახატი. აქ პორტრეტული მსგავსების ფაქტორმა ადგილი ფორმისმიერ ექსპრესიას, განზოგადებასა და უტრიორებას დაუთმო, ემოციის ჰიპერტროფირებულობა კი ლოგიკურობისა და რაციონალურის ჩანაცვლებად იქცა. ქანდაკება ერთიანმა მოძრაობამ მოიცვა. დაუდგრომელი დინამიკა, კუშტი სხეულებრივი ძალმოსილება და ულევი ენერგია – ასეთი იყო უკვე არა „საბჭოთა პოეტი“, არამედ პოეტი დროის, სივრცისა და მით უფრო პოლიტიკური შეხედულებების მიღმა. ნახევრად მითოსური გიგანტი, პოეზიის კეთილხმოვანების მადლს ზიარებული, ძლევამოსილი გონის მტვირთველად რომ აურჩევია განგებას. აქ ბანდელაძე უკვე გალაკტიონს როდი აქანდაკებდა, ის მის პოეზიას უდგამდა ძეგლს. და სათქმელი ფორმამ მაინც შებოჭა, ზღუდეში მოაქცია, რაღაც დააკლო, რაღაც დააკონკრეტა, ამით ფრთხი შეუკვეცა და საარსებო არეალი შემოუსაზღვრა. მხატვარი ისევ უკმაყოფილო იყო, თუმცა გაჩნდა იდეა, იდეა ფერით აბრიალებულ პოეზიაზე: „გალაკტიონის ლექსები, ხომ „აბსტრაქციებია.“<sup>8</sup>

\*\*\*

მხტვრის შემოქმედებას უცნაური, მკაფიო ეტაპობრიობა გამოარჩევს. მისი ვიზუალური ძიებები ფეხდაფეხ მიჰყვება და იმეორებს XXს.-ის მხატვრულ ტენდენციებს. ცდილობს ყველაფერი მოსინჯოს, მოირგოს და გაითავისოს, რაღაც დაიტოვოს, რაღაც

6. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე არსებული დიმიტრი (ჯუნა) მიქატაძის მიერ შესრულებული გალაკტიონის ქანდაკება თარიღდება 1979წ. ქალაქში კი ის 1980წ. დაიდგა. ამიტომ ალექსანდრე ბანძელაძის მიერ გალაკტიონის ქანდაკებაზე მუშაობის დაწყების მიზეზს, ქალაქში ამ ქანდაკების დადგმისთვის გამოცხადებულ კონკურსს ვერ დაუკავშირებთ.

7. ს.ლეჟავა, ინტერვიუ მხატვარ ალექსანდრე ბანძელაძესთან, სპექტრი, 1990, №2

8. ს.ლეჟავა, ინტერვიუ მხატვარ ალექსანდრე ბანძელაძესთან, სპექტრი, 1990, №2



კი სამუდამოდ უკუაგდოს. XXს.-ის ყველა ევროპელი თუ ამერიკელი ხელოვანის ბიოგრაფიისთვის ეს პროცესი ჩვეული, ბუნებრივი და არაფრით გამორჩეულია. ისინი სურვილისამებრ, მეტ-ნაკლები თანმიმდევრულობით ეუფლებიან მანამდელ მხატვრულ გამოცდილებას და უკვე შემდგომ მუშაობებს თანადროულ პრობლემატიკაზე. აქ უჩვეულო თითქოს არც არაფერია. ოღონდ არა ტოტალიტარული რეჟიმის არეალში მყოფი მხატვრებისათვის.

1950-იანი წლების დასასრულს ბანდელაძისეული ფერწერული მონასმი, ლესირებით მოთოკილ-მოვარაყებული, ჯერ მძლავრი, მასიური ლაქებით იწყებს გამონ-



ესპიზი გალაკტიონის ეანდაკებისათვის, 1973,  
კ.ზ. 43X30,7 მმასში საკუთრება



გალაკტიონი. ეანდაკება. 1973.  
თაპაზირი. 120 სმ. მუზეუმის საკუთრება. დაფალი

თავისუფლებას, შემდგომ კი, ნაძერწ-გამონაკვთული, სასურათე ქსოვილის ზედაპირს ფაქტურისდაგვარ რელიეფად ედება (სპარტაკ ბალაშვილის პორტრეტი. 1955). თანდათანობით ვიზუალური პირობითობის ხერხი, ქმედითი კატეგორიის დატვირთვას იძენს. გამოსახულება მკვრივი, ქანდაკებისდარად ჩამოქნილი ხდება. ტაქტილურობა-ხელშესახებითობის განცდა საგრძნობლად მატულობს. კოლორისტული ქსოვილის აქტიურობა თვალს სიღრმეში შეღწევის საშუალებას აღარ აძლევს და მთელი სისრულით თავად მოიწევს მისკენ, მაყურებლისაკენ. მსგავს პორტრეტებზე მუშაობის გამოცდილებას პირდაპირ ებმის მხატვრის შემოქმედებაში იმპრესიონიზმითა და პუანტილიზმით დაინტერესება-გატაცების ხანმოკლე, თუმც კი მკაფიოდ თვალსაჩინო პერიოდი.

XXს.-ის დასაწყისის ქართული ხელოვნების ისტორიამ იმპრესიონისტული ძიებების ეტაპი, ისევე როგორც მომდევნო არა ერთი მხატვრული ტენდენცია, ევროპაში მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ განვლო. შესაძლოა ეს მოვლენები არ იყო



კვადრიატი, 1971  
ტ.ზ. 100X295, ღიმითი შეკვეთის სახ. ეროვნული გალერეა



ლეგაციის გაგრძელება. კვადრიატი. 1971.  
ღიმითი შეკვეთის სახ. ეროვნული გალერეა

დროში სრულად თანხვდენილი, თუმცა მათ შორის ქრონოლოგიური ცთომილებაც არ იყო დიდი. მას შემდეგ კი რაც, ქვეყნის გასაბჭოების გამო, ქართული მხატვრული აზროვნების განვითარების ბუნებრივი მდინარება ძალისმიერად შეწყდა, მსგავსი პროცესებიც შეჩერდა.

გასაბჭოების შემდგომ, ქართველი ხელოვანების პირველი მცდელობა, ევროპული სააზროვნო არეალის წრებრუნვაში დაბრუნებისა, სწორედ 50-იანელთა თაობას უკავშირდება (ალექსანდრე ბანძელაძე, ჯიბსონ ხუნდაძე, ედმუნდ კალანდაძე, ზურაბ ნიუარაძე). აქ ხელახლა იჩინა თავი იპრესიონისტულმა მახასიათებლებმა. ამასთან, მათ

„შეწყვეტილი“ ადგილიდან გაგრძელების ნაცვლად ადრეული, თითქოს გავლილი და გაანაბლიზებული იმპრესიონისტული ეტაპი აირჩიეს კვლავ. დღევანდელი გადასახედიდან, უკვე შესაძლებელია ამის განმაპირობებელი რამდენიმე მიზეზის დასახელება. რკინის ფარდის შიგნით ხომ თითქმის შეუძლებელი იყო სხვაგან მიმდინარე პროცესების შესახებ რაიმეს საფუძვლიანი ცოდნა, მათ შორის იმისაც, თუ როგორ გაგრძელდა მოვლენები წყვეტის მომენტიდან; ამასთან, სამხატვრო აკადემიაში მოღვაწე, ქართველ 50-იანელთა პედაგოგების ნაწილი ის მხატვრები იყვნენ, რომელთაც წლების წინ, არსებითი როლი შეასრულეს ქართული მოდ-



ლეგაციის გამარჯვება. კვალიტეტი. 1971.  
ზ. 400X260 ღია ფინანსების სახ. ეროვნული გალერეა



ლაშა ჭუბინაშვილის გამოსახულება. კვალიტის მიზნით. 1971.  
ქ. ფ. 43X30, 6. ოქანის საკუთრება

ერნიზმის ისტორიის შექმნაში (რად ღირს თუნდაც მოსე თოიძის დასახელება). ბუნებრივია, აკრძალვის მიუხედავად, მათი გამოცდილების კვალი სტუდენტებზე მაინც ქმედით გავლენას ახდენდა. გარდა ამისა, იყო სხვა ტიპის განმაპირობებლებიც.

მაშინ, როდესაც ქართველი ხელოვანები, მათ შორის ალექსანდრე ბანძელაძე, იმპრესიონისტულ-ნეოიმპრესიონისტული ძიებებით დაინტერესდნენ, მსოფლიო სახელმწიფო სივრცე, ახალი მხატვრული რეალობის შექმნის ურთულესი გამოწვევების



ლადო გორგაშვილის გამარტივება. კვალიტატი 1971.  
ზ. 460X295. დიმიტრი შევარდაძის სახ. ეროვნული გალერეა



ლეგანდის გამრავლება. კვადრიატიძი. ესკიზი. 1971.  
ქ. 43X30,6. ოქანის საკუთრება.

წინაშე იდგა, პოპ-არტი ძალებს იკრებდა და ევროპულ ესთეტიზმს ამერიკული ანაცვლებდა. XXI.-ის პირველი ნახევრის თითქმის ყველა მხატვრული მიმდინარეობა უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულიყო და აღარავინ ცდილობდა არსებული რეალობის რაიმეგვარად გამოირება-ასახვას. თუმცა

იმპრესიონიზმისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მათაც შენარჩუნებული ჰქონდათ. „ახალი“ ხელოვნება ხომ სწორედ ამ დიდებული მიჯნის მიღმა დაიწყო (აյ თავისთავად გადამწყვეტი იყო სეზანის როლიც). ასე იყო ქართველი ხელოვანებისთვისაც. თავისუფლების, დაუმორჩილებლობის,



ლეგენდის გამრავლება. კვადრიალი. 1971.  
ზ.ზ. 400X260. დიმიტრი ჭავარდების სახ. ეროვნული გამარია



ლეგენდის გაგრძელება. კვადრიპტიდი. 1971.  
შ. 8. 460X295. ღიმითი შევარდნაძის სახ. ეროვნული გალერეა. დაფალი

რადიკალური სიახლის საწყისი — იმპრე-  
სიონიზმი — ტოტალიტარიზმის აკრძალვის  
პირობებში კიდევ უფრო მძაფრად განიცდე-  
ბოდა და 1950-იანი წლების საქართველოშ-  
იც იმ ამოსავალ წერტილად იქცა, საიდან-  
აც პროცესის გაცოცხლება ლოგიკური და  
გამართლებულიც კი იყო.

პოსტსტალინური ლიბერალიზმის  
მიუხედავად, რეჟიმი მსგვს ექსპერიმენტ-  
ებს სასტიკად კრძალავდა. ქართველი მხ-  
ატვრების ნაწილმა შემოქმედებითი გან-  
ვითარების ურთულესი გზა აირჩია. ეს არ  
იყო ერთიანი, გაზიარებული, დეკლარირე-  
ბული, ან თუნდაც გაცხადებული არჩევანი.  
უმცირესი მინიშნებებით, ფრაგმენტული,  
დაჩქილი ინფორმაციით თუ შავ-თეთრი  
უხარისხო რეპროდუქციებით — ყველა  
მათგანი ცდილობდა XXს.-ის ხელოვნების  
ამა თუ იმ მიმდინარეობის შესატყვისი ად-  
ექვატის შექმნას და ამით ეპოქის ზოგად-  
მხატვრულ ტენდენციებთან ლოგიკური,

საკუთარ თავში გატარებულ-განცდილი, ახ-  
სნილი და ნაგრძნობი ცოდნით მიახლოებას.  
სხვა ყველა შემთხვევაში მათი ნამუშევრები  
ყალბი, ზედაპირული და „დაბრალებული“  
გამოვიდოდა. საგარაუდოდ ამით აიხსნება  
სხვადასხვა მხატვრული ტენდენციის სიმ-  
რავლე და მათი არსებობის დროითი ხან-  
გრძლივობის სიმცირე ალექსანდრე ბანძ-  
ელაძის შემოქმედებაშიც.

1950-იანების მინურულს მხატვარი  
პუანტილიზმით დაინტერესდა („მადონას  
პორტრეტი“ 1957; „კითხვისას“ 1957). ამ ნა-  
მუშევრებში გამოსახულებას ქმნის სასურ-  
ათე ზედაპირის გამთლიანებული, შეკრუ-  
ლი კოლორისტული პლასტი. თავისთავად,  
თითქმის გამქრალია ყოველგვარი სილ-  
რმისული ძიებები. ოპტიკური ეფექტების  
პრობლემა სიბრტყის ზედაპირზე მიმდინ-  
არე პროცესების კვლევით შემოიფარგლება  
და მხატვარიც, კონტრასტული ფერების  
სუფთა ლაქების, ურთიერთის გვერდით



შესაზღვევი, 1973.

ტ.ზ. 144X180. ღია მუზეუმი გალერეა

განთავსების ხერხით აუღერებული გამოსახულებების, ლამის მათემატიკური ამოცანების ამოხსნის ხიბლს მიჰყვება. ეს მიმდინარეობა მხატვრისგან პალიტრის ტექნიკური შესაძლებლობების სრულყოფილ ფლობას მოითხოვს. ამიტომაც მსგავსი მხატვრული ტენდენციის ფარგლებში არაერთი გამორჩეულად თვალისმომჭრელი და მაღალი მხატვრული ღირებულების ნაწარმოებია შექმნილი, როგორც ევროპაში (საკუთრივ პუანტილისტები, ადრეულ პერიოდში მსგავსი გატაცებები ჰქონდა ვ. ვან გოგს, კ. პისაროს, ჰ. მატისს, ა. დერენს ...), ასევე საქართველოში (ჯ. ხუნდაძე). 1950-იან წლებში, როცა ალექსანდრე ბანძელაძე ამ ნამუშევრებზე მუშაობს, ქართულ რეალობაში ანალოგიური პრეცედენტები ძა-

ლიან მცირეა. ისიც ადვილი მისახვედრია, რომ მხოლოდ „ერთდროული ფერადოვანი კონტრასტების კანონი“ და მასზე დაფუძნებული კვლევები, ვერ იქნებოდა დიდი ხნის საზრდო, ვერც ერთი ჭეშმარიტი ხელოვანისათვის. ამიტომაც ამ მხატვრულ ტენდენციას თავისთავად ხანმოკლე არსებობის ისტორია აღმოაჩნდა, როგორც ევროპაში, ასევე ჩივენში და კონკრეტულად ბანქელაძის შემოქმედებაშიც.

ამავე პერიოდს განკუთვნება ქართული სოფლის თეამატიკაზე შექმნილი რამდენიმე ნამუშევარი. ეს სურათები, აგებული, მართალია არა პუანტილისტური ტექნიკით, თუმცა კი კომპლექსური ფერების პრინციპის გათვალისწინებით („ქართული სოფელი“, „სოფლად“ ორივე 1950-იანი



ერთული სოფიანი, დილომი, უნივერსიტეტის აანო, 1976 (ამჟამად აღარ არსებობს)  
ვოლო გ. ჯოლგორძის

წწ.), უდაოდ, მხატვრის მემკვიდრეობის გამორჩეულ ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნული პეიზაჟები საოცრად ლამაზია. მსგავსი ეპითეტი არასაკმარისია, თუ გამოსახულებას სხვა არანაირი მხატვრული ღირებულება არ გააჩნია, თუმცა სტილისტური ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ ნამუშევრებში გათვლილი, გათვალისწინებ-

ული და გამოყენებულია კომპოზიციური სტრუქტურის აგების ყველა ძირეული მახასიათებელი, შექმნილია ძლიერი დინამიკის განცდა, აწყობილია ფერადოვანი კომპოზიციის ლამის სრულყოფილი სქემა, რომლის ხარჯზეც დარეგულირებულია პლანობრივი თანმიმდევრობა და გარემოს ჰაჯერებულობის ეფექტი. აქტიური ფერადოვანი ლაქების ურთიერთმონაცვლეობა, რაც ხშირად ვიზუალური პაუზების დატვირთვასაც ითავსებს, გამოსახულებაში, მთავარი ხედვით-შინაარსობრივი ქსოვილის ძერნვას აადვილებს. სურათები აკადემიური მხატვრობის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს და ამასთან, უდაოდ მომზიდვლელი კოლორიტით ხასიათდება. ეს არსებითა, რადგან მსგავსი, კონტრასტული ფერებით ხატვის პრინციპის მიზანიც ხომ, სასურათე ზედაპირის განსაკუთრებული სიმძლავრით აუდერება იყო. მომდევნო ეტაპი კი მხატვრის შემოქმედებაში უკვე ფოვისტური ძიებების ნიშნით გამოირჩა და კოლორიტის გაძლიერებისაკენ სვლაც ლოგიკურად გაგრძელდა.

1957წ.-ით თარიღდება „არსენას ლექსის“ ბანძელაძისეული ილუსტრირების პირველი ვერსია. მხატვარი ტექნიკური თვალსაზ-



ერთული სოფიანი, დილომი, უნივერსიტეტის აანო, 1976 (ამჟამად აღარ არსებობს). ვოლო გ. ჯოლგორძის



ჩართული სოცელი, ღილომი, უნივერსამის აანო, 1976 (ამჟამად აღარ არსებობს)  
ფოტო გ. ჯოლგორელის

რისით მთლიანად დასრულებული დაზგური ფერწერის ნიმუშებს ქმნის. რომ არა ეპიზოდური, თანმიმდევრული თხრობითობის ძლიერი ნაკადი, რთული იქნებოდა მათი ილუსტრაციისთვის საერთოდ მიკუთვნებაც კი. სავარაუდოდ, ილუსტრაციები წიგნში მხოლოდ ჩანართის სახით იყო გათვლილი<sup>9</sup>, განსხვავებით „არსენას ლექსის“ ბანძელადისეული ილუსტრირების გვიანდელი ვერსიისაგან, სადაც წიგნის, როგორც მთლიანი მხატვრული ორგანიზმის, ერთიანი კონცეფციაც დამუშავდა მხატვრის მიერ.


მკვეთრი, მულერი ფერადოვნება, კოლორიტის ხაზგასმული „ხელოვნურობა“ და მონუმენტურობის ძლიერი განცდა გამოარჩევს ამ სერიის ყველა ნამუშევარს. მსგავსი ინტენსიონისაა როგორც ფონის, ასევე ნინა პლანის შემადგენელი ყველა ელემენტი. კომპოზიცია ხშირად მოახლოებული კინო-კადრის შთაბეჭდილებას ტოვებს, რასაც ლოკალური ფერადოვანი ლაქების სიმრავლე კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის. სხეულები ბოლომდე არც კი ეტევა კადრში, მის მიღმა გადის, მხატვრუ-

ლი ტილოდან გარეთ მოიწევს და არასაკმარისი სივრცის, „გაჭედილობა-უპაერობის“ განცდას ბადებს. აյ ფორმა მუდმივად ზღვარდადებულია ძლიერი, მკაფიო კონტურის საშუალებით, რადგან მისი სასურათე ზედაპირზე „დამაგრება“ მოხერხდეს.



ჩართული სოცელი, ღილომი, უნივერსამის აანო, 1976 (ამჟამად აღარ არსებობს). ფოტო გ. ჯოლგორელის

9. როგორც ცნობილია, წიგნი ამ ილუსტრაციებით არ განხორციელებულა და არ დაბეჭდილა.



არგონავთაები, შემოქმედებითი დასასვენებელი სახლი „ლიტერატურული გაზეთი“, ფოიეს გა-  
ცორების ესკიზი, 1977, გულრიზე. მუზამ, შერეული ტექნიკა, 61,5X96. ოჯახის საკუთრება



არგონავთაები, შემოქმედებითი დასასვენებელი სახლი „ლიტერატურული გაზეთი“, ფოიეს გაფორ-  
მების ესკიზი, 1977, გულრიზე. მუზამ, შერეული ტექნიკა, 61,5X96. დაფალი. ოჯახის საკუთრება

ბუნებრივია, ამ მხატვრული ხერხით, ავ-  
ტორი ახერხებს, ტექსტუალური პირველწყ-  
აროს დარად, დაძაბულობის შემაწუხებელი  
განცდის უწყვეტ შენარჩუნებას, მაშინაც

კი როცა სურათის საერთო შინაარსობრივ-  
კომპოზიციური წყობა, თითქოს ამის საბაბს  
არ იძლევა. ფერის გამომსახველობითობი-  
სათვის მსგავსი მასშტაბის მინიჭება ბადებს

ფოვისტური ძიებების ასოციაციებს და ეს გარკვეულწილად მართლაც ასეა, თუმცა მეტი კონკრეტულობისათვის ალბათ, ინტერესმოკლებული არაა საბჭოთა რეალობაში „მკაცრი სტილის“ (ტერმინი ეკუთვნის ა. კამენსკის) სახელით ცნობილი მხატვრული ნაკადის მოშველიებაც, მით უფრო, რომ ალექსანდრე ბანძელაძის ნამუშევრები სწორედ ამ ისტორიულ-პოლიტიკურ არეალში იქმნებოდა.


ე. წ. „დათბობის“ პერიოდის დაწყებისთანავე, მხატვრული ცხოვრება გააქტიურდა მთელი კავშირის მასშტაბით. ჩატარდა საბჭოთა მხატვრების პირველი საკავშირო ყრილობა (1957); ჩატარდა მხატვართა საკავშირო გამოფენა (1957), სადაც ექსპოზიცია რესპუბლიკების მიხედვით იყო აწყობილი; მოენტყო სოციალისტური ქვეყნების მხატვრების დიდი გამოფენა მოსკოვში (1958); დაარსდა არაერთი სახელოვნებო უურნალი და გამომცემლობა. თითქოს განისაზღვრა სამომავლო გეგმებიც, თუმცა აშკარაა, რომ საკუთრივ შემოქმედებითი პროცესი, არც თუ მაინცადამაინც ცალსახა და თანმიმდევრულია. „დათბობის“ პერიოდი თავისი კლასიკური გაგებით არ იყო ხანგრძლივი და უმეტესად ფორმალური ცვლილებებით შემოიფარგლებოდა. საჭირო იყო მკაფიო,




არგონავთები, 1977, გულრიზში, მუჟაო, შერეული ტექნიკა, 61,5X96. დაფალი. ოჯახის საკუთრება

თვალშისაცემი სიახლე, ამიტომაც მანამდელი პათოსი და პირდაპირი დეკლამაცია, რასაც დიდწილად ომის ფაქტორიც განაპირობებდა, ლაკონიზმა, ფაბულისეულმა სიმარტივემ და ამის ხარჯზე გაძლიერებულმა ემოციამ ჩაანაცვლა. გაიზარდა მონუმენტულობის ხარისხი. პარადულობამ, უკონფლიქტობამ, მხოლოდ კარგისა და უკეთესის დაპირისპირებამ, დროებით უკან დაიხია. შესუსტდა აღწერითობის სრული პრიმატიც. კომპოზიცია გახდა ლაპიდარული, ნახატი მკაფიო, ხისტი და ლაკონიური, ფერი პირობითი და ნატურასთან ზუსტ მიმართებებს აცდენილი (მხატვრები: ტ. სალახოვი, გ. კორსევი, ვ. პოპკოვი, ქ. მები სმოლინები და ა. შ.). ასე შეიქმნა „მკაცრი სტილის“, რომლის არსებობის ისტორია არ არის ხანგრძლივი, თუმცა ის იყო ამ ეპოქა-ლური მონაკვეთის ნაყოფი და ხელოვნებაში ომის შემდგომდროობინდელი პომპეზურობის დაძლევის ერთ-ერთი პირველი მცდელობა.

უკვე ამ მახასიათებლების გათვალისწინებით, ძნელია „არსენას ლექსისთვის“ 1957 წ. ალექსანდრე ბანძელაძის მიერ შექმნილი ნამუშევრები მხოლოდ ფოვიზმის



არგონავთები, 1977, გულრიზში, მუჟაო, შერეული ტექნიკა, 61,5X96. დაფალი. ოჯახის საკუთრება



ხელოვანობითი დასასვენებელი სახლი „ლიტარატურული გაზეთი“, გაფორმების  
ესკიზი, გულარი, 1977. მუზამ, ვარაული ტექნიკა, 96X68. ოჯახის საკუთრება

კონტექსტში შეფასდეს. ასევე, არც „მკაცრი სტილის“ კლასიკურ ნიმუშებად გამოვა მათი დასახელება. შესაბამისად, ფსევდოფოვისტური ტენდენციები, რასაც თავის მხრივ „მკაცრი სტილიც“ ეფუძნებოდა გარკვეულ-წილად, მეტი სისრულით ასახავს, ამ შემთხვევაში, მოვლენის არსს, ვიდრე რომელიმე ერთი მათგანი განკერძოებით.

\*\*\*

1960 წ.-ით თარიღდება პატარა გოგონას პორტრეტი. აქ ფერს უკვე უმთავრესი დატვირთვა ენიჭება. მისითაა მოხაზულ-განსაზღვრული როგორც საკუთრივ გოგონას სხეული, ასევე ირგვლივ არსებული ნეიტრალური ფონი. სწრაფი, რიტმული მონასმები და მათ შორის დარჩენილი ინტერვალები ნამუშევარს, ერთი ამოსუნთქვით შესრულებული ჩანახატის იერს სძენს.

მხატვარი უკვე დიდი ხანია აღარ იყენებს შუქ-ჩრდილის ეფექტს. ფერადოვან მონასტებს შორის არსებული თეთრი დაუფერავი ინტერვალები კი ფორმის მოდელირების ფუნქციასთან ერთად, ამონათების ეფექტის შექმნასაც უზრუნველყოფს (თავისთვად გახსენდება დავით კაკაბაძის „ავტოპორტრეტი სარეკო“ (1917). ფერი ქცეული ვიზუალურ ფორმულად - ასეთია ამ შემთხვევაში ალექსანდრე ბანძელაძის გადაწყვეტილება და ფერადოვანი კომპოზიციაც, ლაქობრივი რიგითობის კანონს მორჩილებს. სასურათე სიბრტყის ცენტრში განთავსებული ძლიერი წითელი ლაქა, ამ ლაქაზე მაყურებლის თვალის სრული კონცენტრირების და კომპოზიციურ-ილუზორული წონასწორობის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით წითლის ფრაგმენტული „მინაშეფები“ ტუჩებზე და თვალებთან,



შემოქმედებითი ფასას ვენეგალი სახლი „ლიტერატურული გაზათი“, გაცორმების ესკიზი,  
გულრიზში, 1977. მუხამ, შერეული ტექნიკა, 96X68. ოჯახის საკუთრება

ლურჯის პარალელიზმი წითლის გვერდით  
და მთელი დანარჩენი არე, მოყვითალო-  
მომწვანო ელფერმოსილი. ამასთან, იქვეა  
დაკონკრეტებული, რომ ეს ის მწვანეა, ამ  
ლურჯისა და ყვითლის ურთიერთგადამდი-  
ნარებამ რომ შვა და არაფერი უცხო ან გარ-  
ეშე. მსგავსად კონსტრუირებული ფერწერ-

ულობის მკაფიოდ თვალშისაცემი პრინციპი  
გამოარჩევს პარიზული სკოლის არაერთი  
წარმომადგენლის ნამუშევრებს XXს.-ის და-  
საწყისში, თუმცა ფერის განცდის, ტიპაჟის,  
ნატურის, პერსონაჟის ასახვის, მისადმი  
დამოკიდებულების, მისი ხედვისა და პორ-  
ტრეტის საერთო კონცეფციის თვალსაზ-



პუბლიკი თბილისში, ესკიზი, 1970-იანი წე.  
ქ. ფ. 42, 2X29, 8. ოჯახის საკუთრება



პორტრეტი, 1977,  
ზ.ზ. 81,4X60. ოქანის საკუთრება



აპატრიაქტული კომპოზიცია. 1977.  
ტ.ზ. 79,8X79,4. ოქანის საკუთრება



ვოლუფი III, 1977,  
ტ.ზ. 79,5X79. გია ჯოსთახერიძის კორპო კოლექცია

რისით, ალექსანდრე ბანძელაძე სრულად საკუთარ ვერსიას ქმნის, რაც უზრუნველყოფს კიდევ მისი პერსონაჟების სიცოცხლისუნარიანობას.

მხატვრის შემოქმედებაში პორტრეტული გამოსახულებები, თანდათან მნიშვნელოვნად ტრანსფორმირდა, დაგრძელდა, გაიდრიკა, დატყდა. თუმცა, ამის პარალელურად, პირველი გამოცდილება, სინამდვილეს

მაქსიმალურად მიახლოებული ფორმათქმნისა, მაინც მუდმივად განცდადი დარჩა. ეს კავშირი მხატვრის გვიანდელ ნამუშევრებშიც, მუდმივად საცნაური იქნება. არასდროს შეწყდება და უცნაური საყრდენის, მთავარი ღერძის დატვირთვას შეიძენს. იგულისხმება არა მხოლოდ ფიგურატიული გამოსახულებები, არამედ ალექსანდრე ბანძელაძის ადრეული აბსტრაქციებიც, სადაც ფორმისა



ავთონორტოვი, 1977,  
ტ. 85X79,5, ოქანის საკუთრება

და კომპოზიციის აწყობის, მათი მასტრუქტურულებრივი ელემენტების საფუძვლიანი ცოდნა, თავისუფლად ამოიკითხება.

\*\*\*


XXს.-ის ესა თუ ის ევროპული მხატვრული ტენდენცია და მიმდინარეობა, როგორც ამას ქართული ხელოვნების ისტორიაც ცხადყოფს, „სუფთა“, „ნმინდა“ სახით თითქმის არც როდის იკიდებს ფეხს უცხო

რეალობაში. მიზეზი მრავალი ფაქტორი შეიძლება იყოს, თუმც კი ყველაზე გამორჩეული მათ შორის მაინც ერთია — ჩვენ არ ვართ ამ მიმდინარეობის შემქმნელები და ეს უკვე წინაპირობაა აქ, მისი ინტერპრეტირებული, ადგილობრივ ტრადიციას, გამოცდილებასა და ესთეტიკას მორგებული ვერსიის გავრცელებისათვის. მსგავსი მიმდინარეობა მხოლოდ როგორც ერთ-ერთი მრავალთა შორის, შემოდის და იმკვიდრებს



საქართველოს გაქნისტიანება, 1978, საკაფენიარემს ძველი რაზიდანდების შაორგა,  
კედლის მხატვრობა, 365X630.

თავს, რაც სრულიად არ გამორიცხავს მის თანადროულობას სხვა, განსხვავებული მახასიათებლების მხატვრულ ტენდენციებთან, ასევე შემოსულთან, ან სულაც ადგილობრივთან. ხელოვანი, რომელიც ამგვარად გაზიარებულ ნაჯერ სივრცეში ყალიბდება, პოლისტილურობას ძნელად თუ აცდება.



საქართველოს გაქნისტიანება, ნო. იოანე ზავაზელი, 1978, 365X630. დაფალი

მსგავსი ტენდენცია განსაკუთრებით გამოარჩევდა საბჭოთა რესპუბლიკებს „დაბობის“ ჟერიოდის შემდგომ. ამ ვითარებაში შემოსული მიმდინარეობებისადმი პურისტულ დამოკიდებულებას კი, განურჩევლად ეროვნული თუ მხატვრულ-გამომსახველობითი მიკუთვნებულობისა, მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი შეიძლება ჰქონოდა და ასე იყო აღვესანდე ბანძელაძის შემოქმედებასთან მიმართებითაც.

პორტრეტის ხაზი 1961 წ. შექმნილ ნამუშევრებშიც გრძელდება. აქ კოლორისტული გამა თანდათანობით ჩაქრობას იწყებს, საკუთარ თავში იკეტება და მკაფიო კონტრასტირების ხერხს საერთოდ გამორიცხავს. მხატვრის ფერწერული ნამუშევრებიდან შუქ-ჩრდილი სამუდამოდ უჩინარდება. ერთი ფერის, თუმც კი განსხვავებული ტონალობებით ნაძერწი ფაქტურული ქსოვილი — ასეთია ამ დროს შექმნილი ფერწერული ტილოების უმეტესობა. აშკარაა, რომ პრობლემა, რომელზეც ხელოვანი იწყებს ფიქრს, გამოსახულების ფორმისმიერი ფიგურატიულობის პლანში ინაცვლებს. ამ დროს ფერწერული მკაფიოებით



საქართველოს გარემოსფინანსა, №8. დავით გარეჯელი და ღ. ლუკიანე, 1978,  
საპატიოს არქიტექტორის ძეგლი რაზილენციის შენობა, 365X630. დეფალი

მისი გადაფარვა-ნიველირება მხოლოდ ხელისშემსლელი შეიძლება გახდეს და ავტორიც სურათის კოლორიტს მაქსიმალურად ახშობს, მონოქრომულს ხდის. თავს იჩენს ანალიტიკური კუპიზმის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მახასიათებელი. ფერი თანდათანობით უკან იხევს და ადგილს უთმობს ფორმისმიერ ძიებებს.

ამ დროიდან მოყოლებული, ალექსანდრე ბანძელაძის კომპოზიციებში ობიექტი უკვე მკაფიოდაა უტრირებული, წაგრძელებულ-დატალლული, ზოგან წამახვილებული, ზოგან კი თითქოს „გულუბრყვილოდ“ დაბლაგვებული, კონტური გააქტიურებულია და გაძლიერებულია სიბრტყობრიობის




საქართველოს გარემოსფინანსა, 1978,  
365X630. დეფალი

## სარიკენანგრძილი ზნების ფრაგმენტი



საქართველოს გაერისფილისა, ნე. გიორგი, ნე. მაჟე დავით აღმაშენებელი,  
1978, საპატიო რეჟისურის ევოლუციური მუზეუმის მუზეუმის განყოფილობა, 365X630. ღერალტი



საქართველოს გაერისფილისა, 1978,  
365X630. ღერალტი

ფაქტორიც. მით უფრო, რომ მას იქვე ფერით მოდელირებული სიღრმითობა-სივრცი-თობაც უპირისპირდება. შენარჩუნებულია კამერულობის განცდა, გამოსახული ადამიანები, მათი ძალიან კონკრეტული გარეგნული თუ ემოციური მახასიათებლების მიუხედავად, უკვე სრულად, საკუთრივ მხატვრისეული სამყაროს პერსონაჟები, მისი კუთვნილება არიან.

ალექსანდრე ბანძელაძის ადრეულ, 1950-იანი წლების პორტრეტებში, შემოქმედებითი ობიექტი და შემოქმედებითი ინტერესის



საქართველოს გარემოსთანახა, № ३००  
მღვიმელი, 1978, 365X630. დაფალი



საქართველოს გარემოსთანახა, № აპ თბილელი,  
1978, 365X630. დაფალი

საგანი, თვისობრივად იგივეობრივია. მს-  
გავსია მათი გარეგნული გამომსახველო-  
ბითობაც. მხატვარი ხატავდა, ასახავდა,  
ხედავდა, ცდილობდა არაფერი გამორჩენო-  
და, არაფერი „შეშლოდა“. ამ დროს შექმ-  
ნილი, უკლებლივ, ყველა პერსონაჟის უკან  
უზარმაზარი, მრავალფეროვანი და საო-  
ცრად საინტერესო სინამდვილე იდგა, ამას-  
თან ყოველ ჯერზე მკაფიოდ ინდივიდუალ-  
ური. ხელოვანიც ძალას არ იშურებდა რათა  
ეს გარემო მაქსიმალური სიზუსტით აესახა,  
ამოეკითხა, მის ყველა დეტალსა და ნიუანსს



საქართველოს გარემოსთანახა, 1978,  
365X630. დაფალი



ღვთისმამართი ყრმით, 1970-იანი წე.  
ხე, ტემპარა, 52X42. ოჯახის საკუთრება

ზიარებოდა და მაყურებლისთვისაც საცნაური გაეხადა.

მოგვიანებით შექმნილ პორტრეტებში, მხატვრის ინტერესის საგანი საგრძნობლად ტრანსფორმირდა. გარემოსა და ობიექტს შორის არსებული ვიზუალურ-ემოციური იგივეობრიობის ნიშანიც მერყევი გახდა. მოიმატა ტექნიკური ოსტატობის ხარისხმა

და იკლო სხეულებრივი ნამდვილობის იმიტირების მცდელობამ. მან ადგილი დაუთმო ჯერ ფორმით სუბიექტივიზმს, შემდგომ კი ფერწერის გამომსახველობითობის ერთერთ უმაღლეს კატეგორიას - ფერითმეტყველებას. და რა გასაკვირია, რომ მხატვრისეული სამყაროც საკუთრივ მისეული ბინადრებით დაიტვირთა. სინამდვილიდან




ფ. შუალიას ხატი. 1978.  
ს. ტ.ზ. 100X75. მეტების ტაძარი

ნასაზრდოები, თუმც სრულად ხელოვანის განცდის რაკურსში ნაძერნი არსებები — ასეთია 1960-იანი წლების ალექსანდრე ბანძელაძის ნამუშევრების მთავარი კონცეფტი.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1962 წ. შესრულებული „კოლმეურნის“ გამოსახულება. ნამუშევარი მკაფიო, მჭახე ყვითელ

ფონზე განთავსებულ, ასეთივე ყვითლითა და მოყავისფრო-ნარინჯისფერით მოდელირებულ მასიურ, ძლიერი, მკვრივი, თუმც კი განზოგადებულ და სტილიზებულ მამაკაცის ფიგურას წარმოადგენს. აქ არაერთი მხატვრული თემა მოიწევს განსახილველად, მათ შორის კონტურის ცვალებადი ფერადოვნება, ლურჯის ფუნქციური ნაირგვა-



გარდამოსსნა. ესპიზი. 1978.  
ქ.ფ. 42,2X30. ოქახის საკუთრება

რობა, ის ერთდროულად ხაზისმიერი მსაზღვრელიცაა და „ჩაჩრდილული“ არეების აღმნიშვნელიც. არსებითია ყვითლის ყვითელზე განთავსების პრობლემაც. სასურათე სიბრტყის ზედაპირი, ლამის ერთიანი ფერადოვანი ლაქაა. აქ ფერი ძირითადი ოპტიკური ფაქტორია და გამოსახულების მთავარი თემაც. დეტალების არარსებობა

უჩვეულო მთლიანობის განცდას ბადებს და ერთი ამოსუნთქვით შექმნილის შთაბეჭდილებას აძლიერებს. თუმცა შემორჩენილია ამ ნამუშევრისთვის მხატვრის მიერ შესრულებული არაერთი გრაფიკული ჩანახატი და ესკიზი. მათი განვითარების ხაზი ცხადყოფს, რომ ნამუშევრის პირველი ვერსია იყო ძალიან რეალისტური მანერით



გარდამოსსენა. 1979.  
ფ. ზ. 180X180. საბატრიანე



გარდამოსსენა. ესკიზი. 1978.  
ქ. ფ. 42,2X30 მმანის საპუტილა



დიზაინის ეპლოსიდს მოხატულობა. 1978-1988 წ.



სრულისანი ბანგერმანი



დიდუბის ღვთისმშობლის მიმიწების ტაძარი, თბილისი, 1872-1889წ.




ფოტო. დიდუბის ტაძარის მოხატულობის ესკიზების განხილვა ხელოვნების მუზეუმი. 1978წ.




ნე. გიორგი, სამხ.-დას. ნიშა



პორა, ჩრდ.-ალ. ნიშა



ნე. ნინო, სამხ.-ალ. ნიშა



ნე. ნიკოლოზი, ჩრდ.-დას. ნიშა




პილატის სამსჯავრო, გუმბათქვეშა სარტყელი



შაბაყრობა, გუმბათქვეშა სარტყელი



კვრის ტვირთვა, გუმბათქვეშა სარტყელი




გარდამოსის, გუმბათქვეშა სარტყელი


## სომეგასანი ზანგელოსი




თაძრის ინტერიერი, ფრაგმენტი



ე. სამება, აღმ. აფსილის შუპლი



ჯვარცხა, გუმბათის არა




აღდგომა, გუმბათქვესა არა




იუდას ამბორი, გუმბათის აღვა




ადამის ცდურება, ჩრდ. კადელი



სამოთხილან განდევნა, ჩრდ. კადელი



ნე. ღავით გარეჯელი, სამხ. კედელი



თაპრის ჭირა მოხატულობის ფრაგმენტი.  
სამხ. კედელი

სრული ქანგრძინების ბაზების დაცვის მისამართი



პოლო. ალექსანდრე გამპელაძე დიდუბის ეკლესიის  
მოხატულობაზე მუზამის დროს



იმერიელის მოხატულობა, ფრაგმენტი



68. ნიკოლოზის ცემოვნების ცივჭი



69. გიორგის ცემოვნების ცივჭი



საქართველოს კათოლიკოს-ათანაზიანები ილია II, მი. მაცე თამარი (თამარის ფრესკა შესრულებულია საქართველოს კათოლიკოს-ათანაზიანების ილია II მიერ)



საქართველოს კათოლიკოსი კირილ II და მი. მაცე დავით აღმაშევალი



ფოტო, საქართველოს კათოლიკოს-ათანაზიანები ილია II და ალექსანდრე გაძელავა დიდუშის ტაძრის მოხატულობაზე მუშაობისას



თავარ მეცნისა და ფავოთ სოსლანის  
ეკლესიის სფერა, სამ. ველები



პირი დმრთისა, აღმ. ავსიქის შუბლი,  
ფრაგმენტი




თაძრის ინტერიერი



ინტერიერის მოხატულობა, ფრაგმენტი



ინტერიერის მოხატულობა, ფრაგმენტი



ც. ლუკა მასარებელი, გუმბათქვეშა სარტყელი

## არეჭანაშვილი ბაზნერმაძე



დიდუანის კომპოზიცია, 1981,  
ტ. ტემპერა, 78X75. დიმიტრი შევარდნაძის  
სახ. ეროვნული გალერეა

დახატული მამაკაცის ფიგურა, რომელსაც იმდენად მკაფიო ინდივიდუალური მახასიათებლები აქვს, რომ აშკარაა, მხატვრის წინ ნატურა უნდა მჯდარიყო. უკვე ყოველი მომდევნო გამოსახულება, რაღაცით ცვლის ამ პირველწყაროს; ის თანდათანობით იწრიტება, კონკრეტული დეტალებისაგან თავისუფლდება, სულ უფრო პირობითი და განზოგადებული ხდება. საბოლოოდ ფორმა „მზიდი კარკასის“ სტრუქტურისმიერ საფუძველზე დაიყვანება. აქ თავისთავად გახსენდება მსგავსი ვიზუალური სახეცვლის არაერთი ქრესტომატიული მაგალითი მსოფლიო ხელოვნების ისტორიიდან. რად ღირს თუნდაც პიკასოს „ხარის“ (1945-1946) ტრანსფორმირებადი, გრაფიკული გამოსახულებების სერია. და ხვდები, როგორ „იტევს“ ბოლო, ერთი შეხედვით ყველაზე მარტივი და მინიმალისტური ვერსია ყველა მანამდელს საკუთარ თავში. მეტიც, რომ არა ისინი, თავად იგი ასეთი ვერასგზის იქნებოდა. ნამუშევარში ზედროულის განცდა შემოდის, კაცობრიობის მხატვრული აზროვნების ზოგადი პრინციპები იკვეთება და ჯერ არ დამდგარი მინიმალიზმის მოხილვაც ხერხდება. ამის გათვალისწინებით, ნაწარმოების სახელწოდება „კოლმეურნე“

ირონიული პარადოქსის დატვირთვას იძენს. თუმცა ის კონკრეტული, დროით-სიცოცითი ანტურაჟის შექმნას მაინც განაგრძობს.

ალექსანდრე ბანძელაძის შემთხვევაში, ეს უკვე გავლილი, გაკვალული გზის, (თუმცა კი შემოკლებული ვერსიით), თავიდან, საკუთარი თავისთვის აღმოჩენა იყო. არა გამზადებულის მიღება, არამედ საკუთარ არსებაში გატარება-გაანალიზება, რათა შედეგში ოდნავი სიყალბე, ხელოვნურობა ან თუნდაც უხერხულობა არ გაპარულიყო. იმხანად რამდენად იყო შესაძლებელი ევროპელი ან ამერიკელი ავტორების ნამუშევრების ხილვა ძნელი სათქმელია. ინფორმაცია კი ნამდვილად არსებობდა, ფრაგმენტული, გადარჩეული, ცენზურაგავლილი, თუმცა მაინც საგულისხმო.<sup>10</sup> ჯიბსონ ხუნდაძე თავის ერთ ინტერვიუში იხსენებს თბილისში, მუშთაიდის ბაღში, 1956 წ. ამერიკელების მიერ გამართულ გამოფენას. წარმოდგენილი იყო „პლასტმასის საღებავებისაგან შექმნილი ნამუშევრები“. აქვე იყო მათი ხელოვნების შესახებ არაერთი გამოცემა, მათ შორის



დიდუანის კომპოზიცია, 1981,  
ტ. ტემპერა, დიმიტრი შევარდნაძის სახ.  
ეროვნული გალერეა



აბსტრაქტული კომპოზიცია, 1981,  
ტ.ზ. 75X70,5 ღვარის საკუთრება

ალბომებიც. „იმ პერიოდში ასეთი ლიტერატურა საბჭოთა კავშირში არ შემოდიოდა. ამ წიგნებს წყაროსავით დავენაფე.“<sup>11</sup> ჩემი ინტერესი იმდენად დიდი და შესამჩნევი იყო, დღის ბოლოს ყველა წიგნი მაჩუქესო, ამ-ბობს ხელოვანი.

როგორც აღინიშნა, უკვე 1960-იანების


დასაწყისიდან მოყოლებული, სრულად მომზადდა და მომწიფდა ბანძელაძისეული მხატვრული სამყაროს მოდელი, მისეული ინდივიდუალური ხედვა, ხელწერა და კოლორიტი. ჭეშმარიტი ხელოვანის შინაგანი პოტენციალი მეტის შექმნა-წვდომის შესაძლებლობას იძლეოდა და შედეგმაც

10. 1960-იანი წლებიდან საბჭოთა სივრცეში ვრცელდებოდა ილუსტრირებული ჟურნალი „Америка“, ცოტა მოგვიანებით კი „Англия“. მართალია მათზე წვდომა ყველას არ ჰქონდა, ტირაჟირებული მასალა ცენზურა გამოვლილი იყო და ძირითადად წევატიური კონტექსტით, თუმცა სრული ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში ის გამორჩეულ მნიშვნელოვანებას იძენდა.

1942-დან პიკასო კომუნისტური პარტიის წევრი ხდება, რაც საშუალებას იძლეოდა, რომ ომის შემდგომ წლებში ინფორმაცია მისი ნამუშევრების შესახებ, მეტ-ნაკლებად გაეგოთ საბჭოთა სივრცეშიც. აյ მისი, როგორც „მშვიდობის მტრედის“ ავტორის პოპულარობაც, არსებით როლს თამაშობდა.

11. მხატვარი, რომელსაც ყველა დროის ხელისუფლება ებრძვის. ახალი 7 დღე. 2002. 03. 15

## ართობრივი ბანდეკავი




ავთონომოსი, 1985,  
ე. აკვარელი 59,5X42,2 მმ ას საკუთრება

არ დააყოვნა. გვერდიდან ცქერის ეტაპი ნელ-ნელა მიიღია, მას ფორმათქმნის რეალისტური მანერაც საბოლოოდ თან მიჰყვა და თავად ავტორი, თავისი ნაწამოებების სულ უფრო აქტიური, შეუფარავი და ქმედითი შემადგენელი გახდა. მხატვარი-

ოსტატი მხატვარ-შემოქმედმა ჩაანაცვლა. ალექსანდრე ბანძელაძის შემთხვევაში ეს ტრანსფორმაცია თანამედროვე ევროპული მხატვრული ტენდენციების ურთიერთმონაცვლეობის გზას მიჰყვებოდა, ოღონდ მისეულ მიკროსამყაროში აკუმულირებულს



ხი, 1985, ქ. ვ. 55,5X43,6 მმ ასების საკუთრება



ნ. ჩუბინაშვილი, კაპანათი, 1985, აღმოჩენილი ანაგეზდი



0.1985 მაისი, კაკანათი, 1985,  
აოლიგრაფიული ანაზაფი

და კონცენტრირებულს.

შეცდომა იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ  
აღწერილი მოვლენის განმაპირობებელი,  
რაიმენაირად ფორმის რელისტური ასახ-  
ვის მანერის დათმობა, ან შეცვლა და ამით  
გამოწვეული სხვაგვარობის ეფექტი შეი-  
ძლება ქცეულიყო. ხელოვანი საკუთარ,  
სრულიად თვითმყოფად მხატვრულ სინამდ-  
ვილეს ქმნიდა, ყველა შემადგენელით დატ-  
ვირთულს და შემკულს, თუმცა ეს მხოლოდ  
ამბის დასაწყისი იყო. კონკრეტულისა და  
განყენებულის უცნაური თანაფარდობა,  
ნიშანი რომელიც ბანძელაძისეული მხატ-



0.1985 მაისი, კაკანათი, 1985,  
აოლიგრაფიული ანაზაფი

## არაგვესნის ნანძერძელებელი



კომპოზიცია, 1985,  
ძ.ფ. 60X43, ოქანის საკუთრება



კომპოზიცია, 1985,  
ძ.ფ. 29,5X21, ოქანის საკუთრება



კომპოზიცია, 1985,  
ძ.ფ. 29,5X21, ოქანის საკუთრება

ვრობის მუდმივ თანმდევად დარჩება, მაშინაც კი, როცა მისი ინტერესების მთავარი განმსაზღვრელი აბსტრაქტული მხატვრობა გახდება დიდწილად.

\*\*\*

საოცარი ტემპით ხორციელდება მხატვართან ახლის შემეცნება-გაანალიზების პროცესი. ამასთან, მისი ნამუშევრების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოხილვის შემთხვევაში, ნათელი ხდება ის გარდამავალი ეტაპ-ნიუანსებიც, რაც ამა თუ იმ მიმდინარეობის მახასიათებლების გაჩენა-ნარმოქმნის, შემდგომ კი მოძლიერება-შესუსტების პროცესს ახლავს თან.

1960-იანი წლებით თარიღდება ქალაქის სხვადასხვა ვიწრო ქუჩების, პატარა შესახვევების თუ ძველებური სახლების ამ-სახველი გრაფიკული ფურცლების სერია,



შავი პომარზილი, 1985,  
ფ.ზ. 150,5X100, ოქანის საკუთრება



კომპოზიცია, 1985,  
ძ.შ. 60X42, მჯახის საკუთრება

რომელთაგან ბევრი, დიდი ფერწერული ტილოს წინაპირობად იქცა მაღლევე.


ამ ნამუშევრების ერთი თვალის შევლებაც კი კმარა იმის მისახვედრად, რომ მხატვრის შემოქმედებითი აზრი კუბისტური მხატვრული ენის, დამუშავება-გადამუშავების იმ საწყის ეტაპს დასტრიალებს, ჯერ კიდევ სეზანთან ძლიერად ჩენილი, XXს.-ის არაერთი მხატვრის ფუძისეულ საყრდენად რომ იქცა. ასოციაციური პარალელები მძლავრობს და უწყვეტად „გესხმის თავს“. ბანძელაძისეული ურბანული პეიზა-

ჟების დაძაბული, ვიბრირებადი და წახნაგოვანი ფერადოვანი სიბრტყეებით ნაშენი, სასურათე ზედაპირის ხილვისას, თავისთავად გახსენდება უ. ბრაკისა და პ. პიკასოს ადრეული კუბისტური ნამუშევრები; ა. დერნის, მ. ვლამინკის და სხვათა მხატვრული ძიებების სწორედ ის ეტაპი, როცა თითოეულის შემოქმედებაში სამყაროს აღქმის სეზანისეული მეთოდი შემოვიდა. ანალოგიური პროცესის ილუსტრირებაა ბანძელაძის 1965-1966წ.-ით დათარიღებული ფერწერული პეიზაჟების სერია. აქტიურდება

ფერით სტრუქტურირებული გარემო. აქ არ არსებობს განათების კონკრეტული წყარო, რის გამოც ყოველი გამოსახული ობიექტი საკუთარი ფერითი ნათების მატარებელია. განზოგადების მაღალი ხარისხის მიუხედავად, ეს მხატვრობა ჯერ ისევ საგნობრივია. ესკიზები ცხადყოფს, რომ მხატვარი ნატურიდან ქმნის ჩანახატებს. გამოსახულება რეალობასთან კავშირს უდაოდ ინარჩუნებს, თუმცა უკვე იმდენად თვითკმარია, რომ აღარანირ სწრაფვას ამ რეალობასთან იდენტიფიცირებისთვის აღარ ავლენს. მხატვარი არ ცდილობს ნამუშევრებში რაიმე სიუჟეტური ან შინაარსობრივი კონტექსტი ჩადოს, მისი მთავარი ამოცანა ვიზუალური აღქმის დრამატიზმის მიღწევაში მდგომარეობს, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დიდწილად, დინამიკის განცდის ხარჯზე ხორციელდება.



გია ეპგვერაძე, 1980,  
ტ.ზ. 120X100, ოქანის საკუთრება



აბსტრაქტულ-სიურეალისტური კომარზიცია, 1986,  
ტ.ზ. 60X81,5, ოქანის საკუთრება



აბსტრაქტულ-სიურეალისტური კომპოზიცია, 1986,  
ტ.ზ. 99,5X119,5, ოქანის საკუთრივა

გეომეტრიული დანახნაგებისკენ ისწრაფვის 1965 წ. შესრულებული პორტრეტებიც, სადაც პერიოდულად ექსპრესიონისტული ელემენტებიც იჩენს თავს (ინესა 1963; რუსიკ 1963; ქალბატონის პორტრეტი. მაღონა, 1963).

სწორედ ამ დროს ბანქელაძის შემოქმედებაში ჩნდება ფორმის დანაწევრება-დაყოფის ერთი შეხედვით სრულიად უჩვეულო, ალტერნატიული ვერსიაც — „არსენას ლექსის“ ილუსტრირების მეორე ვარიანტი (1965-1966), სადაც უკვე აღნერილი სტრუქტურული ბადე შენარჩუნებულია, თუმცა ამ სქემის თითოეულ შემადგენელ ნაწილს შორის ბმა ირღვევა. ობიექტის მაფორმირებელი ცალკეული არეები ოდნავ შორდება

და ემიჯნება ურთიერთს. გამონაკვთულ ფორმას, ქვისა და ლითონის ფაქტურული სინთეზის მცდელობის ხარჯზე მიღწეული მონოლითურობა, სილუეტის ინტერპრეტაციის მოდერნისტული ვერსია და შუა საუკუნეების ქართული რელიეფის, უფრო მეტად კი გვიანდელი საფლავის ქვების რელიეფური შემკულობა უდევს საფუძვლად. დანაწევრების ერთგვაროვანი სისტემა და გამოსახულებაში ფერის თითქმის სრული უარყოფა ის მახასიათებლებია, რაც მსგავსი პოლისტილურობის შეკვრა-გამთლიანებას უზრუნველყოფს. საგულისხმოა, რომ კომპოზიციებში ფონად გამოყენებული ქალაქის ხედები ძალიან წააგავს უკვე ნახსენებ გრაფიკულ ჩანახატებს. უფრო მეტ-



აბსტრაქტულ-სიურეალისტური კომპოზიცია, 1986,  
ფ. 99,6X100,6, ოქანის საკუთრება

იც, თუ იქ სახლების ოდნავ „გაფუყული“, კიდეებგამობერილი კონტური, სტილიზაციის თავისებურ ვერსიად აღიქმებოდა, აქ მან გამომსახველობითობის მთავარი მახასიათებლის დატვირთვა შეიძინა, ფაქტურულობის კატეგორიაში გადაინაცვლა და ყველა შემადგენელ ელემენტზე განივრცო.

ამ დანაწევრებას ცალსახად არაფერი აქვს საერთო არც კუბიზმთან და არც სეზანისეულ ძიებებთან, თუმცა, რა პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, ევროპული ხელოვნების განვითარების მარგინალური ხაზის, აღნიშნული ეტაპის, ერთ-ერთ განშტოებასთან გვაქვს საქმე, რომელიც ნიშანდებულია, ერთი მხრივ, საბჭოთა „მოზღუდულობით“ და, მეორე მხრივ, ეროვნული



აბსტრაქტულ-სიურეალისტური კომპოზიცია, 1986,  
ფ. 92X100, ოქანის საკუთრება



აპსატრაქტულ-სიურეალისტური კომპოზიცია, 1986,  
ფ.ზ. 75X86, გია ჯონთაძე-რიძის კარპო კოლექცია

მხატვრული სისტემის ნიშან-მახასიათებლებით. ამასთან ის ბოლომდე ინარჩუნებს მონუმენტულობას, მაშინაც კი, როცა თვისობრიობაში გადასული, გამოსახულებას დეკორატიულობის ზღვარზე ამყოფებს მუდმივად. შეუძლებელია მსგავსი ნამუშევარი შეუმჩნეველი დარჩენილიყო და მოიპოვა კიდეც „არსენას ლექსმა“ დიდი აღიარება, თუმცა მოვლენა მხოლოდ წიგნის მხატვრობის კონტექსტში შეაფასეს.

მხატვრის სააზროვნო არეალის სრულად წარმოჩენის მიზნით საჭიროა აღინიშნოს, რომ მისი შემოქმედებითი მუშაობის პროცესი რამდენიმე მიმართულებით ერთდროულად ვითარდებოდა. ასევე 1962 წ.-ით თარიღდება ბაკურიანში შექმნილი

დაზგური გრაფიკის ნიმუშები. ერთ მათგანზე მხატვრის ქალიშვილი, მეორეზე კი სოფლის ხედია ასახული. ტუშითა და აკვარელით შესრულებულ, ამ განწყობისმიერ, სპონტანურ ჩანახატებში, მკაფიოდ იკითხება მხატვრის მრავალნიშნი გამოცილება ილუსტრაციის სფეროში. მინიმალისტური გამომსახველობითი ხერხებით, დანახულასახული, უჩვეულო მყუდროებისა და უშუალობის ის განცდა, თოვლით დაფარულ პატარა სოფელში რომ დავანებულა.

ამის პარალელურად ხელოვანი განაგრძობს ფერისა და განზოგადებული ფორმის პრობლემაზე მუშაობას და ქმნის ქართული ლანდშაფტის მკაფიო ფერადოვნებით აკიაფებული „ქვიშხეთის“ (1966)



საცეკვაოდ მინვევა, 1986,  
ქ.ფ. 42X29,5, ოჯახის საკუთრება



კომპოზიცია, 1987,  
ქ.ფ. 43X31,5, ოჯახის საკუთრება

მონუმენტურ ვერსიას. სასურათე ზედა-პირის ჟღერადობის ხარისხი იმდენად მაღალია, რომ გამოსახულებას მაჟორულისა და დრამატულის ზღვარზე ამყოფებს. ამ სურათის შექმნამდე სულ სამიოდე წლით ადრე, 1963წ. გურამ (ზიტა) ქუთათელაძე ხატავს თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ტილოს „პაპანაქება“, უკვე შექმნილი აქვს „შემოდგომა“ (1960-1961) და „გაზაფხული“ (1960-1961). აქ ფერი, არა თუ სასურათე სიბრტყის, მთელი გარეშე, სურათს მიღმა სივრცის მთავარი მაორგანიზებელი ხდება. ამავე 1963 წ.-ით თარიღდება ჯიბსონ ხუნდაძის „შემერის სათიბები“. უკვე შექმნილია მისივე „დილა მთაში“ (1958). პროფესიული მხატვრობისა და ხალხური ნაივური ნაკადის სინთეზის მეთოდით მუშაობს, ამავე პერიოდში მხატვარი თენგიზ მირზაშვილი.




ფოტო, ალექსანდრე გარეალაკა და  
ვახტანგ ჭელიძე, 1980-იანი წე.




აპსტრაქტია, 1987,  
ზ. 140X129,5 ხელოვნების მუზეუმი

ქართული პეიზაჟი და მასზე მარცვლებად გაბნეული ადამიანების, მეცხვარეების, სახლებისა თუ ხეების მინიშნებითი, მცირე ფიგურები, კონტრასტული მასშტაბით შემოტანილი ქართული ლანდშაფტისეული სივრცის ყოვლისმომცველობა-დამტევობა და გარემოს საკრალიზებულობის თემა. ასეთია ის საერთო ადგილობრივი კონტექსტი, რომლის ნაწილადაც ალექსანდრე ბანძელა-

ძის „ქვიშეთი“ იკითხება — ფერი ქცეული მატერიად, დროისა და სივრცის შენივთულ-გამთლიანებული განცდა და სიღრმე ასახული, ოღონდ, არა გამოსახული. მხატვარი ხვდება, რომ მთავარ გადაწყვეტილებამდე კიდევ ერთი ეტაპი აქვს გასავლელი, გარდამტეხი ეტაპი, ცოტაც და სასურათე სიბრტყიდან ფიგურატიული გამოსახულება საბოლოოდ გაქრება, თუმცა ეს მხატვრის



კომპოზიცია, 1986,  
ქ. ვ. 29,6X38,5, მჰამის საკუთრება



როკანიოლი, საუკუნის ფევზა, 1986,  
ქ. ვ. 29,7X42, მჰამის საკუთრება

სრულებრივი ნახტომის



ამავოზიცია, 1987,  
ქ. ფრენე ფანარი, 36,6X51, ოქანის საკუთრება



აიდასოს ცეკვა, 1987,  
ქ. ფ. 30X25, ოქანის საკუთრება



აპსტრაქცია, 1987,  
ტ. ზ. 150X100, ოქანის საკუთრება



აბსტრაქტული კომპოზიცია, 1987,  
მუკამ. ზ. 84X57, მჯახის საკუთრება

სრულებანგრილი ზანგბერძოსძე



აბსტრაქტული კომპოზიცია, 1988,  
მუხა. ზ. 73X100, გია ჯოსთაბერძის კერძო კოლექცია



აბსტრაქტული კომპოზიცია, 1988,  
ტ. ზ. 99,5X141, მდებარეობს საკუთრება



შემოქმედებითი აზროვნების მხოლოდ იმ ნაკადს ეხება, ევროპული მხატვრული ტენდენციების კვალდაკვალ, რომ ვითარდება. „ეტყობა XXს.-ის მსოფლიო მხატვრობის ევოლუციის ლოგიკის დაგვარად, ჩემში მოხდა უმთავრეს მიმდინარეობათა განვითარება, უბრალოდ, პატარა მასშტაბით.“<sup>12</sup> ეს როდი ნიშნავს, რომ ფიგურატიული გამოსახულებები მისი ნამუშევრებიდან საერთოდ გაქრა. რა თქმა უნდა, არა. პარალელურად მხატვარი განაგრძობდა ოფიციალურ დაკვეთებზე თუ სხვა შემოთავაზებებზე მუშაობას, ისევ აფორმებს ნიგნებს და ხატავს ნაცნობ-მეგობრების პორტრეტებს, 1970-იანი წლების მიწურულიდან ის მუშაობას იწყებს ჯერ საერო ხასიათის მონუმენტურ, შემდგომ კი საეკლესიო მხატვრობაზე, სადაც ფორმათქმნის,

სრულიად განსხვავებულ, სპეციფიკურ ხერხებს მიმართავს. ამჯერად არ შევეხებით დიდუბის, ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის, ბანძელაძისეულ მოხატულობას, თუმცა ალსანიშნავია, რომ უკვე თავად ფაქტი, საეკლესიო მხატვრობაში შუასაუკუნეების ტრადიციების დაბრუნების მცდელობისა, გამორჩეულად მნიშვნელოვანი და საგულისხმო იყო. ამის პარალელურად კი მხატვრისთვის უწყვეტლივ არსებობდა ახალი, მუდმივი, თანმდევი ფიქრი, ფიქრი აბსტრაქციის შესახებ.

\* \* \*

ეპოქა და გარემო თავისას ითხოვდა. ომში გამარჯვების შემდეგ ქვეყანა ინტენსიური ტემპით განაგრძობდა „შენებას“. აიგო არაერთი საზოგადოებრივი თუ



აპსტრაქტული კომპოზიცია, 1988,  
ტ.ზ. 89X101, მუშაობის საუთრება

12. ს.ლეჟავა. ინტერვიუ მხატვარ ალექსანდრე ბანძელაძესთან. სპექტრი. 1990 №2 გვ.25



აპსტრაქტული კომპოზიცია. 1988.  
ფ. ზ. 89X101. ოქანის საკუთრება



ორი სცენო, 1988,  
ფ. ზ. 89X100, გია ჯოსთაბერიძის პერსო  
კოლექცია

საცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობა. ერთპაშად გაჩნდა უამრავი ცარიელი, უმეტყველო კედლის სიბრტყე. მათი გამოყენება შესაძლებელი იყო როგორც დეკორატიულ-მხატვრული, ასევე პროპაგანდისტული თვალსაზრისით. გაჩნდა რეალური წინაპირობა, მხატვარ-მონუმენტალისტთა შემოქმედებითი ნაყოფიერებისა და მრავალფეროვნების ზრდისთვის (აქ, აღბათ, არც მექსიკელი მონუმენტალისტების, იმხანად პოპულარული ნამუშევრების დავიწყება ღირს). ამ მიზნით შემუშავდა არაერთი ახალი ტექნოლოგია, ფართოდ გამოიყენებოდა



პოვარზილია II, 1980-იანი წე.

ტ.ზ. 151X131, გია ჯოვანიშვილის კერძო კოლექცია

ფერი, ფერწერისა და რელიეფის სინთეზი, ვიტრაჟი და მოზაიკა. ეპოქისათვის აქტუალური გახდა მონუმენტური მხატვრობის სამი ნაირსახეობა: ფერწერული, მონუმენ-

ტურ-დეკორატიული და ერთიანად დეკორატიული.<sup>13</sup>

ალექსანდრე ბანძელაძე, ამ დროს, რამდენიმე მასშტაბური პროექტის მონაწილედ

13. ამ პერიოდში ნიკოლოზ იგნატოვი მუშაობს ფერწერულ პანოებზე: „სიმღერა საქართველოზე“, 1960-იანი წლების დასასრული, ბიჭვინთა დასასვენებელი სახლი; „ცოდნის წყარო“ 1970-1971, ქართული ენციკლოპედიის შენობის ვესტიბული; „სიმღერა ფიროსმანზე“ 1971-1972, მთამინდა; „მზიური“ 1976-1977, გაგრა, სანატორიუმის ვესტიბული; „სიმღი“ 1977-1978, ცხინვალი, სასტუმროს ინტერიერი. მნიშვნელოვანია კონსტანტინე მახარაძის პანო „მინა ქართული“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1976; გივი თოიძის „დღესასწაული ხევსურეთში“, 1978, ბიჭვინთა, ლიტერატურული სახლის ფილი ზურაბ წერეთელი — პროფესიონალის სახლის ფასადის შემკულობა, თბილისი, 1970-1971; თბილისის ავტოსადგურის მოზაიკური პანო 1972; ჯიბინი ხუნდაძე — თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ფასადის ვიტრაჟი, 1976; რადიშ თორდია — შეტროსადგურ „პოლიტექნიკურის“ შიდა შემკულობა, 1976. (მ.გაჩეჩილაძე, ქართული მონუმენტური მხატვრობა, ხელნაწერის უფლებით)



პოვორიზი მდ. III, 1989.  
ზ. 151X131, გია ჯოსთაბარიძის კარძო კოლექცია

გვევლინება. ის ქმნის მხატვრულ პანორამას სხვადასხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებისათვის — უნივერსამის კედლის ფრიზისებური მოხატულობა „ქართული სოფელი“ (თბილისი, დილომი, 1976); დასასვენებელი სახლის სასადილოს

კედლის მოხატულობა, სადაც „ქართული სოფელის“ კომპოზიციურად კიდევ უფრო გართულებული ვერსია შესრულდა (აფხაზეთი, აგუძერა, 1976); მოსკოვის „ლიტერატურული გაზეთის“ დასასვენებელი სანატორიუმის ფოიეს მოხატულობა „არ-



ავგვისტო 1988,  
ტ.ზ. 140,5X119, ოქანის საკუთრება



აგვისტო 1988,  
ტ.ზ. 60X75,5, ოქანის საკუთრება

სრულისანი ბათუმისძე



აპსტრაქცია, 1980-იანი წელი.  
შ. შ. 75X90, გია ჯოსთაბერიძის კარპონ კოლექციიდან



აპსტრაქცია, 1980-იანი წელი.  
შ. შ. 100,5X92, გია ჯოსთაბერიძის კარპონ კოლექციიდან



ზოთო. ალექსანდრე გადაღაძე სახელოსნოში,  
1980-იანი წე.-ის მინურული

გონავტები” (აფხაზეთი, გულრიფში, 1977); ამავე სანატორიუმში კედლის შესამკობი ფერწერული ტილო „პუშკინი თბილისში“ (1977-1978).

ხელოვანის მიერ შექმნილი ეს მონუმენტური მხატვრობის ნიმუშები უმთავრესად ფერწერული პანოს კატეგორიას განეკუთვნება, თუმცა გულრიფშის სანატორიუმისთვის მან, საკუთრივ, დეკორატიული ხასიათის პანოზეც იმუშავა.


რეჟიმის მოთხოვნების შესაბამისად, მოვლენათა გრანდიოზულობა, ნებისმიერ წვრილმანშიც კი, განცდადი უნდა ყოფილიყო. ამასთან, მისი ამპლიტუდა საყოველთაო კეთილდღეობიდან, სამყაროს კატასტროფამდე მერყეობდა და ორივე ამ მოვლენის, მკაფიოდ ირაციონალური ხასიათის მიუხედავად, საბჭოთა ადამიანებს, მსგავსი მასშტაბის პროცესების მართვაში საკუთარი ქმედითი, გადამწყვეტი როლის მნიშვნელოვანებაში არწმუნებდა. ამ მიზნის

მისალწევად კი ხელოვნება, მისი ბუნებითი ზემოქმედების უნარით და ტირაჟირებულობის შესაძლებლობით, ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მოიაზრებოდა. ბუნებრივია, მსგავს პროცესებში გამორჩეული ადგილი ეთმობოდა მონუმენტურ მხატვრობას. თუმცა მხატვრული ნაწარმოების ორი მთავარი შემადგენელიდან - ფორმა და შინაარსი — ორივე რეგლამენტირებული და ზღვარდადებული იყო კვლავინდებურად.

მონუმენტური მხატვრობის თემა ალექსანდრე ბანძელაძის შემოქმედებაში პირველად 1971 წ. ჩნდება. როცა მხატვარს საქართველოს გასაბჭოების 50 წლის იუბილის აღსანიშნავად დაგევმილი გამოფენისათვის ფერწერული ტილოს შექმნა დაევალა. ალექსანდრე ბანძელაძემ ექსპოზიციაზე წარადგინა კვადრიპტიქი, სახელწოდებით „ლეგენდის გაგრეძელება“. კვადრიპტიქის შემადგენელი თითოეული ნაწილის საშუალო სიმაღლე 4 მეტრი, სიგანე კი დაახ-



კავშირი, 1988, გურამ ციბახევაზილის ფოტო



კავშირი, ესპიზი, 1988,  
ქ. ფ. 21X29,7, ოჯახის საკუთრება



აპსტრაქტული კომაოზილი, 1988,  
ტ. ფ. 56,2X105,5. ოჯახის საკუთრება

ლოებით 3 მეტრი იყო. უჩვეულოდ დატვირთული, მსხვილი შავი კონტურით, ვიტრაჟის კარკასისებურად დაქსელილი სასურათე ზედაპირი (რაც ჟ. რუოს ფერწერულ ენას გაგონებს), ამ ზღუდეებს შორის ნაძერწითორმის დეტალები და მათი ერთობლიობით „ანყობილი“ კომპოზიცია — ასეთი იყო სპეციფიკური დეკორატიულობის ეფექტით

გამორჩეული ეს ნამუშევრები.

ერთი შეხედვით, მაჟორული ულერადობის ზედაპირების მიღმა სრული სიცარიელე სუფევს. თვალს იტაცებს უამრავი ცალკეული დეტალი, სიუჟეტური ხვეული, სხვადასხვა პერსონაჟი და მუდმივი, განუწყვეტილი თხრობა, თხრობა, რომლითაც ეს სიცარიელე ინიბება, იფარება, ივსება-გამოყენებ-



აპატრაკული კომპოზიცია, 1980-ანი წე. გიორგი მგალობლივის ფოტო-სლაიდი

ულია თვალშისაცემად უჩვეულო კოლორიტი. მხატვრის პალიტრას ამჯერად სრულად მიწისფერი ტონალობები განსაზღვრავს. შავისა და ყავისფერის სიუხვე, რაც ისევ მწვანეშერეული ყავისფერით ღიავდება, კომპოზიციებს განსაკუთრებულ სიმძიმეს, მატერიალურობასა და სიმძაფრეს სძენს. წუთითაც არ გტოვებს დრამატულობის განცდა. კვადრიპტიქში, ახლადშექმნილი, საბჭოთა მითის ილუსტრირების პარალურად, საკუთრივ ქართული მითოლოგის ხაზიც შემოდის, ამირანის პერსონაჟის სახით. შორეული წარსულიდან მოსული, ის ამჯერად იმ მებრძოლ ქართველს განასახიერებს, ბედნიერი აწმყოს შესაქმნელად, რომ არ იშურებს ძალ-ღონეს. უზარმაზარი



აპატრაკი კავშირი, 1988,  
ფ. ზ. 76X84, დიმიტრი გევარდეაძის  
სახ. ეროვნული გალერეა

სრუტესანი ბანგერმანი



აბსტრაქტული კომპოზიცია, 1988,  
ქ. აკვარელი, 73,4X102, ოქანის საკუთრება



აბსტრაქტული კომპოზიცია, 1988,  
ქ. აკვარელი, აასტალ, 73X102, ოქანის საკუთრება



შავის შენელი, შავი და ლურჯი, 1980-იანი წე. ფ. 80x90, გიორგი მგალობლივის ფოთო-სლაიდი

ტილოებიდან მაყურებელზე წამომართული, მისკენ მომავალი, „ბელტების და გვარად“ და კუშტული ფორმათემნილი მატერია, მიწით ნაძერწი, მისით შემკვრივებული, ამოძრავებული, ატორტმანებული, ოღონდ სამუდამოდ მასშივე დავანებული, სული-ერებისგან სრულად დაწრეტილი, წყვდიადის საუფლოს სახავს. დღეს ძნელი სათქმელია, მსგავსი მხატვრული გადაწყვეტა რამდენად იყო წინასწარ გააზრებულ-მოფიქრებულის, თუ მხოლოდ ნაგრძნობ-განცდილის ილუსტრირება, თუმცა ფაქტია, ასეთი ფერადოვნება მხატვრის არც ერთ სხვა პანოს არ ახასიათებს; დაზგურ ფერწერაში კი ერთ, ასევე საბჭოთა „მესაზღვრის“ ამსახველ ნამუშევარში გვხვდება, რომელიც იგივე პერიოდით თარიღდება.

საბჭოთა მონუმენტური მხატვრობის არაერთ ნიმუშს კონკრეტული თხრობის პარალელურად ხშირად სპეციფიკური ეგზოტიზმიც დაუყვება - უტოპიური ოცნებები კომუნისტურ იდილიაზე, შეუძლებელის

დაძლევის უტყუარი, რეალური ალბათობა, გმირი მშრომელები და ა.შ. აქ მტკიცებაც და უარყოფაც ძირითადად ისეთი სულის-შემძველი ძალისაა, რომ პათოსი არგუ-მენტაციას მარტივად ჯაბნის. პარადოქსია, თუმცა ტოტალიტარული ხელოვნების მთა-ვარ მახასიათებლებს შორის რომანტიკული ხაზიც მკაფიოდ იყვეთება. სხვადასხვა ეტაპზე, ეს არაერთი მხატვრისთვის გახდა რეალური გამოსავალი და ერთადერთი საყრდენიც კი.

სწორედ ამ კვადრიპტიქით დაწყებული ხაზის ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება ალვიქვათ, უკვე რამდენიმე წლის შემდგომ, ალექსანდრე ბანძელაძის მიერ შესრულებული, ზევით ნასხენები მონუმენტური მხატ-ვრობის ნიმუშები დასასვენებელი სახლების და უნივერსამის კედლებზე. მკაფიოა მხატ-ვრის მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა, რაც ესკიზებში კიდევ უფრო ნათლად ჩანს. ხელოვანი მუდმივად ექებს გამოსავალს, ხელჩასაჭიდს და ამისთვის ხან ქართულ



კომპოზიცია თათრი და ლურჯი, 1980-იანი წე. ფ. 90x100, გიორგი მგალობლივის ფოთო-სლაიდი

*სრული განვითარების ბაზების დაწყების 6*



თავეტელი ლაპა, 1988,  
ტ.ზ. 90X100, გიორგი მგალოძეს მუზეუმის ფოტო-ცლაიფი



დიბა-კომპოზიცია, 1988,  
ტ.ზ. 90X100, გიორგი მგალოძეს მუზეუმის ფოტო-ცლაიფი

მითებს - „არგონავტები“, „ამირანი“, ხან კი ყოველდღიურ ყოფას - „ქართული სოფელი“ - მიმართავს.

ამ პანოების, კოლორისტულ მახასიათებლებს თუ მხედველობაში არ მივიღებთ და მოვლენას ალექსანდრე ბანძელაძისული მხატვრული ფორმის ინტერპრეტაციის ერთიან ნაკადში მოვაქცევთ, ადვილი შესამჩნევი გახდება, რომ მკაფიო კონტექსტუალური და განწყობისული განსხვავებულობის მიუხედავად, ეს ის ხაზია, მხატვრის შემოქმედებაში „არსენას ლექსის“ 1965-1966 წლების ილუსტრაციებით რომ დაიწყო.


უფრო ზუსტად კი ფორმის თანდათანობრივი დაშლა-დანაწევრების ბანძელაძისული მიგნების კიდევ ერთი ნაირსახეობაა.

\*\*\*


„მოსკოვში დიდი ამბები ტრიალებდა — ხრუშჩოვის შეჯახება მხატვრებთან. ე.ნ. „ბულდოზერების გამოფენა“ და სხვა. ეს ჩემთვის კარგი გაკვეთილი იყო. მე ასე ვაანალიზებდი. რა მსურს მე? მე ხატვა მინდა. არავინ უნდა შემიშალოს ხელი. ისეთი ტიპის პოპულარიზაცია, რაც მათ იზიდავდა, არ მხიბლავდა. ვცდილობდი არავინ დაინტერე-



შავი და ლურჯი, 1980-იანი წელი  
ზ.ზ. 80x90, გირგი მგალობლივის ფონტო-სლაიდი



ახსეთარეთული კომაოზი 1989.  
გუარა, ტამავა, თათრა, 74X103, მუზეუმის საკუთრება





შსათაურო VII, 1988, ქ. აკვარელი,  
74X100, გიორგი მგალიშვილის ფოტო-სლაიდი

სეპულიყო. სახელოსნოში შემოსულ, შემთხვევით ხალხს ვეუბნებოდი — ისე ვერთობი, ექსპერიმენტია, ფერში „ვვარჯიშობ“ მეთქიდა სხვა.<sup>14</sup>

აბსტრაქციონიზმი, ისევე როგორც სხვა არაერთი მიმდინარეობა, ქართული მხატვრული სააზროვნო არეალისთვის უცხო არ იყო ქართველი მოდერნისტების პირველი თაობის როლი, განსაკუთრებით კი დავით კაკაბაძის, ამ თვალსაზრისით გამორჩეულია. მისი აბსტრაქციები 1920-იან წლებში შესრულებული, ფეხდაფეხ მიჰყვება საკუთრივ მიმდინარეობის შექმნის ისტორიას. მოგვიანებით, ყველა სხვა თანამედროვე ტენდენციის დარად აბსტრაქციონიზმიც, ქართულ სახელოვნებო სივრცეში, თითქოს უკვალოდ გაქრა. წლების შემდომ კი, პირველად სწორედ ქართველ მხატვართა, ე.წ. 50-იანელთა თაობაში იჩინა თავი

(ჟ. ხუნდაძე, ს. ჩახოიანი და ა. შ.). ამ თვალსაზრისით აღექსანდრე ბანძელაძის როლი სრულიად გამორჩეულია.

აბსტრაქცია - ხელოვნების უნივერსალური ენა, როგორც მას ევროპელი ავტორები მოიხსენიებდნენ (ვ. კანდინსკი, პ. მონდრიანი, კ. მალევიჩი, დელონე და ა. შ.), მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ევროპის დარად, აშშ-შიც იკიდებს ფეხს და მალე წარმმართველ პოზიციასაც იკავებს (ჟ. პოლოკი, ვ. დე კუნინგი, ფ. კლაინი, მ. როტკო და ა. შ.). უკვე 1950-იანი წლებიდან ევროპაში ამ მიმდინარეობის ტალღა ახალი ძალით აქტიურდება და რელიზმის წინააღმდეგ საკუთარ მორალურ არგუმენტებსაც კი აყალიბებს (გერმანიაში, ქალაქ კასელში, რომელიც დაახლოებით 50 კმ.-ით იყო დაშორებული ქვეყნის შიდა საზღვრიდან ჩატარებული გამოფენა „დოკუმენტა“ (1955)

14. ს. ლეჟავა, დასახ. ინტერვიუ, გვ. 16



კომპოზიცია VII, აკრ, 1989,  
ფ.№. 151X130,5. გია ჯოსთაბერიძის კარპო კოლექცია

და „დოკუმენტა II“ (1959), სადაც სწორედ აბსტრაქტული ნამუშევრები იყო წარმოდგენილი, იქცა დამოუკიდებელი დასავლურგერმანული ღირებულებების საჯარო აღიარებად). რეჟიმის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, პროტესტის გამოხატვის იდენტური დატვირთვა ასაზრდოე-

ბდა საბჭოთა რეალიზმს დაპირისპირებულ აპსტარქტულ მხატვრობასაც. მაშინაც კი, როცა 1960-ის წლების შემდგომ, მსგავსი ვიზუალური ნიშან-სიმბოლოებისადმი დამოკიდებულება უკვე დიდწილად შეცვლილი იყო.

„დოკუმენტას“ გამოფენის კატალო-



აბსტრაქტი, ნეტარი ოცნება, 1989,  
ტ.ზ. 99X90, ხელოვნების მუზეუმი

გის წინასიტყვაობაში ვერნერ ჰაუპტმანი წერდა: „უკვე სავსებით მკაფიოდ ჩანს ის ძირითადი მიმართულება, რაც ამ ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე გამოიკვეთა. ბოლოდროინდელი მხატვრული ძიებები, მოყოლებული ექსპრესიული რეალიზმიდან, სიურეალიზმისა და კონკრეტიზმის გავლით, საბოლოოდ, დაახლოებით 1950-იანი წლები-სათვის, მაინც აბსტრაქტულ ხელოვნებამდე მივიდა.“<sup>15</sup>

**15. D.Elger. Abstract Art. 2009. გვ.20**

ასე მივიდა ალექსანდრე ბანძელაძეც ევროპული მხატვრული მიმდინარეობების კვალდაკვალ აბსტრაქციამდე. მისი გადას-ვლა საგნობრიობიდან არაფიგურატიულ მხატვრობაზე, წინმსწრები ძიებებით იყო განპირობებული და ძნელად თუ აიხსნება როგორც რაიმეზე უარის თქმა, ან რაიმე ახ-ლის შეძენა. ეს სრულიად თანმიმდევრული ქმედების, ლოგიკური გაგრძელება იყო. ევ-როპული მხატვრული ტენდენციების ეტა-



პობრივი გააზრება-გადააზრების ურთულე-  
სი პროცესი, ამჯერად აბსტრაქციონიზმის  
სხვადასხვა ვერსია-ვარიანტში ცდილობ-  
და გზის გაკვლევას. ერთი კია: აბსტრაქ-  
ციონიზმი, ყველა სხვა უკვე განვლილი  
მიმდინარეობისაგან განსხვავებით მხატ-  
ვრისათვის ყველაზე ორგანული, მორგებ-  
ული, მისეული სათქმელის მაქსიმალურად  
დამტევი და ამსახველი აღმოჩნდა. მხატ-  
ვრის შემოქმედების მეორე ნახევრის თითქ-  
მის სრულ დომინანტად იქცა და საზოგა-  
დოების ცნობიერებაში მის სახელთანაც  
გაიგივდა.

ალექსანდრე ბანძელაძისეულ აბსტრაქ-  
ციონიზმში მკაფიოდ ინაკვთება რამდენიმე  
ეტაპი. თითოეული მათგანი იმ ცალკეული,  
კარგად ცნობილი, ტენდენციების იდენტუ-  
რია, საკუთრივ აბსტრაქციონიზმის ისტო-  
რიას რომ გამოარჩევს თავისთავად.

სტილისტური მახასიათებლების მიხედ-  
ვით 1950-იანი წლების აბსტრაქტული ხე-  
ლოვნება შემდეგნაირად დიფერენცირდება:  
არასაგნობრივი ხელოვნება, აბსტრაქტული  
ექსპრესიონიზმი, ლირიკული აბსტრაქცია,  
„სხვა ხელოვნება“, ემოციონალური უსა-  
გნო ხელოვნება, ტაშიზმი, „აქტიური მხტ-  
ვრობა“ და ა.შ. ეს განსხვავებები, როგორც  
ცნობილია, ძირითადად ეროვნული მხატ-  
ვრული სკოლის მანიშნებელი და აღმნიშ-  
ვნელია. ალექსანდრე ბანძელაძის მიდგომა  
კი ამ ტენდენციებისადმი მისთვის ჩვეული  
კრებითობით გამოირჩევა კვლავაც. თუ მხ-  
ატვრის ადრეულ ნამუშევრებში გეომეტრი-  
ული ორიენტირები ჭარბობს, მოგვიანებით,  
ჩნდება აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის  
მკაფიო ნიშნები და ასევე „სხვა ხელოვნების“  
კოლორისტული მახასიათებლებიც. მას-  
თან მუდმივად შენარჩუნებულია ფრან-  
გული სკოლის ესთეტიზმი და, ამავდროუ-  
ლად, თავს იჩენს ამერიკული მხატვრული  
სკოლისეული მძაფრი დინამიკა. აქ ყველაზე  
ნაკლებ შესამჩნევი საკუთრივ ქართული  
აბსტრაქციონიზმის ისტორიის და დავით  
კაკაბაძისეული გავლენებია. შესაძლოა ამის  
მიზეზი, მხოლოდ იდეოლოგიური ხასიათისა



აბსტრაქტული კომპოზიცია, 1989,  
ქ. აკვარელი, 73,4X102, მჟახის საკუთრივა



აბსტრაქტული კომპოზიცია, 1980-იანი წე.  
ქ. აკვარელი, 73,4X102, მჟახის საკუთრივა



აბსტრაქტული კომპოზიცია, 1989,  
ქ. აკვარელი, 73,4X102, მჟახის საკუთრივა



აკო, გადადა, ანა, 1989,  
ქ. აპარელი, 73.2X102, ოჯახის საკუთრება

იყოს; ან სულაც, ამოსავალი წერტილის, კვ-ლავაც ევროპულ იმპრესიონისტულ მხატვ-რობაში ძიება იყოს, როცა გაგრძელება უკვე განსაზღვრული და ცნობილია. როცა მხატ-ვრული აზრის განვითარების ვექტორი მუდ-მივად ევროპული ტენდენციების ცვლის თანმიმდევრობას ემთხვევა და მიუყვება. ამიტომაც მისთვის, ისევე როგორც თავის დროზე დავით კაკაბაძისთვის, აბსტრაქ-ციონიზმის თანადროული ნაირგვარობა მეტადაა საინტერესო და ნიშნეული, ვიდრე ამ მიმდინარეობის ადრეული ისტორია, თან მით უფრო, თუ ის ბუნდოვანიცაა. ამასთან, საკუთრივ ეროვნული სკოლის სახე, ამ მიმ-დინარეობას ქართულ რეალობაში ჯერ ისევ არ ჰქონდა. პარადოქსია, თუმცა ბანძელა-დის შემოქმედება ცხადყოფს, რომ ქართული მხატვრობის 50-იანელთა თაობას, პირველი

ქართველი მოდერნისტების შემოქმედებით მემკვიდრეობასთან კონტექსტუალური წყვეტა უფრო დიდი ჰქონდათ, ვიდრე თანამედროვე ევროპულ ხელოვნებასთან.

წლების ძიების და მუდმივი ექსპერი-მენტების შემდეგ, ალექსანდრე ბანძ-ელაძისათვის აბსტრაქცია, პლასტიკური ხელშესახებითობისაგან საბოლოოდ გამონთავისუფლებული, შემოქმედებითი ენ-ერგიის ყველაზე შესატყვის, მატერიალურ გამოხატულებად ჩამოყალიბდა. ამის პარა-ლელურად - საგნობრივი სამყარო, მისი იდეების პირველწყაროდ და ორიენტირად დარჩა დიდხანს. ის არ ისწრაფვოდა ახალი ენის ათვისებისაკენ მხოლოდ ამ ათვისების გამო. მას, პირველ რიგში, საკუთარი თავის საბოლოოდ პოვნა სურდა და ამისთვის ურ-თულესი გზა გაიარა. სწრაფვა აბსოლუტუ-



აბსტრაქტული კომპოზიცია, 1989, 19 ივნისი,  
მუჟამ, აკვარელი, 74X103, მჯანის საკუთრება




აბსტრაქტული კომპოზიცია, 1989,  
მუჟამ, აკვარელი, 74X103, მჯანის საკუთრება




ა6 პარიზში გააა! 1989.  
ქ. ავარეული. 102X73, გია ჯონთაგარიძის კარპო კოლექცია

რი, ყოვლისმომცველი ინდივიდუალურობის კენ სრული აბსტრაგირების გზით. და აი შედეგიც... სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე განზოგადებული სამეტყველო ენა – აბსტრაქცია - ყველაზე კონკრეტულის ზედმიწევნითი გამომხატველი აღმოჩნდა ხელოვანისათვის.

აბსტრაქტულ მხატვრობაზე მუშაობის დაწყებისთანავე ალექსანდრე ბანძელაძე თავისუფლდება ყველა ცალკეული მიმდინარეობის გავლენისაგან. ის უკვე სრულად მორჩილებს ფერს, რაც გარკვეულწილად მნიშვნელოვანი საფრთხეების მატარებელიცაა. აქ ხომ მარტივადაა შესაძლებე-



აზსტრაქტული კომპოზიცია, 1989,  
ქ. აკადემიუმი, 51,5X36,8. მუზეუმის საკუთრება



ქართული ხალხური ზღაპრების ილუსტრაციები, 1991,  
ქ. გუაში. 36,6X25,6. მუზეუმის საკუთრება



ერთული ხალხური ზღაპრის ილუსტრაცია, 1990,  
ე.გუაში. 36,7X25,5. ოქანის საკუთრება

## არეულსანიშვილი ზნებერთაძე



კომპოზიცია, 1980-იანი წე.  
ქ. გუაში. 29,6X42, ოქანის საკუთრება



კომპოზიცია, 1989. 23 სექტემბერი,  
ქ. გუაშ. 36,5X51,2, ოქანის საკუთრება



კომპოზიცია, 1989. 23 სექტემბერი,  
ქ. გუაშ. 36,5X51,2, ოქანის საკუთრება

ლი ფერის ნიაღში დანთქმა-გაქრობა, მით უფრო მაშინ როცა თავად ფერწერა იქცა ასახვის მთავარ ობიექტად. სწორედ აქ იჩინა თავი მხატვრის მანამდელმა გამოცდილებამ, ევროპული მხატვრული ტენდენციების კვალდაკვალ გავლილმა შემოქმედებითმა ძიებებმა. ალექსანდრე ბანძელაძე ბუნებრივად, თუმც კი სავსებით გაცნობიერებულად, უკვე არსებული სააზროვნო მოდელის კვალდაკვალ მივიდა აბსტრაქტული აზროვნების მიჯნასთან და ლოგიკურია, რომ მასში ორიენტირებისა და პროცესების სრული მართვის უნარიც შეინარჩუნა.

ამჟარაა, სანყის ეტაპზე (1960-ინი წლები), დიდი პასტოზური ფერადოვანი ლაქებით მუშაობა სასურათე სიბრტყეზე არაერთ სირთულეს უქმნიდა მხატვარს. ძნელია ფერის დაოკება მოთოკვა, საკუთარი სურვილისამებრ მართვა, რათა არ „გაგექცეს“, აქცენტი სრულად მან არ წაიღოს, ყოველივე არ შთანთქოს, ან პირიქით უტყვი-უგრძნობ ლაქად არ დარჩეს ბოლომდე.

შესაძლოა ამიტომაც, ადრეულ ეტაპზე ჭარბობს კვადრატის ფორმის სხვადასხვაგვარი, ფერით-ხაზობრივი ინტერპრეტაციები (1960-იანი წნ.-ის მეორე ნახევარში შესრულებული აბსტრაქტული კომპოზიციების სერია). ავტორი ჯერ ისევ ფრთხილობს, ცდილობს ყოველივე გათვალის და მხოლოდ შემდგომ ასახოს. ფერის სასურათე ზედაპირზე სტიქიური „მიშვება“ ჯერ ისევ უჭირს, ხვდება, რომ მისი სტრუქტურირება, ჩარჩოებში მოქცევა და კონსტრუქტება ისევ ფერისვე საშუალებითაა შესაძლებელი. ფორმას დამორჩილებული ის იმ აბსტრაქციად იძერწება, ფიგურატიულობის ზღვარზე მყოფი, კონტექსტისმიერ ზღარდაუდებლობას რომ ინარჩუნებს. მხატვრის მიერ შექმნილ, ამ ტიპის აბსტრაქტულ ნამუშევრებს მუდმივად მკაცრად ორგანიზებული სტრუქტურული სისტემა უდევს საფუძვლად, ზოგჯერ ის ფორმისმიერი ჩარჩოს დატვირთვასაც იძენს. და იმის მიუხედავადაც კი, რომ ამ ნამუშევრების „ჩონჩხისმიერი“ საყრდენი გეომეტრიულად



აბსტრაქტული კომპოზიცია. 1989.  
ქ. ტემპერა. თეთრა. 74X103, ოქანის საკუთრება

ორგანიზებული ფერადოვანი ლაქების ერთობლიობაა, ეს მაინც არ არის კლასიკური გაგებით გეომეტრიული აბსტრაქციონიზმი, სადაც გეომეტრიული ფორმა სამყაროს მოდელის დატვირთვის მქონეა. აღნიშნულმა ძიებებმა ხელოვანი მინიმალიზმისა და ფორმათმეტყველების ლაკონიზმის ზღვართან მიიყვანა, თუმცა მხატვარმა ეს მიჯნა არასდროს გადალახა. ის ახლოს, სულ ახლოს მივიდა არაფიგურატიულის უკიდურეს ნიშნულთან, თუმცა შემოქმედების ვერც ერთ ეტაპზე ვერ თქვა უარი, ვერ დათმო და არ შეელია ფერის ნიუანსირებულ, ვალიორითა და ნახევარტონებით გაჯერებულ ნაირგვარობას, მსუყე მონასმის რელიეფურობას, რომელიც იმავდროულად სიღრმის ეფექტის მქონეც იყო. „ფერი“, თავად სამყაროს დამტევი და არა „ფერი“, ქცეული მშრალ პირობით ნიშნად ან ნიშნულად - იყო მისი მხატვრობის ძირითადი თემა და საფიქრალი. ერთეული, სრულად მინიმალ-

ისტური მანერით შესრულებული გრაფიკული კომპოზიციების გარდა, მხატვართან ლოკალური, ერთგვაროვანი, სუფთა ფერით შექმნილი ლაქა თითქმის არ არსებობს.

ზოგადად, ალექსანდრე ბანძელაძე თავის აბსტრაქციებს რაიმე კონკრეტული, გამაერთიანებელი ზოგადი ფორმულის მიხედვით არ ქმნის. თითოეული მათგანის კომპოზიციური სტუქტურა, ყოველ ჯერზე, თავიდან იძერწება, ითხზება და მუშავდება. ამიტომაც მხატვრის შემოქმედებითი ეტაპების მიხედვით განსხვავებული და ტრანსფორმირებადია საკუთრივ აბსტრაქტული გამომსახველობითობითი აზროვნების ფორმებიც.

გასული საუკუნის გამორჩეულ მოვლენათა შორის ერთ-ერთი უმთავრესია, მიმპარველობითი საგნობრიობისგან დაცლილი, მხატვრულ-ვიზუალური სივრცეების შექმნა. სასურათე ზედაპირის, როგორც სამყაროში გახსნილი ფანჯრის ფუნქციის



აპსტრაქტული კომპოზიცია. 1989.  
ძ. ტემარა. 74X103, ოქანის საკუთრება



აპსტრაქტული კომპოზიცია. 1989.  
ძ. ტემარა. თეთრა, 74X103, ოქანის საკუთრება



კომპოზიცია, 1989,  
ტ. ზ. 150X200, გია მარაშვილის ფოტო-სლაიდი

ალტერნატივების გაჩენამ, საზოგადოებრივი გონი საფუძვლიანად შეატორქმანა. მსგავსი მხატვრობა, რომელიც თავისთავად დამოუკიდებელი რეალობის კატეგორიაში არასდროს განიხილება, კონკრეტული საგნისა თუ მოვლენის ისეთ გამოსახულებას ქმნის, რომელიც ხილულ სამყაროში არ არსებობს. შესაბამისად, მის მეტავერსიას თხზავს და ისიც ერთ-ერთ შესაძლოს.

ნამუშევრების კონტექსტუალურ საყრდენს ხომ მყაფიოდ ინდივიდუალური კატეგორიები განსაზღვრავს მუდამ: ნანახი ახლა და ნანახი ოდესლაც, წარმოსახული და ის, რაც ზუსტი ცოდნის შედეგია, მყაფიო მოგონება და ბუნდოვანი გაელვება, ნამდვილი და ირეალური, ფანტაზია და სიზმარი-დროის სიშორისა და სიახლოვის განცდის გარეშე, თუმცა აუცილებლად მოქმედებაში,

ტკივილი ნანახის და ტკივილი განცდილი და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი რამ.

მხატვარი ისევ, ჩვენთვის კარგად ნაცნობ ემოციებზე მოგვითხრობს- სიყვარულზე, ოჯახზე, შვილის მონატრებასა და შვილიშვილის ჩახუტების მძაფრ სურვილზე, სამშობლოს ტკივილსა და უსამართლობაზე, პირველი შეხვედრის იდუმალებასა და შემოქმედებითი ძიების ამოუცნობ სიღრმეებზე. აյ არაფერია ახალი, ერთის გარდა: ხელოვანი ცდილობს, ფიქრის თანამოზიარედ გაქციოს, თან გაგიყოლოს, ჩაგითრიოს, ბოლომდე არც გითხრას და თან არც რამ დაიტოვოს უთქმელი. ეს მუსიკაა, გალაკტიონის პოეზიაა, ქარის ქროლვას აყოლილი ექოს გამოძახილია, ასე რომ უყვარდა ალექსანდრე ბანძელაძეს...

ეს ის სამყაროა, რომელიც უკვე

## არაფენესტრონი ზანდერლაძე



ლურჯი ლაპა, 1989,  
ტ.ზ. 140X100, გია მგალობლივიშვილის  
ფოტო-სლაიდი



უსათაურო. 1989,  
აკვარელი, 100X74, გია მგალობლივიშვილის  
ფოტო-სლაიდი



უსათაურო, 1989,  
ტ.ზ. 100X141, გია მგალობლივიშვილის  
ფოტო-სლაიდი

არაფერს ედრება, აღარაფრის ასლს ქმნის  
და არაფერს ბაძავს. შესაძლოა რეალიზმის  
ხარისხი აქ მეტიც კია, უბრალოდ ის მიმბა-  
ძველობითი აღარაა.

როგორც კი გამოსახულება გარესა-  
მყაროსთან შესადარებელ ანალოგებს კარ-  
გავს, ის სრულად საკუთარ ვიზუალურ-მხ-  
ატვრულ სისტემაზე დაფუძნებული ხდება.  
საკუთარ ლოგიკას, სტრუქტურირების სა-  
კუთარ სისტემას და კანონზომიერებას  
იძენს, რომელსაც მორჩილებს კიდეც. აქ  
ფერადოვანი ლაქა, მონასმი იმ ახალი სა-  
გნოპრიობის ვერსიას სთავაზობს მაყურე-  
ბელს, სადაც ინტერპრეტაციისა თუ ვარია-  
ციის ყველა გზა ხსნილია. იწყება ფერებისა  
და ფორმების თავისუფალი ორგანიზება.  
ისინი დამოუკიდებელი დატვირთვის მქონე-  
ნი ხდებიან და უკვე აღარაფერს ახასიათე-



კომპოზიცია ნითლით და ლურჯით, 1989,  
ტ.ზ. 141X100, გია მგალობლივის ფონო-სლაიდი



ნაციონალიზმი ნაციონალიზმი, 1989,  
ზ. 100X90, გია მალიშვილის ფოტო-სლაიდი

ბენ, არაფერს განასრულებენ და არც მოდელირებას უკეთებენ რაიმეს.

ადვილი მისახვედრია, რომ მსგავსი შესაძლებლობების ხიბლი ძალიან დიდია. 1953 წელს კრიტიკოსი ჯონ ენტონი ტეეიტსი, მაშინ გერმანიაში მყოფი დაწერს: „აბსტრაქციის გამარჯვება იმდენად აშკარაა, რომ ძნელია მოძებნო ახალგაზრდა და ნიჭიერი

მხატვარი, რომელიც მასზე დამოკიდებული არაა. ახალგაზრდა ხელოვანები, თავიანთ ახალგაზრდა აუდიტორიასთან ერთად აღიქვამენ აბსტრაქტულ ხელოვნებას, როგორც საკუთარ ბუნებრივ სტიქიას.“<sup>16</sup>


აბსტრაქციის გაჩენასთან ერთად ალექსანდრე ბანძელაძის შემოქმედებაში გაჩნდა ალტერნატიული მხატვრული



ლეიტმოზი, 1989,  
ტ.ზ. 120X140, გია მალობლივილის ფოტო-სლაიდი

სივრცე. გაიხსნა, არსებობის ახალი არეალი. ფიგურატიული ხელოვნების აბსოლუტური ერთადერთობა შეიცვალა. ძლიერი, თამამი, დამუხტულ-დაძაბული მონასმის უკან ფერ-ისმიერი სამყარო გამოინაკვთა. დამთავრდა ევროპული მხატვრული ტენდენციების საკუთარ თავში გააზრება-გადააზრების მრავალნლიანი პროცესი, რაც ამდენ ხანს, ალბათ არც კი გაგრძელდებოდა, მუდმივად მოსაძიებელ-აღმოსაჩენი რომ არ ყოფილიყო, საბჭოთა სივრცის მცხოვრებთათვის.

მსოფლიო ხელოვნების ისტორია აპ-სტრაქტული მხატვრული სკოლის არაერთ მაგალითს იცნობს. მათი უმეტესობა დროითი ან ეროვნული ნიშნით დიფერენცირდება. მსგავსი, ერთი შეხედვით სრულად



ფოტო, 1997. ავთ-ში გამართული გამოფენა.  
ალექსანდრე განერალაძე და კოლექციონერი  
ცოროს დოკი

## არეულასნერი ბანძეროსძე



ახსატრა ქათული კომპოზიცია. 1989.  
ქ. აკვარელი. 73X102, ოქანის საკუთრება



ახსატრა ქათული კომპოზიცია. 1989.  
ქ. აკვარელი. 73X102, ოქანის საკუთრება



ახსატრა ქათული კომპოზიცია. 1989.  
ქ. აკვარელი. 73X102, ოქანის საკუთრება

იდენტური, სახვითობის პირობებში ისინი რადიკალურად განსხვავდებიან ურთიერთისაგან. განსხვავებულია ევროპული და ამერიკული აბსტრაქციები, პირველი ტალღის და II მსოფლიო ომის შემდგომდროინდელი, ევროპული აბსტრაქციები. აქ ჩვეულებრივ ქმედითია ყველა ის მხატვრული მახასიათებელი, რაც ფიგურატიულ მხატვრობასთან მიმართებით გამოიყენება და ხდის მას სხვათათვის საცნაურს. გადამწყვეტია საერთო კოლორისტული სისტემის მთავარი ნიშნები, რიტმი და მონასმის ინტენსიობა, ფერისადმი თუ კონტურისადმი და მოკუდებულება; სიბრტყისა და სივრცის ალქმის სპეციფიკა და მათი ურთიერთმიმართების ნაირგვარობა; გამოსახულების ალქმის და მისი ინტერპრეტირების მასშტაბი და განწყობით-ემოციური ფონი, რომელიც ასევე ხშირ შემთხვევაში მკაფიოდ სპეციფიკურია. ასევე ალექსანდრე ბანძელაძის შემოქმედებაშიც. აბსტრაქცია სრულად მისეულ სააზროვნო და სამეტყველო ენად იქცა. მის ფიგურატიულობისაგან დაცლილ სამყაროში გრავიტაციულობის განცდა მაინც მუდმივად შენარჩუნებულია. ეს ერთერთი მკაფიო მახასიათებელია, რაც მხატვრის ნამუშევრებს აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის კლასიკოსების ტილოებისაგან განასხვავებს. უცნაურად ნივთიერია მისი მონასმები. თითქოს მუდმივად აქტუალურია განცდა, ამ ფერის სტიქიის ფორმათ-ჩამოქნის პროცესის დასაწყისისა, ან საკუთრივ ამ მონასმების მატერიად ქცევისა. მის ნამუშევრებში ამიტომაც არასაგნობრიობის გათავისება განცდისმიერად, ბოლომდე მაინც არასოდეს ხერხდება. უფრო მეტიც, თავად ეს პროცესია, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხატვრული ლირებულება ხელოვანის შემოქმედებაში.

მისი სურათების შემადგენელ-შემავსებელი მხატვრული ნივთიერება მუდმივად მოძრავია. აქ თითქმის არსად არაა პრეტენზია აბსოლუტის განსრულებაზე და მისი ქმნადობის პროცესია მხოლოდ. ვფიქრობ, ალექსანდრე ბანძელაძის აბსტრაქტულ მხ-

ატვრობას აქვს თავისი ძლიერი კონსტანტა და ეს დინამიკაა. არსებითია ალექსანდრე ბანძელაძის აბსტრაქტული ნამუშევრების „ვიზუალური აკუსტიკაც“, რაც მის შემოქმედებაში მაინცადამაინც გვიანდელ პერიოდს არ უკავშირდება და ფრაგმენტულად, თუმც კი მუდმივად იჩენს თავს.

თუ გეომეტრიულ კონფიგურაციაზე ორიენტირებულ კომპოზიციებში ემოციისა და სითბოს ნაკადი ნაკლებად იგრძნობა და არის ცდა, დროის მიღმიერი და წინააღმდეგობებით აღსასვე, თუმც კი კონკრეტულ კანონზომიერებას მორჩილი სამყაროს შექმნისა - მისი ლაქობრივი (ლაქობრივი ამ შემთხვევაში, უკიდურესად პირობითი და ფარდობითი კატეგორიაა) აბსტრაქციები აღნიშნულის სრულ ანტიპოდად შეიძლება მივიჩნიოთ. აქ სივრცე არც უარყოფილია და არც დომინანტური. ეს ფერისმიერი სივრცეა, ფერადოვანი ლაქის წიაღში და მის ირგვლივ ჩენილი და ისევ ფერითვე შობილი.

\* \* \*

1980-იანი წლების შუა პერიოდში ალექსანდრე ბანძელაძის აბსტრაქციებში სიურელისტური ელემენტები ჩნდება. იქმნება სერია უჩვეულო, ფანტასტიკური არსებებით დასახლებულ სამყაროზე, სადაც ლირიკულ-რომანტიკული ხაზი აქტიურდება.

კლასიკური გაგებით სიურეალისტური აბსტრაქციის (რ.მაზერველი, ჯ.პოლოკი, ხ.მირო, ივ.ტანგი) ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ავტომატური ხატვის პრინციპია. გაუცნობიერებელი და სპონტანური ხატვის სპეციფიკა და გაუკონტროლებელი ემოცია, როცა ხატვის პროცესი იმდენად მყისიერია, რომ შემეცნების მომენტსაც კი უსწრებს წინ. აქ ბანძელაძისათვის უკვე ესოდენ ჩვეული ინდივიდუალური მახასიათებლები ერთვება. ყველა მსგავსი, გარეშე ფაქტორი, მხოლოდ იმდენად ერგება, მკვიდრდება და რჩება ხელოვანის სამეტყველო ენაში, რამდენადაც ის, მხატვრის მიერ სახეცვლილი, გადამუშავებული და ადაპტირებული ესადაგება მისეულ სათქმელს. ბანძ-



უსათაშელო, 1989,  
ძ. აკვარელი, 74X100. გ. გეგალოგლიშვილის  
ფოტო-სლაიდი



აკაშტარაშვილი კომარზიცია, 1989, ძ. აკვარელი, 73,5X102. ოჯახის საკუთრება



აკაშტარაშვილი კომარზიცია, 1989,  
ძ. აკვარელი, 74X102. ოჯახის საკუთრება

სრულებანგრილი ბანგერმაძე



შსათაურო, 1989,  
ქ. აკვარელი. 74X100, გია მგალობლივის ფოტო-სლაიდი



არშაშვილი, 1989,  
ტ. ზ. 100X140, გია მგალობლივის ფოტო-სლაიდი



უსათაურო, 1989,  
ძ. აკვარელი, 74X100, გია მგალოგლიშვილის ფოტო-სლაიდი



უსათაურო,  
ძ. აკვარელი, 1989, 74X100, გია მგალოგლიშვილის ფოტო-სლაიდი



რუსიკო. აკმ. მადალა, 1980-იანი წე. ფ. ზ. 103X90,5, ოქანის საკუთრება



აბსტრაქტული კომპოზიცია. 1980-იანი წე. ფ. ზ. 90X75, ოქანის საკუთრება

